საინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს" და „მეცნიერება და ტექნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

პარასკევი, 20 თებერვალი 1925 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კ. № 42 (1197)

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— შანხაიში გაიფიცენ იაპონიის ფირმის მუშები.

— ფრანგმა კომუნისტმა დეპუტატებმა სასტიკად გაილაშქრეს ერრიოს პოლიტიკის წინააღმდეგ.

— ბულგარეთის მთავრობა პარლამენტის წევრობის მანდატს ართმევს კომუნისტ დეპუტატებს.

— სოფიაში მთავრობის აგენტებმა მოკლეს კომუნისტი—დეპუტატი სტრაშიმიროვი.

კომუნისტების გასამართლება გერმანიაში

მთელ რიგ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი გერმანიაში, ამ ბოლო დროს „ჩვეულებრივ" მოვლენად იქცა კომუნისტების გასამართლება ბურჟუაზიულ სასამართლოს მიერ.

გერმანიაში დღეს მძვინვარებს რეაქცია უკიდურეს მემარჯვენეების, ნაციონალისტების. რომელნიც მონარქიის აღდგენასა და ვილჰელმის დაბრუნებაზე ოცნებობენ. მათი მახვილი, ცხადია, მთლიანად და სავსებით მიმართულია კომუნისტური პარტიის, როგორც ერთად ერთი ძალის, წინააღმდეგ, რომელიც ამ შავბნელ დროში რევოლიუციონური ბრძოლისათვის რაზმავს მუშათა კლასს და გამარჯვების იმედს უნერგავს მას.

ბურჟუაზიას ამ „ჯვაროსნულ ომში" მხარს უმშვენებს სოციალ-დემოკრატია, რომლის მეთაურები არა მარტო პოლიტიკურად, არამედ პირდაპირ მოსყიდული და მოქრთამული აღმოჩნდენ სპეკულიანტების მიერ, როგორც ეს ბარმატის ცნობილმა საქმემ გამოააშკარავა. კიდევ მეტი: როზა ლიუქსემბურგის და კარლ ლიბკნეხტის მკვლელობის ხელისშემწყობნი ხშირად უფრო მეტ გულმოდგინეობას იჩენენ ამ საქმეში და უპირველეს როლს თამაშობენ კომუნისტების დევნაში და მათ წინააღმდეგ წარმოებულ ცილისწამების კამპანიაში.

ბურჟუაზიის და ს.-დემოკრატიის მიერ ერთ დროს გერმანიის კომპარტია დაშლილად და კანონგარეშე იყო გამოცხადებული,—თითქო შესაძლებელი ყოფილიყოს ერთი კალმის მოსმით ასეთი ორგანიზაციის აღმოფხვრა! არსებითად ჩვენი პარტია გერმანიაში (და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში) ყოველთვის ნახევრად მაინც, თუ მთლად არა, არალეგალურ მდგომარეობაში იმყოფება. განსაკუთრებით სასტიკი რეპრესიები განიცადა მან რეიხსტაგის (პარლამენტის) არჩევნების წინ. მისი საუკეთესო წარმომადგენლები ათი-ათასობით იქნენ ჩაყრილი ციხეებში. ჩვენს მტრებს იმედი ჰქონდათ კომპარტიის სრული განადგურების საარჩევნო კამპანიაში. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. მიუხედავად უჩვეულო დევნისა და საერთო საშინელი პირობებისა, ჩვენმა პარტიამ შეინარჩუნა თავისი რიგები და სამ მილიონამდე მტკიცე, ბრძოლაში გაკაჟებული პროლეტარი შემოიკრიბა თავის გარშემო.

ამ გარემოებამ ძილი დაუფრთხო გერმანიის ბურჟუაზიას.

კომპარტიისათვის „სახელის გასატეხად" დღეს იგი აწყობს საჯარო პროცესებსაც, იშველიებს თავის სასამართლოს.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეიპციგის პროცესი. ამ პროცესისთვის ბურჟუაზია კარგა ხანია ამზადებდა „საზოგადოებრივ აზრს". „საიდუმლო განყოფილება", „ოხრანკა" კანიდან ძვრებოდა, რათა შეეთითხნა „საჭირო" საბუთები. ავრცელებდენ ათასგვარ ჭორებს, თითქო კომუნისტებს უპოვეს ხოლერის ბაცილები, რომლებითაც უნდოდათ ბურჟუაზიის მოწამვლა, თითქო აჯანყების მომწყობთ კავშირი ჰქონოდეთ საბჭოთა წარმომადგენლობასთან და მრავალი სხვა.

ასეთი „მომზადების" შემდეგ კიდეც გაიხსნა ლეიპციგში კომუნისტების პროცესი, რომელიც უკვე ათი დღეა რაც მიმდინარეობს. „რესპუბლიკის თავდაცვის სასამართლოს" წინაშე წარსდგა „ბრალდებულთა" სახით 16 მუშა. მათ ამტყუნებენ სახელმწიფო ღალატში, იარაღის უკანონოდ ტარებაში, ასაფეთქებელ ნივთიერების ხმარებაში.

ფაშისტებისათვის ყოველგვარი ასეთი მოქმედება ნებადართულია, ვინაიდან ეს მიმართულია მეფის წყობილების აღდგენისაკენ, რასაც გერმანიის ბურჟუაზია და პოლიცია თვითონ უწყობს ხელს. ამიტომ მონარქიულ აჯანყებაში მონაწილე ფაშისტები თავისუფლად დასეირნობენ.

მაგრამ ამასთან გასაგებია, რომ ბურჟუაზია და მისი დამქაში, ს.-დემოკრატია არ დაინდობენ მუშებს, თუ მათ მოინდომეს თავის დაცვა ფაშისტების თავდასხმისაგან და თავისი შელახული უფლებების აღდგენა.

ამაში არაფერია გასაკვირი. საინტერესო მხოლოდ ის არის, თუ რა საშუალებებს მიმართავს ბურჟუაზია რევოლიუციონერების დასასჯელად. ამ მხრივ დამახასიათებელია ლეიპციგის პროცესი. სასამართლოს თავმჯდომარეა კომუნისტების ცნობილი მოძულე ნიდნერი.

მთავარი „ბრალდებული" კი ნეიმანი, რომლის ჩვენებებს ემყარება სასამართლო,—აშკარა პროვოკატორი და სულით ავადმყოფია. ეს სავსებით გამოირკვა პროცესზე. ნეიმანი, როგორც „ოხრანკის" აგენტი, მისი დავალებით იძლევა ისეთ ჩვენებას, რომლის მიზანია კომპარტიის „გაშავება". იგი მოუთხრობს სასამართლოს მთელ რიგ ტერორისტულ აქტებზე, რომელიც ვითომ განზრახული ჰქონდა გერმანიის კომპარტიის ცეკას, იგი ამბობს, რომ კომპარტიის ხელმძღვანელ პირებს და ორგანოებს აჯანყების მოსაწყობად კავშირი ჰქონდათ ბერლინის საბჭოთა წარმომადგენლობასთან და სხ.

უკანასკნელმა უკვე გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით აღიარებს სიყალბედ ნეიმანის ჩვენებას, რომელიც ეხება წარმომადგენლობას და მის თანამშრომელთ.

ამ სიყალბის ჩადენა ნეიმანს და მის სულის ჩამდგმელთ დასჭირდათ იმიტომ, რომ დააშინონ „ობივატელი" „კომუნისტურ საფრთხით" და გაამწვავონ დამოკიდებულება გერმანია-საბჭოთა კავშირ შორის.

აგრეთვე ვინ არ იცის, რომ ჩვენი პარტია არ იზიარებს ინდივიდუალურ ტერორის პოლიტიკას.

უფრო საყურადღებოა, რომ პროცესზე ერთხელ კიდევ ზედმეტჯერ გამოირკვა ბურჟუაზიულ სასამართლოს და ციხეების „საიდუმლოებანი".

დღეს მკითხველი გაეცნობა ბრალდებულ სკობლევსკის და პეგეს ჩვენებებს.

გამომძიებელი ემუქრებოდა სკობლევსკის—სიკვდილით დაისჯები, თუ „საჭირო" ჩვენებას არ მომცემო.

პოლიციის კომისრები აგრეთვე პეგესაც ეუბნებოდენ: „თქვენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. შეგიძლიათ თავი იხსნათ, თუ მოგვცემთ კომპარტიის გამაბახებელ ჩვენებას"-ო. ციხეში პეგეს სტანჯავდენ სიმშილით და სიცივით, რომ ეთქვა „სიმართლე", ე. ი. რომ მიეცა ყალბი ცნობები.

რა შედეგს მიაღწევს ბურჟუაზია ამგვარად შეთითხნილ, პროვოკატორების დახმარებით მოწყობილ პროცესით? ნუ თუ ის ფიქრობს ასეთი გზით კომუნიზმის იდეის გაშავებას მასსების თვალში?

ცხადია, ბურჟუაზია შურს იძიებს და ბრალდებულთ გამოუტანს სასტიკ განაჩენს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ, როგორც ამხ. ურბანსმა განაცხადა ჰამბურგის აჯანყების მონაწილეთა პროცესზე,—კომუნიზმისა და მშრომელთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ლოზუნგი უფრო პოპულიარული ხდება ასეთი პროცესის მოწყობით.

ეს პროცესი საჯაროდ აშიშვლებს ბურჟუაზიის და მისი წყობილების მთელ უმსგავსოებას და სიდუხჭირეს და მუშათა კლასის საქმის სიმართლეს.

იგი გაზრდის მუშათა კლასში კლასობრივ შეგნებას და სიძულვილს ბურჟუაზიისადმი, შემატებს ბრძოლის მეტ უნარს, რათა მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, როცა თვითონ დასვამს მოსისხლე კლასობრივ მტერს ბრალდებულის სკამზე და გაასამართლებს თავისი პროლეტარული სამართლის თვალსაზრისით.

კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობა და კრედიტი *)

II

როგორც ვიცით, კოოპერაცია, სახელმწიფო ვაჭრობა და სახალხო მამულები არანორმალურ ფინანსიურ მდგომარეობაში იმყოფებიან. მათ ადრეც არ ჰყოფნიდათ ფული. არსებულ პირობებში მისი რაოდენობა ვერ ფარავდა მოთხოვნილებას. ეს მდგომარეობა უფრო გამწვავდა, როდესაც საქონელზე მოთხოვნილება შემცირდა და გასაღება შენელდა. ასეთ პირობებში თვით ფულის ტრიალიც უფრო ნელა სწარმოებს, ე. ი. ერთს და იმავე დროის განმავლობაში ერთი და იგივე თანხა დღეს ნაკლებჯერ ტრიალდება, ვიდრე მაშინ როდესაც საქონელი უფრო სწრაფად საღდებოდა. ამ შემთხვევაში ბრუნვისათვის მეტი ფულია საჭირო, ვინაიდან, საქონლის ტრიალის შენელებას თუ ტრიალში მყოფ საქონლის რაოდენობის სათანადო შემცირება არ მოჰყვა, საქონლის შენელებულ ტრიალის დროს მეტი ფულის ნიშანი და მეტი კრედიტია საჭირო.

კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის მძიმე ფინანსიურ მდგომარეობას დღეს ახასიათებს ის გარემოება, რომ მათ ვერ შეათანხმეს, ერთ-მეორესთან ტრიალში მყოფ საქონლის რაოდენობა, ტემპი მისი ტრიალისა და ფინანსიური შესაძლებლობა. ეს შეთანხმება კი უნდა მოხდეს, მაგრამ რა გზით? ბურჟუაზიულ პირობებში ასეთ შემთხვევებში სუსტი ფირმები კოტრდებიან და უფრო შეძლებულებს რჩებათ მოედანი. დღეს ჩვენ ახეთ კაპიტალისტებთან საქმე არა გვაქვს; აქ ფაქტიურად მხოლოდ სახელმწიფო კაპიტალია ჩაბანდული და საქონელიც სახელმწიფოს და გლეხობას ეკუთვნის და შუამავლად კოოპერაცია და სახელმწიფო აპარატი გამოდის; ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია საკითხი ისე დავაყენოთ, როგორც მას ბურჟუაზიულ ხანაში ცხოვრება აყენებდა: სუსტი დაიღუპოს და მძლავრს მოედანი დარჩეს, დღეს ბუნებრივმა გადარჩევამ (естественный отбор) დაკარგა ძალა, და კაპიტალისტურ-ინდივიდუალისტურმა ბრძოლამ ადგილი დაუთმო მთლიან სახელმწიფოებრივ გეგმიან მეურნეობას. აი ეს გარემოება გვიკარნახებს ისეთი ეკონომიური ფინანსიური პოლიტიკა ვაწარმოვოთ, რომელიც გააჯანსაღებს კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობას. მათი მუშაობა და ორგანიზაცია თანდათან უნდა გადასხვაფერდეს, მაგრამ ეს გარდაქმნა უმტკივნეულოდ რომ მოხდეს, ამისათვის საჭიროა ხსენებულ აპარატებს მიეცეთ საჭირო თანხები.

რეალურად გაგებული ბანკების ინტერესებიც მოითხოვს კოოპერატივებისათვის ყოველ მხრივ ხელის შეწყობას, ვინაიდან, სხვა რომ არ იყოს, კოოპერატივების გაკოტრება ბანკებსაც უდიდეს ზარალს მიაყენებს: მათ დაეკარგებათ მთავარი კლიენტი და მასთან ერთად იმ თანხების დიდი ნაწილი, რომელიც ამ კლიენტის ხელშია. ცენტრალურ კოოპერატივების ბედს გაიზიარებენ ძირითადი კოოპერატივებიც, რადგან საერთო კოოპერატიული ჯაჭვი დაირღვევა რგოლებათ და საერთოთ კოოპერაცია თავის ძალას დაკარგავს.

ბანკებს ეს გარემოება, რასაკვირველია, შეგნებული აქვთ და სცდილობდენ და სცდილობენ კოოპერატივებს და სახელმწიფო ვაჭრობას შესაძლებლობის ფარგლებში ყოველგვარი დახმარება გაუწიონ, მაგრამ ბანკების მოქმედება შეზღუდულია მათი წესდებით და ინსტრუქციებით. ეს ასეა, მაგრამ აქ შექმნილია განსაკუთრებული პირობები, რომელნიც შაბლონურ ჩარჩოებში არ ეტევიან და ასეთ შემთხვევაში ბანკი მოვალეა აცნობოს თავის ცენტრალურ გამგეობას ეს განსაკუთრებული პირობები. ბანკებმა კარგათ იციან, რომ კრედიტის პირობები და საქონლის რაოდენობა და მისი ტრიალის ტემპი ერთი მეორესთან შეთანხმებული არაა: ჩვენს ვაჭრობა-მრეწველობას არა აქვს საკმაო კრედიტი შესაფერი ვადით.

კრედიტის პირობები უნდა იყოს ადგილობრივ მდგომარეობასთან და მოთხოვნილებასთან შეთანხმებული. ეს საკამათო დებულება არაა. ამ მოსაზრებების მიხედვით სახელმწ. საგეგმო კომისიაში მომხდარ თათბირზე იქნა წამოყენებული ასეთი წინადადებები:

1) კრედიტით სარგებლობის ვადა შეუფარდდეს სახალხო მეურნეობის რეალურ პირობებს და ამიტომ მომხმარებელი კოოპერატივებს კრედიტით სარგებლობის ვადა გაუგრძელდეს 3—5 თვემდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს კი 6—12 თვემდე.

2) 1925 წ. 1 თებერვლამდე გაცემულ თამასუქების განაღდების ვადა გაგრძელებულ იქნას 6 თვით იმ პირობით, რომ თავის ვადებზე შეტანილ იქნას ვალის 25 პროცენტი და მთელი ვალი კი დაიფაროს ექვსი თვის განმავლობაში.

3) აღძრულ იქნას შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარების შესახებ.

4) ბანკებს უნდა გაუძლიერდეთ თანხები აღნიშნულ ორგანიზაციებისათვის წინანდელ რაოდენობით სესხის მისაცემათ, რომ მათ შესძლონ ტრესტებისაგან საქონლის შეძენა ნაღდ ფულზე და აღადგინონ ადგილებზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება და

5) ცნობილ იქნას აუცილებელ საჭიროდ ყოველ ზომების მიღება, რათა კოოპერატივების და სახელმწიფო ვაჭრობის მიერ სავსებით დაცულ იქნას სათამასუქო დისციპლინა.

ხსენებული თათბირი მოხდა 10 თებერვალს, შუამდგომლობა დეპეშით საკავშირო ცენტრის წინაშე აღიძრა 14 თებერვალს და დადებითი დადგენილება აღძრული შუამდგომლობის შესახებ საკავშირო ცენტრმა გამოიტანა 18 თებერვალს, და მოსკოვიდან მიღებული დეპეშა გვაცნობებს:

1. მორატორიუმი ვერ გაამართლებს იმ მიზნებს, რომლისთვისაც ის ცხადდება. საერთო მორატორიუმის ნაცვლად უფრო მიზანშეწონილია წინადადება მიეცეს სახელმწიფო ბანკის ა|კ. კანტორას გააძლიეროს კოოპერაციისა და სახელმწიფო ვაჭრობისათვის შეღავათების მიცემა დაუხურდავებელი თამასუქების განაღდების ვადის გაგრძელებით იმ ორგანიზაციებისათვის, რომელნიც ამას საჭიროებენ და რომელთა ფინანსიური მდგომარეობა შეიძლება გაჯანსაღდეს ამ ღონისძიებით.

2. გაძლიერებულ იქნას სახელმწიფო ბანკის ა|კ. კანტორის საშუალებანი 1.000.000 მან.

3. ვინაიდან საქონლის ბრუნვის ტემპსა და კრედიტის ვადებს შორის არ არსებობს შეთანაწყობა და ეს იწვევს თამასუქების გადაწერის და ვადის გაგრძელების მასიურ მოთხოვნას, წინადადება მიეცეს ბანკებს მიიღონ დასახურდავებლათ უფრო გრძელვადიანი თამასუქები—5 თვემდე.

ასეთი ნაყოფი მოიტანა სახელმწიფო საგეგმო კომისიის ინიციატივამ. ეს დიდი მიღწევაა, მაგრამ კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის გაჯანსაღება მოითხოვს მათი აპარატის და მოქმედების გადასინჯვას და გამარტივებას, აპარატებს შორის ყოველგვარი პარალელიზმის მოსპობას და მუშაობის რეალურ შესაძლებლობის კალაპოტში ჩაყენებას. მხოლოდ ასეთი პირობების განხორციელების გზით შეიძლება მოხდეს სახელმწიფოს მეურნეობის გაჯანსაღება.

დ. თოფურიძე.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 41.

წერილები ინგლისიდან

სიძვირე ინგლისში

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ლონდონი. 4 თებერვალი. უკვე ექვსი კვირა იქნება, რაც ფქვილის და, მაშასადამე, პურის ფასები განუწყვეტლივ იზრდება. ფასების ამ ზრდას წინ უძღოდა მთელი რიგი ცნობების გამოქვეყნება ნიუ-იორკის, ჩიკაგოს და ლივერპულის სპეკულიანტების მიერ; ეს ცნობები შეეხება ცუდ მოსავალს ამერიკაში, კანადაში და ავსტრალიაში. ფქვილით მოვაჭრეებმა დაუყონებლივ გაადიდეს ფქვილის ფასი. ერთი შილინგით (46 კაპ.) ტომარაზე და ასეთი მომატება სისტემატიურად მეორდებოდა თითეულ ორ კვირაში.

გლაზგოში ფქვილის ფასები ერთბაშად გაიზარდა ერთი შილინგით და 6 პენსით ტომარაზე და, როგორც იტყობინებიან, ეს კიდევ არ არის უკანასკნელი მომატება!

პატარა ფურნეები დაიხურა. ამ უზარმაზარ მუშურ ქალაქში, სადაც აურაცხელი უმუშევრებია, პური ღირს ეხლა ერთი შილინგი, 4 გირვანქა (1.800 გრამი). ლივერპულის მეფურნეებმაც აგრეთვე გადასწყვიტეს გაადიდონ პურის ფასები.

ლონდონში ფქვილის ფასი გაიზარდა კიდევ ერთი შილინგით ტომარაზე, ასე რომ ერთი ტომარი ფქვილი (125 კილო) ღირს ეხლა 58 შილინგზე მეტი. ეს 1921 წლის ოქტომბრის შემდეგ ყველაზე უფრო დიდი ფასია ფქვილზე.

მაგრამ მარტო პურზე კი არ მოუმატებიათ ფასები. გაძვირდა სურსათ-სანოვაგე, და ეს ზრდა კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც ძალაუფლებას სათავეში ჩაუდგა კონსერვატიული მთავრობა.

განუწყვეტლივ იზრდება რძის, კარაქის, ყველის, ყავის, ჩაის, ხორცის და სხვა საგნების ფასები. მიუხედავათ იმისა, რომ ჩაის დაბეგვრა შემცირებული იქნა გირვანქაზე, ის მაინც ეხლა უფრო მეტი ღირს, ვიდრე დაბეგვრის შემცირებამდი იყო. რძის ფასი ოქტომბრიდან გადიდდა. იმატა კვერცხის ფასმაც.

კონსერვატიული მთავრობა, რომელმაც არჩევნები ჩაატარა „სიძვირესთან ბრძოლის" ლოზუნგის ქვეშ, სცდილობს დაანახვოს მოსახლეობას, რომ იგი იღებს სათანადო ზომებს სიძვირის შესამცირებლათ. ხორცის გაძვირების წინააღმდეგ „საბრძოლველათ", კონსერვატიული მთავრობა რამოდენიმე კვირის განმავლობაში აქვეყნებდა ნიხრს—მაქსიმუმს, რომლის მიხედვითაც უნდა გაყიდულიყო ხორცი საყასბოებში. ფასები დაწესებული იყო საუკეთესო ღირსების ხორცზე. **არც ერთი ყასაბი არ ყიდდა ხორცს ამ ფასებში.** ლონდონში ვერ იპოვით ვერც ერთ საყასბოს, სადაც ხორცის ფასები არ აღემატებოდეს ნიხრში აღნიშნულ ფასებს. მეყასბეებს შეუძლიათ თვითონ დააწესონ ფასები ხორცზე. ერთმა მათგანმა, რომელსაც მე შევეკითხე ამის შესახებ, ისეთი პასუხი მომცა, რომ მისი აღნიშვნა პრესაში აუცილებელია: „მე საუკეთესო ნაჭრებს დაწესებულ ფასებზე უფრო იაფად ვყიდი იმიტომ, რომ მოთხოვნილება მათზე მეტათ დიდია, ცუდ ხორცს კი ძვირათ ვყიდი იმიტომ, რომ მისი მოთხოვნილება თითქმის სულ არ არის".

როგორც ხედავთ, მიწოდების და მოთხოვნილების კანონები ორივე შემთხვევაში ერთ მიზანს ემსახურებიან—მოგებას, და რაც შეიძლება დიდ მოგებას.

საგამომძიებლო კომისიაში, რომელიც აგრეთვე აირჩია კონსერვატიულმა მთავრობამ იმ მიზნით, რომ დაანახვოს ხალხს თითქოს ის დაინტერესებულია სიძვირესთან ბრძოლით,—ამ კომისიაში, რომელიც ვერასოდეს ვერ მიაღწევს პრაქტიკულ ნიზნებს—ლორდმა ვესტეიმ, ხორცის ბაზრის ბატონმა ინგლისში, განაცხადა, რომ „ხორცი ეხლა არც ისე ძვირია".

აქვე ჩვენ რამოდენიმე სიტყვას ვიტყვით იმ ჩვენების შესახებ, რომელიც მისცა ლორდმა ვესტეიმ საგამომძიებლო კომისიას. ვინაიდან ბევრს ლაპარაკობდენ სასკანდალო მოგების შესახებ შემოტანილ ხორცზე,—ხორცის ბაზარი კი მთლიანათ ვესტეის კომბინატის ხელში იყო—ამიტომ ვესტეი კომისიაში ამტკიცებდა, რომ მისი საზოგადოება თვითეულ გირვანქა გაყიდულ ხორცზე იღებს მხოლოდ ნახევარ კაპეიკს. ვესტეის კომბინატს თავის ხელში უჭირავს მთელი ბაზარი, დაწყებული დასაკლავი საქონლით და გათავებული საწვრიმალო ვაჭრობით. მას საქონელი მოყავს კოლონიებიდან, ამ საქონელს შემდეგ ყიდულობს და კლავს მეორე კომპანია, რომელიც კომბინატში შედის. დაკლული საქონლის გადაზიდვას აწარმოებს კიდევ სხვა კომპანია, რომელიც აგრეთვე ამ კომბინატში შედის. ინგლისში ხორცის ბითუმათ და წვრილათ გაყიდვას აწარმოებენ უკვე სხვა საზოგადოებები, რომლებიც აგრეთვე ვესტეის ჯგუფში შედიან. თვითეული ეს კომპანია მოგებული რჩება. და როდესაც ლორდ ვესტეი ლაპარაკობდა ერთი კაპეიკის მოგების შესახებ გირვანქა ხორცზე, ის ლაპარაკობდა იმ მოგებაზე, რომელსაც იღებს მისი ერთ-ერთი ქვედა საფეხურის საზოგადოება.

და ასეთ მომენტში კაპიტალისტური პრესა ფართო კამპანიას აწარმოებს არა მარტო იმის სასარგებლოდ, რომ უმუშევრებს შეუმცირდეს დახმარება, არამედ იმის სასარგებლოდაც, რომ იმ პირთა სიიდან, რომლებიც ამ დახმარებას იღებენ, გამორიცხული იქნეს უმუშევართა რაც შეიძლება დიდი რიცხვი.

სიძვირე ამნაირად თანდათან მატულობს ინგლისში და ის ახდენს გარკვეულ გავლენას მუშათა ფართო მასებზე.

ქ. დავიდ.

იაპონია ემზადება სახალინის გადასაცემად საბჭოთა მთავრობისათვის

იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ამ კვირაში იქნება დამტკიცებული

„საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობის გარეშე პოლონეთი ეკონომიურად მოკვდება"

გერმანიის „საგანგებო კომისიის" პროცესზე გამოაშკარავდა გერმანიის რეაქციის ბნელი ზრახვები

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

იაპონია

კომისია გაემგზავრა სახალინზე.

ტოკიო. 18 თებერვ. სახალინზე გაემგზავრა იაპონიის კომისია, რომელიც მოამზადებს სახალინის გადაცემას საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დამტკიცება იაპონიის მიერ მოსალოდნელია ამ კვირის ბოლოს!

კარახანის ნოტა

პეკინი. 18 თებ. საბჭოთა საელჩოს შენობის ახლო მდებარე ტერიტორიაზე ხდება ამერიკის საელჩოს დამცველი რაზმის სამხედრო ვარჯიშობა; ამის გამო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა კარახანმა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებს გაუგზავნა ნოტა, რომელიც მოითხოვს ასეთი ვარჯიშობის შეწყვეტას (სხვა საელჩოს ტერიტორიის ასეთი გამოყენება არის უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლობის უბანის წესდების დარღვევა).

პოლონეთი

პოლონეთისათვის აუცილებელია სავაჭრო ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან

ვარშავა. 18 თებერვალი. სეიმის დეპუტატმა ქალაქ ლოძიდან—მრეწველმა ვისლიცკიმ სეიმის კომისიაში სასტიკათ გაილაშქრა ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროს წინააღმდეგ, რომელსაც ის ბრალს სდებდა იმაში, რომ სამინისტრო აჭიანურებს ხელშეკრულების დადებას საბჭოთა კავშირთან. ვისლიცკიმ განაცხადა: „მთავრობა ანგარიშს არ უწევს პოლონეთის რეალურ ინტერესებს. ვაჭრობის და მრეწველობის მინისტრი, ბოლოს და ბოლოს, უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ პოლონეთის ეკონომიური ცხოვრება ვერ იქნება გაჯანსაღებული, თუ სავაჭრო ურთიერთობა არ დავამყარეთ საბჭოთა კავშირთან".

ერრიოს დაპირება და საქმე

კომუნისტები ამხილებენ მემარცხენე ბლოკს

მემარცხენე ბლოკმა მოატყუა ხალხი

პარიზი. 18 თებერვალი. ფინანსიურ კანონპროექტის გარშემო პარლამენტში გამართულ კამათის დროს, კომუნისტმა გერბერიმ მოიგონა მემარცხენე ბლოკის დაპირებანი; მემარცხენე ბლოკი ოპოზიციაში უდგა მაშინდელ მთავრობას და მხარს უჭერდა კაპიტალის დაბეგვრას. გერბერი სასტიკად ჰკიცხავდა მემარცხენე ბლოკის მიერ უარის თქმას ამ დაპირებების შესრულებაზე. მემარცხენე ბლოკი ეხლა დაუბრუნდა ნაციონალურ ბლოკის ფისკალურ სისტემას და მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებს კაპიტალისტებს, მაგრამ ამავე დროს იცავს გადასახადის ხელფასზე.

სასტიკი კოლონიალური პოლიტიკა

კომუნისტმა ბერტონმა აღწერა ტუნისის პროლეტარიატის მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა; ტუნისის პროლეტარიატს საშუალებაც კი არ აქვს გაერთიანდეს პროფკავშირებში. ბერტონმა აღნიშნა ზეგავლენა ადგილობრივ მცხოვრებლებზე, რათა აიძულონ ისინი შევიდენ შრომის საყოველთაო კონფედერაციაში, რომელსაც ჟუო ხელმძღვანელობს. ბერტონმა ხაზი გაუსვა აგრეთვე რევოლიუციონურ ორგანიზაციების სასტიკ დევნას.

რით განსხვავდება პუანკარესაგან?

ბერტონის საპასუხოთ ერრიომ განაცხადა:

„საფრანგეთის კომპარტიამ მიიღო ბრძანება აწარმოოს აგიტაცია საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ მყოფ კოლონიებსა და ქვეყნებში, რათა ჩამოაშორონ ისინი საფრანგეთს. საფრანგეთის აგიტატორები რომ კავკასიაში და თურქესტანში გამგზავრებულიყვენ იმ მიზნით, რათა ჩამოეშორებინათ ეს ქვეყნები საბჭოთა კავშირისაგან, მათ კარგი საქმე არ მოუვიდოდათ. საფრანგეთის მთავრობა არ დაუშვებს ასეთს პროპაგანდას. მან მისცა სათანადო განკარგულება ტუნისში მყოფ მთავარმართებელს".

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი. 18 თებერვალი. ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჩემბერლენმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობისაგან მიღებული არ არის არავითარი ახალი წინადადებები ინგლისის კრედიტორების პრეტენზიების საკითხის მოგვარების შესახებ. ინგლისის მთავრობა ყურადღებით განიხილავს ასეთ საკითხებს, თუ ისინი მიღებული იქნება.

ჩემბერლენმა დაუმატა, რომ ინგლისის მთავრობა ამ ჟამად, პრეზიდენტ კულიჯის წინადადებით, იხილავს საკითხს იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქნეს ახალი კონფერენცია განიარაღების საკითხის მოსაგვარებლათ.

გამოაშკარავებული პროვოკაცია

გერმანიის „საგანგებო კომისიის" პროცესი

პოლიტიკური პატიმრების წამება სიმშილით და სიცივით

ბერლინი. 18 თებერვალი. 18 თებერვლის სხდომაზე დაჰკითხეს ბრალდებულ სკობლევსკის.

სკობლევსკის ჩვენება

სკობლევსკი ლაპარაკობს, რომ ის დაიბადა ტამბოვში და არასოდეს არ იმალებოდა გელმუტის, გორევის, ველფის ან ვილლის გვარით. ბერლინში საფრანგეთიდან ჩამოვიდა მხოლოდ 1924 წლის 24 თებერვალს. 1916 წელს გაგზავნილ იქნა რუს ჯარისკაცთა ტრანსპორტთან ერთად არხანგელსკიდან მარსელში და შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში. მას სურდა გერმანიის გზით დაბრუნებულიყო სამშობლოში, რის შესახებ მან შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წინაშე ბერლინში.

თავმჯდომარე ნიდნერი ეკითხება სკობლევსკის, ღებულობდა თუ არა მონაწილეობას ის რუსეთის რევოლიუციაში, ისახელა მან თავი კრონშტადის აჯანყების ჩაქრობაში, სცხოვრობდა თუ არა საბჭოთა საელჩოში? სკობლევსკი უარჰყოფით პასუხს იძლევა ამ კითხვებზე.

შემდეგ სკობლევსკის პირისპირ წაუყენეს ნეიმანი. ნეიმანი აცხადებს, რომ სკობლევსკი სწორედ ის არის, რომელიც მან გაიცნო, როგორც გელმუტი და ველფი და რომელიც უნდა მეკითხა საბჭოთა საელჩოში გორევის გვარით. სკობლევსკი გადაჭრით უარჰყოფს ამას.

დამცველის შეკითხვაზე, რა საბუთით ამტკიცებს ნეიმანი, რომ სკობლევსკი სცხოვრობდა საბჭოთა საელჩოში, ნეიმანი აცხადებს, რომ მან ნახა ის იქ, როცა ლოგინზე იჯდა პიჟამით.

მთელი აუდიტორიის ყურადღებას იპყრობს სკობლევსკის განცხადება: „წინასწარ დაკითხვის დროს, როცა მე უარვყოფდი ჩემს წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას, გამომძიებელი ასეთი სიტყვებით მემუქრებოდა: **„კრონშტადტში დაიხოცენ მილიონები. ისეთ ხალხთან, როგორიც თქვენ ხართ, ჩვენ არაფერი გვაქვს ანგარიში გასაწევი. თქვენ მოგისჯით არა მარტო სიკვდილით დასჯას, არამედ ჩვენ ვიზრუნებთ, რომ თქვენ გაწამონ"**.

სკობლევსკი ჩვენებას იძლეოდა ძალიან მშვიდათ და დასაბუთებულად.

ბრალდებულ პეგეს ჩვენება

სკობლევსკის შემდეგ დაკითხული იქნა ბრალდებული პეგე, რომელიც აღწერს იმ გარემოებას, რომელშიაც აიძულა ის წინასწარ გამოძიებაზე მიეცა თითქმის ისეთივე ჩვენება, როგორც ნეიმანმა. **პოლიცია სცდილობდა აეძულებია პეგე ეთქვა სიყალბე. მას ემუქრებოდენ სიკვდილით დასჯით. პოლიციის კომიერები ეუბნებოდენ მას: „შენი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. შენ შეგიძლია იხსნა თავი მხოლოდ მაშინ, თუ მოგვცემ კომპარტიის სახელის გამტეხ ჩვენებას". ციხეში პეგეს აწამებდენ სიცივით და სიმშილით.**

სენსაციას იწვევს პეგეს განცხადება იმის შესახებ, რომ მაშინდელი ოფიციალური დამცველი ბოლდშტეინი, რომელიც ამჟამად იცავს პროვოკატორ ნეიმანს, გაფრთხილებული იყო პეგეს მიერ იმის შესახებ, თუ როგორ აიძულა პოლიციამ ის მიეცა ყალბი ჩვენება. გოლდშტეინმა განუცხადა მას, რომ მან მტკიცედ **უნდა დაიცვას თავისი ჩვენება, რომელიც სახელს უტეხს კომპარტიას მანვე ურჩია პეგეს მოიწვიოს თავის დასაცავად კომუნისტი ვექილი.**

ბრალდებული მოითხოვს გოლდშტეინის დაკითხვას; **პროკურორი მხარს უჭერს ბრალდებას. გოლდშტეინი გაფითრებული სახით აღიარებს, რომ პეგემ თავის დროზე აცნობა მას პოლიციის ძალდატანების შესახებ, მაგრამ პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ პეგე თავის ჩვენებებს უწოდებს დღეს მოგონილ და ცრუ ჩვენებებს.**

პეგე გულახდილად აცხადებს: **„მე დღეს არავითარი დაბრკოლება არ მაქვს კომპარტიასთან. მე ისეთ გზაზე ვიყავი დაყენებული, რომ პოლიციის ჯაშუშად უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ მე არ მსურს ვიყო მუშათა კლასის გამცემელი. აქ სასამართლოში მე მიძდა ვსთქვა სრული სიმართლე".**

პროსტიტუცია და არა ნამუშევარი უმანკოება

ჰუნგრეთის მენშევიკების (მეორე ინტერნაციონალის) და ჰუნგრელ ფაშისტის ჰორტის შორის დადებული ხელშეკრულება



ზემოთ ამოწერილი პირველი სათაურით ბერლინის „როტე ფანე"-ში დაბეჭდილია ქ. ვენიდან გადაცემული ტელეგრამა.

როგორც ვიცით, ჰუნგრეთის მენშევიკებმა ჰუნგრეთის რეაქციონურ მთავრობასთან დასდეს ხელშეკრულება მასთან თანამშრომლობის შესახებ. ეს ამბავი დღის სინათლეზე იქნა გამოქიაქებული. „სოციალისტ"-მენშევიკების საერთო გახრწნის, მოსყიდულობის ატმოსფეროში ამ ფაქტმაც თავისი „წვლილი" შეიტანა. დღეს ჰორტის ლაქია მენშევიკები აცხადებენ, რომ ეს ხელშეკრულება მათ დასდვეს არა ნებაყოფილებით, არამედ მთავრობის იძულებით.

ასეც რომ იყოს, ეს რა გასამართლებელია „სოციალისტისათვის".

მაგრამ თავიდან ბოლომდი მენშევიკების ეს ნალაპარაკევიც სიყალბე გამოდგა. ეს გამოამჟღავნა ჰორტის მინისტრ-პრეზიდენტმა გრაფმა ბეტლენმა. **პრესაში გამოვიდა ის განცხადებით, რომ მენშევიკები არავინ არაფერში არ აიძულა. მათ თვითონ მიმართეს მთავრობას და შეჰპირდენ იმუშაონ ეროვნული ინტერესებისათვის** მასთან ერთად ყველა ოპოზიციონური პარტიების წინააღმდეგ.

„ტომ შოუ—სწერს „როტე ფანე" (9 თებერვალი)—გადაჭრით ამბობდა ლონდონში, რომ ამ საქმის გამოსარკვევათ ამორჩეული კომისია კაუცკის მეთაურობით შორს იყო იმ აზრისაგან, რომ გაეკიცხა ჰუნგრელი მენშევიკები, ჰორტის სოციალისტები. პირიქით, ამ კომისიამ ნდობა გამოუცხადა მათ"-ო.

მენშევიკების საერთო დაცემისა და გათახსირების სურათს ეს ფაქტიც მიემატება. მიემატება ის, რომ კაუცკი, რომელიც პირადათ პრაქტიკულათ ახლოს არა სდგას (ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით ამის შესახებ არაფერი ვიცით) არც ცნობილ ბარმატის და არც ჰორტის „კომბინაციებთან"—ამართლებს ისეთ გამყიდველობას, როგორიც ჩაიდინეს ჰუნგრეთის მენშევიკებმა.

უკანასკნელი ცნობები

ხმები ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების განახლების შესახებ.

ლონდონი, 18 თებერვალი. რეიტერის სააგენტო უარყოფს ცნობას ინგლისის და საბჭოთა კავშირის მთავრობის შორის მოლაპარაკების განახლების შესახებ. საბჭოთა მთავრობის ყოველი წინადადება ინგლის-საბჭოთა კავშირის ახალი ხელშეკრულების შესახებ განხილული იქნება ინგლისის მიერ—ამბობს რეიტერი, მაგრამ ერთი არსებითი პირობით, რომ ეს წინადადებები ძირითად დებულებებში არ ემსგავსებოდეს ინგლის-საბჭოთა კავშირის უარყოფილ ხელშეკრულებას.

რეიტერის სააგენტო უმატებს, რომ ის შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება განახლდა, ბალდვინი წინასწარ მოითხოვს ახალ გარანტიებს ინგლისში კომინტერნის მუშაობის წინააღმდეგ.

გერმანია—რუმინეთის უთანხმოება იზრდება

ვენა, 18 თებერვალი. რუმინეთის მთავრობა ამზადებს რუმინეთში გერმანული ქონების სიას, რომელსაც კონფისკაცია გაუკეთდება თუ გერმანიამ არა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა რუმინეთის ნოტაზე სარეპარაციო საკითხების შესახებ.

ბუქარესტში ვრცელდება ხმები გერმანიის მიერ გამომუშავებულ საწინააღმდეგო ზომებზე. რამოდენიმე მსხვილი გერმანული ბანკი მოითხოვს რუმინეთის ფულის (ლეია) მიღებაზე უარის თქმას. ორი ცნობილი გერმანული ფირმა ვითომ აპირებენ ლიკვიდაცია უყონ თავის საქმეებს რუმინეთში.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით შესაძლებელია მოლაპარაკება გაიმართოს სადავო საკითხების შესახებ.

საფრანგეთის ფოსტის მუშაკთა ფედერაცია პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ.

პარიზი, 18 თებერვალი. ფოსტის მუშაკთა ფედერაციის ნაციონალურმა საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს უნიტარული კონფედერაციის პროგრამას და საჭიროთ სცნობს პროფმოძრაობის მთლიანობის აღსადგენათ ზომების მიღებას. საფრანგეთის კომპარტიის წევრი გურდო არჩეულია ფედერაციის მუდმივ მდივნათ.

დანციგ-პოლონეთის უთანხმოება

ვარშავა. 18 თებერ. ერთა ლიგის მორიგ სესიაზე განხილულ იქნა მთელი რიგი კონფლიქტებისა, მათ შორის პოლონეთ-დანციგის კონფლიქტი. დანციგის პრეზიდენტი გაემგზავრა ლონდონში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ინგლისის დახმარება. დანციგის კომისარი მაკდონელი გაემგზავრა პარიზში ერთა ლიგაში დანციგის საკითხის მომხსენებელთან სათათბიროთ. სავაჭრო წრეებში სწარმოებს აგიტაცია დანციგის ნაწარმოებისათვის ბოიკოტის გამოსაცხადებლათ.

განაჩენი ჰამბურგის კომუნისტების შესახებ

ბერლინი. 18 თებერვალი. ურბანს მიესაჯა 10 წლის ციხე, ფრედეს 6 წ., კენეს 5 წლის, ლევის და უნსენს 4 წლის, შაბლეს 2 ნახ. წლის ციხე.

დორტმუნდის მსხვერპლთა დასაფლავება

ბერლინი. 18 თებერვალი. დორტმუნდში მოხდა 185 დაღუპულ მუშის დასაფლავება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 100.000 კაცმა. კომპარტია წარმოდგენილი იყო 25.000 მუშით და ასეული დროშებით.

ფაშისტების თვითნებობა

რომი. 18 თებ. უკიდურეს ფაშისტთა ბელადმა ფარინაჩიმ განაცხადა: ეხლა, როდესაც მიღებულია ახალი საარჩევნო კანონი, პარლამენტს მთელი შემადგენლობით შეუძლია განაგრძოს არსებობა, ხანამ ეს მისაღები იქნება ფაშისტების მთავრობისათვის.

ოსმალეთთან ჩვენი ვაჭრობის გასადიდებლათ

მოსკოვი, 19 თებერვალი. ოსმალეთში საბჭოთა ექსპორტის გადიდების მიზნით საგარეო ვაჭრობის კომისარიატს განზრახული აქვს: ხირნაში, ტრაპიზონში, სამსუნში და ოსმალეთის სხვა ქალაქებში ჩვენი სავაჭრო აპარატის მოწყობა.

გერმანელი მრეწველები საბოტაჟს უცხადებენ საფრანგეთ-გერმანიის მოლაპარაკებას

პარიზი. 18 თებერვალი. გაზეთ „ევრ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს გერმანელ სოციალ-დემოკრატების ლიდერმა ჰილფერდინგმა განაცხადა, რომ საფრანგეთ-გერმანიის სავაჭრო მოლაპარაკების არაჩვეულებრივი გაგრძელება გამოწვეულია გერმანელ მსხვილი მრეწველების საბოტაჟით. გერმანელ პროტექციონისტებს არ უნდათ დათმობაზე წასვლა საფრანგეთთან, რადგანაც შიშობენ, რომ სხვა სახელმწიფოებიც ასეთივე უპირატესობას მოითხოვენ.

კაპიტალის წინააღმდეგ

პრაღა, 18 თებერვალი. ოსტროვსკის ოლქის საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მეორე ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ერთიანი ფრონტის შექმნას კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ საბრძოლველათ. რეზოლიუციას ხმა მისცეს ყველა დელეგატებმა: კომუნისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა, ნაციონალ-სოციალისტებმა და გლეხთა დეპუტატებმა.

გერმანია-რუმინეთის კონფლიქტი

ვინ არის დამნაშავე?

ბერლინი, 18 თებერვალი. რეიხსტაგის საგარეო კომისიაში შტრეზემანმა უარყო პრესის ცნობა რუმინეთიდან გერმანიის ქვეშევრდომთა გადასახლების შესახებ. მაგრამ მან აღნიშნა, რომ გერმანია იტოვებს მოქმედების თავისუფლებას რუმინეთის მიმართ, რომელიც იმუქრება მიიღოს რეპრესიული ზომები გერმანიის წინააღმდეგ.

ჩინეთის ამბები

გაფიცვა შანხაიში.

პეკინი. 18 თებ. შანხაიში იაპონიის ფირმის, „გაიავატა“-ს ბამბის ფაბრიკის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა, რომელიც გადავიდა იაპონიის სხვა საფეიქრო ფაბრიკებშიც. ფიქრობენ, რომ გაფიცვას მხარს დაუჭერენ იაპონიის ყველა ფაბრიკების მუშები, რიცხვით 50.000 კაცი.

გაფიცვამ გამოიწვია სერიოზული შეტაკება მუშებსა და პოლიციის, და აგრეთვე იაპონელ ზედამხედველების შორის. ერთერთი ფაბრიკის მუშების გარეკვის დროს მუშებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციელებს. მოკლულია ერთი იაპონელი ზედამხედველი და დაჭრილია რამოდენიმე კაცი.

გაფიცულთა სიტყვებით, ზედამხედველები ხშირათ სცემდენ და საერთოდ მხეცურათ ეპყრობოდენ მუშებს.

სასჯელი ბოლშევიკური ლიტერატურის შენახვისათვის.

პეკინი. 18 თებ. შანხაის უნივერსიტეტის რექტორი ძო-ლი-ძე პასუხისგებაში მიცემულია ბოლშევიკური ლიტერატურის შენახვისათვის; ეს ლიტერატურა (500 ტომი მარქსის, ენგელსის, ლენინის, ზინოვიევის, ტროცკის და სხვების ნაწერებისა) აღმოჩენილი იქნა უნივერსიტეტში.

სასამართლომ დაადგინა აღნიშნული ლიტერატურა მოსპოს და უნივერსიტეტის რექტორს მიუსაჯოს 1.000 დოლარის გადახდა იმის საწინდრათ, რომ ის ხელს არ შეუწყობს კომუნისტურ პროპაგანდას.

სხვა და სხვა ამბები

— **არალეგალური კომუნისტური სტამბა.** ბელგრადში (სამხრეთ-სლავია) პოლიციამ აღმოაჩინა კომუნისტების არალეგალური სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი „კომუნისტი“. დააპატიმრეს 10 ასოთ-ამწყობი და პარტიის 7 წევრი.

— **აღიარებენ.** ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი აღიარებს, რომ ატლანტის სახელმწიფოებს შორის სწარმოებს მოლაპარაკება ვაშინგტონში განიარაღების საკითხის განსახილველად მეორე კონფერენციის მოწვევის შესახებ. წინათ კი სახელმწიფო დეპარტამენტი ამ ცნობას უარყოფდა.

— **პოლონელ პანების სტუმარი.** პოლონეთს ეწვია საფრანგეთის შრომის მინისტრი გოდარი.

— **კომუნისტის მოკვლა.** სოფიაში ბულგარეთის მთავრობის აგენტებმა მოჰკლეს კომუნისტი-დეპუტატი სტრაშიმიროვი.

— **კომუნისტებს აბრალებენ.** ფილიპოპოლში (ბულგრეთი) მოჰკლეს ბულგარეთის „ოპრანკის“ უფროსი. მთავრობის პრესა ამტკიცებს, რომ მკვლელობა კომუნისტების შურისძიების შედეგიაო.

— **სიმშილობის გამოცხადება.** სამხრეთ-სლავიის მუსულმანთა პარტიის მეთაურმა ფერნანდეეი დრაგამ, რომელიც 4 კვირაა ციხეში იმყოფება, ნიშნად პროტესტისა სასტიკი რეჟიმის წინააღმდეგ, სიმშილობა გამოაცხადა.

— **სურთ მოსპონ კომუნიზმი.** ბულგარეთის მთავრობამ გადასწყვიტა ჩამოართვას პარლამენტის წევრობის მანდატები ყველა კომუნისტ-დეპუტატებს და გააფართოოს კანონი „სახელმწიფოს დაცვის“ შესახებ, რათა საბოლოოთ აღმოფხვრას კომუნისტური მოძრაობა.

— **რუმინელ კომუნისტების სიმშილობა.** რუმინელი კომუნისტები კლოცენი, პაუკერი და ფაბიან, რომლებიც შილოვის ციხეში იყვენ დაპატიმრებული, გაანთავისუფლეს. დანარჩენი 4 კომუნისტი, რომლებიც მათთან ერთად სიმშილობდენ, ნახევრად ცოცხალ-მკვდარი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

კეთროვანება.

როსტოვი. 19 თებერვალი. ქალაქში აღნიშნულია 3 შემთხვევა კეთროვანებით ავად გახდომისა.

ზღვის ნაპირის ჩამონგრევა.

სიმფეროპოლი. 19 თებერვალი. სიმფეროპოლის რაიონის სოფელ ბერეგოვოეს ახლოს ჩამოინგრა ზღვის კლდიანი ნაპირი. კლდე, რომლის მოცულობა უდრიდა 15.000 კუბ. საჟენს და წონა—8 მილ. ფუთს, ისეთი სიძლიერით ჩამოინგრა, რომ მისი ქვედა ნაწილი მიწაში შეიჭრა 7 მეტრის სიღრმეზე. ზღვის ძირი კლდის ჩამონგრევის ადგილას ამოიბურთა და გაჩნდა ახალი კუნძულები და ნახევარი კუნძული, რომლის სიგრძე უდრის 150 მეტრს.

უდიდესი ამოცანა

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 19 თებერვალი. „პრავდა“ ასეთი სათაურით ათავსებს წერილს, რომელშიაც სწერს:

„დღეს ჩვენ ვდგევართ თავისებურ ისტორიულ ხანის წინაშე, ევროპაში დღეს არ არის ისეთი მძლავრი რევოლიუციონური ტალღა, როგორც იყო 1923 წლის შემოდგომაზე. მეორეს მხრივ რევოლიუცია ღვივდება აღმოსავლეთში. პირველ ყოვლისა—ჩინეთში. ერთი სწევს მეორეს მაგიერობას.

მაგრამ ზოგიერთი სკეპტიკოსები სჩივიან, რომ ამჟამად არ არსებობს ფართო ასპარეზი უდიდესი ამოცანისათვის, რომლის გადაწყვეტასაც უნდა შევუდგეთ მთელი ჩვენი აღფრთოვანებით. ეს არ არის მართალი. ასეთი საქმე უდიდესი საქმე არის. ეს არის ჩვენი სოფლის მოქცევა პროლეტარიატის იდეურ ზეგავლენის ქვეშ, იმ მრავალ ათეულ მილიონიან გლეხების დაპყრობა, რომლებიც გაფანტული არიან მთელ ჩვენ ქვეყანაში. ამ ამოცანის გადაწყვეტა ისეთივე მნიშვნელოვანია მთელი პროლეტარიატის საქმისათვის, როგორც ძლევამოსილი რევოლიუცია რომელიმე დიდ ქვეყანაში.

დახმარება და ფრთხილი ხელმძღვანელობის გაწევა გლეხობას,—რომ ის ავიდეს უმაღლეს საფეხურზე; დახმარება მას, რათა თანდათან გარდაქმნას თავისი თავი, შეეჩვიოს საზოგადოებრივ მუშაობას ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშათა კლასთან, ჩაუყაროს საძირკველი კულტურულ მეურნეობას, გლეხურ კოოპერაციის განმტკიცება, ელექტრიფიკაცია, გუთნის მაგიერ—ტრაქტორი, მკითხავის ნაცვლათ—ექიმი და აგრონომი კერძო მესაკუთრის ნაცვლათ—საზოგადოებრივი, კარგად და კულტურულათ მცხოვრები მუშაკი—განა ეს უდიდესი ამოცანა არ არის?

ამ ხაზით სწარმოებს დღეს ჩვენი პარტიის პოლიტიკა. ეხლა, როდესაც ჩვენ უფრო მეტი დრო და ძალა გვაქვს, როდესაც შენელდა მუშათა მოძრაობა დასავლეთში, როდესაც ჩვენ მოგვეცა საშუალება ასე თუ ისე შევისვენოთ,—სწორედ აქეთკენ უნდა მივმართოთ მთელი ჩვენი ძალა, ენერგია და რევოლიუციონური აღფრთოვანება.

პირველ ბრძოლებში ჩვენ უნდა გავიდეთ განმტკიცებული, დავაჟკაცებული, უფრო ძლიერი და ჯანსაღი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავიპყროთ სოფელი იდეურად, დარწმუნებით და საქმით“

ქორწინების შესახებ ახალი კანონის პროექტი

მოსკოვი. 15 თებ. კანონთა ახალ კოდექსის პროექტში ქორწინების, ოჯახის და მეურვეობის შესახებ შემოღებულია მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტთა ჩამწერ განყოფილების ახალი დებულება:

დაბადებათა, სიკვდილიანობის, ქორწინების, განქორწინების და შვილათ აყვანის ჩაწერა სწარმოებს პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა მიერ: სოფლის მცხოვრებთა — სასოფლო საბჭოებში, არასამაზრო ქალაქების—ქალაქის საბჭოებში, სამაზრო ქალაქების მცხოვრებთა—„მმაჩის“ სამაზრო განყოფილებებში, საგუბერნიო და საოლქო ქალაქების მცხოვრებთა—მმაჩის სათანადო ქვეგანყოფილებაში. ეს ჩაწერა და ყოველგვარ პირველად მოწმობების გაცემა სწარმოებს უფასოთ და განთავისუფლებულია ყოველგვარ გადასახადებისაგან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

საბჭოების ყრილობა

ბათომი. 19 თებერვალი. აჭარისტანის საბჭოების ყრილობა მოწვეულია 20 მარტისათვის.

მუშა-ქალის დღისათვის.

ბათომი. 19 თებერვალი. მუშა-ქალის საერთაშორისო დღისათვის სოფელ დიდუსანში იხსნება ჭრა-კერვის სკოლა.

პოლიტცოდნის კურსები.

ბათომი. 19 თებერვალი. მუშათა ცენტრალურ კლუბში პროფკავშირთა საბჭომ გახსნა პოლიტ-ცოდნის კურსები სომხურ ენაზე.

აზერბეიჯანი

ახალი ქარხნის აგება.

ბაქო. 19 თებერვალი. ბაქოში ჩამოვიდა ინგლისელ ბიკერსის ქარხნების წარმომადგენელი, ქიმიის დოქტორი ლაუსენი. მისი ჩამოსვლის მიზანია—საბოლოო მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ბაქოში აგებული იქნეს ნავთის საწმენდი ახალი ქარხანა. ლაუსენის ჩამოსვლა დაკავშირებულია „აზნავთის“ უფროსის—სერებროვსკის მოგზაურობასთან ინგლისში.

საუბარი აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. თავმჯდომარესთან.

ბაქო. 19 თებერვალი. აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. თავმჯდომარეთ დანიშნულმა გაჯი კასუმოვმა „აზერტაგის“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ აზერბეიჯანის ს. მ. უ. ს. ამჟამათ ახდენს აზერბეიჯანის მრეწველობის რეორგანიზაციას განსაზღვრული გეგმის მიხედვით. კასუმოვის აზრით, საჭიროა აზერბეიჯანის ლითონის მრეწველობის სააქციონერო საზოგადოებათ გადაქცევა; ამ საზოგადოებაში ჩაბმული უნდა იქნენ მეზობელი რესპუბლიკები—საქართველო და სომხეთი. ლითონის მრეწველობამ უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ დააკმაყოფილოს მასიური მომხმარებელი, უმთავრესათ გლეხობა.

ჩრდილოეთ-კავკასიის ალმასკომის წინადადება.

ბაქო. 19 თებერვალი. ჩრდილოეთ-კავკასიის საოლქო ალმასკომმა წინადადება მისცა აზერბეიჯანს მონაწილეობა მიიღოს ვოლგა-დონის არხის გაყვანაში, ეს საკითხი აზერბეიჯანის ცაკმა გადასცა რაიონებად დაყოფის კომისიას.

ქალაქის აღმასკომის პლენუმი

გუშინ, 19 თებერვალს შესდგა თბილისის ალმასკომის მორიგი სხდომა. დღის წესრიგში იდგა: 1) შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისიის დასკვნები ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის მუშაობათა მსვლელობის შესახებ, 2) ელექტრონულ ნაგებობათა თბილისის სამმართველოს მოწყობა, 3) საორგანიზაციო ბიუროს მოწყობა და 4) მიმდინარე საკითხები.

შრომის და თავდაცვის კომისიის დასკვნები ზაჰესზე.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ინჟ. მელიქ-ფაშაევმა, რომელმაც პლენუმს გააცნო ამას წინად ზემო-ავჭალ. ელსადგურის ნაგებობათა დასათვალიერებლად საგანგებოდ ჩამოსული კომისიის დასკვნები, რომელიც კომისიას წარუდგენია შრომისა და თავდაცვის საბჭოში. კომისია თავის დასკვნებში სავსებით იწონებს დღემდე წარმოებულ მუშაობას. მას ფრიად მოხერხებულად მიაჩნია ქაშხალის ასაგებად შერჩეული ადგილი. კომისიის აზრით სავსებით დამაკმაყოფილებელია, როგორც გეოლოგიური ნაშენობა, ისე დღემდე შესრულებული ჰიდრო-ტეხნიკური სამუშაონი. კომისია ადასტურებს აგრეთვე ზემო-ავჭალის დიდს ეკონომიურ მნიშვნელობას და მისი ექსპლოატაციის ხელსაყრელობას. პლენუმმა ამხ. მელიქ-ფაშაევის მოხსენება მიიღო ცნობად.

ელექტრო-ნაგებობათა სამმართველოს მოწყობა

(მომხსენებელი [illegible])

ზემო-ავჭალის დამთავრებული ელსადგურის ენერგიის გამოყენებისათვის საჭიროა დაბალი ძაბვის ქსელის გაყვანა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს საკუთარს აპარატს. მომხსენებლის აზრით თბილისის ელექტრო ნაგებობათა სამმართველო, რომელიც ტეხნიკური მუშაობის დაბრუნების შემდეგ მუდმივ დაწესებულებად გადაიქცევა, უნდა მოეწყოს კომუნალურ მეურნეობის განყოფილებასთან.

თანამომხსენებლად გამოვიდნენ სპეციალისტები ინჟ. ვასილიევი და ხაჩატუროვი, რომელნიც ადასტურებდენ ცალკე აპარატის შექმნის საჭიროებას კომუნ. განყოფილებასთან.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ ალმასკომი დაეთანხმა მომხსენებელს.

ბინის ახალი კანონი

ამავე სხდომაზე ამხ. ბაბუნაშვილი აცნობებს პლენუმს, რომ სახ. კომ. საბჭომ უკვე დაამტკიცა ბინის ახალი კანონი მცირე ცვლილებებით, რომელიც შეეხება ბინის ქირის გადაუხდელობის საკითხს და კანონის ძალაში შესვლის ვადას. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით უარყოფილია ბინის ქირის გადაუხდელობისათვის ადმინისტრატიული წესით გამოსახლება. რაც შეეხება კანონის ძალაში შესვლის ვადას, ნაცვლად პირველი იანვრისა, კანონს ძალა ეძლევა ამა წლის პირველი მარტიდან.

ეკონომიური ცხოვრება

ფოთის სატყეო რაიონი

რა ზომებია საჭირო შეშის კრიზისის მოსასპობად

სატყეო მრეწველობის ტრესტის ფოთის რაიონმა მოიწვია სამხედრო მესანგრეები, რომლებმაც ასაფეთქებელი საშუალებებით დაამტვრიეს პალიასტომის ტბის ყინვები ქ. ფოთიდან დაწყებული თვით ტყემდე, მდ. ფიჩორის პირამდე. 5 თებერვალს უკვე გავიდა ნავები შეშის ჩამოსაზიდავად. მესანგრეები მუშაობდენ და ამტვრევდენ ყინვას 3—4 დღეს.

ზემო-ქალადიდის რაიონში შეშის გამოზიდვა სწარმოებს და გამოაქვთ რკინისგზის მაგისტრალზე, დღეში 50 კუბ. საჟენამდე, მაგრამ რკინის გზა არ იძლევა საკმარის რონოდებს, რომ შეშა თავის დროზე გავგზავნოთ დანიშნულებისამებრ. ამ მიზეზების გამო მდგომარეობა გამწვავებულია და ხანდახან შეშის დასაწყობი ადგილიც არ არის რკინისგზის მაგისტრალზე ქალადიდში. ეს ხდება იმ დროს, როდესაც შეშის საკითხი მწვავედ სდგას, როგორც თბილისში, ისე სხვა ქალაქებშიაც. ამისათვის საჭიროა მიექცეს ყურადღება, ვისგანაც ჯერ არის, რათა სატყეო მრეწველობის ტრესტს რონოდები მიეცეს საკმაო რაოდენობით.

დღემდე თვით ფოთში შეშის კრიზისი იყო და მცხოვრებლებს, მოსამსახურეებს და დაწესებულებებს შეძლებისდაგვარად აკმაყოფილებდა რაიონი და დღეს კი ყველა მცხოვრებს თუ დაწესებულებას შეუძლია მივიდეს და მიიღოს ფოთის რაიონის სატყეო მრეწველობის ტრესტში შეშა არა ერთი მერვედი კუბ. საჟ. არამედ რამდენიც საჭიროა მისთვის.

საერთოდ სატყეო მრეწველობის ფოთის რაიონმა მიიღო ყოველგვარი ზომები შეშის თავის დროზე მისაწოდებლად. განსაკუთრებით დიდი ენერგია გამოიჩინა ფოთის სატყეო რაიონის ადმინისტრაციამ განვლილი უამინდობის დროს.

მუშკორი ფო—ლი.

ბაზარზე.

გუშინ მონადირეებმა გამოიტანეს ბაზარზე გარეული იხვები. შედარებით იაფად ჰყიდიან: თითო—მანეთი—ექვსი აბაზი, წვრილები—50-60 კ.

ფრინველების ბაზარზე მორეკეს ინდაურები. კარგი ინდაური იყიდება 3 მანეთი 50 კაპ.—3 მანეთად.

ბაზარზე გაჩნდენ კურდღლებიც, რომელთაც ვერ ნახავდით გუშინ და გუშინწინ. ფასი ძველებურია: ექვსი აბაზი—მანეთ ნახევარი თითო ცალი.

მეწვანილეებთან ბოლოკი სამი შაურია გირვანქა, რედისკა—სამი შაური—აბაზი ერთი შეკვრა, ყოველგვარი შეღავათის გარეშე.

ორაგულის და ზუთხის ფასი ეცემა, რადგან განმტკიცდა ფასი სახელმწიფოს თევზის სავაჭროებში, სადაც, როგორც ორაგული, ისე ზუთხი იყიდება ათ შაურათ გირვანქა.

ხრამულის ფასი ხან აიწევს, ხან დაიწევს ბაზრის ერთ თავში შეიძლება იყიდოთ ექვს შაურად, მეორეში ორ აბაზად, ხოლო პუშკინის ქუჩაზე მაღაზიებში ორ შაურადაც ჰყიდიან გირვანქას.

კვერცხი იაფდება. ბითუმად მოვაჭრეები 100 ცალს ჰყიდიან 4 მან. 20 კაპეიკათ, ათ ცალს იშოვნით ცხრა შაურად.

საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავისათვის

(თეზისები*)

1. 1921 წლის თებერვლის 25-ს საქართველოში დაეცა მენშევიკური ხელისუფლება. ეროვნულ წვრილ ბურჟუაზიის ხანმოკლე ბატონობამ, რომელმაც თვითმპყრობელობა შესცვალა, თავის მხრივ საბჭოთა ხელისუფლებას დაუთმო ადგილი.

ეს დღე—25 თებერვალი სამუდამოთ დარჩება ჩვენი გლეხებისა და მუშების ხსოვნაში მოგონებათ ხანგრძლივი და სასტიკი ბრძოლის გამარჯვებით დასრულებისა.

2. საქართველოს მშრომელნი არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ მჩაგვრელთა წინააღმდეგ აჯანყების დროშის აფრიალების წამს—მათ დაუყოვნებლივ მიიღეს დახმარება წითელი არმიისაგან, რომელიც, იმ დროისთვის, ოქტომბრის რევოლიუციის დასაცავად, სასტიკ ბრძოლებში გაწვრთნილი, დიდ ძალას წარმოადგენდა.

წითელი არმიის დახმარება მუშებისა და გლეხების საერთაშორისო სოლიდარობაზე მეტყველებს.

3. საბჭოთა საქართველო ამიერ-კავკასიის ფედერაციის მეშვეობით შედის საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირში. საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავზე საჭიროა გამუქებულ იქნეს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა და აღნუსხულ იქნეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების კონკრეტიული მიღწევანი.

4. შინაურ მდგომარეობის დარგში საბჭოთა ხელისუფლებამ უდიდეს გამარჯვებებს მიაღწია: ფულის რეფორმა ჩატარდა ბრწყინვალედ; იზრდება სოფლის მეურნეობა; ურყევია კავშირი მუშებისა და გლეხების.

უკანასკნელ წლებში მრეწველობას სწრაფი გაფართოება და პროდუქციის ზრდა ახასიათებს. ბიუჯეტი, რომელიც მგრძნობიარე ბარომეტრია ქვეყნის მეურნეობისა, 3 მილიარდამდე აღწევს. შემოსავალმა გასავალს 180 მილიონით გადაამეტა.

5. საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში ჩვენ მივაღწიეთ შემდეგს: საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული ძალებით თუ ეკონომიურ ბოიკოტის საშუალებით დამხობის უნაყოფო ცდის შემდეგ, ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა გამართეს ჩვენთან ჯერ კომერციული, შემდეგ პოლიტიკური ურთიერთობანი.

ეხლა ჩვენ ცნობილი ვართ ევროპის ქვეყნების უმრავლესობისაგან. იაპონიასთან დადებულ ხელშეკრულებას მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

უახლოეს დროში ამერიკის მიერ ს.ს.რ. კავშირის ცნობა აუცილებელია.

6. საბჭოთა კავშირის შინაური და საგარეო ძლიერების ზრდა მსოფლიო იმპერიალიზმისთვის უდიდეს საშიშროებას წარმოადგენს.

შესაძლებელია ბურჟუაზიის ახალი შემოტევა მოზარდ პროლეტარულ დიქტატურის ქვეყანაზე. ამიტომ მუშები და გლეხები როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც მზად უნდა იყვენ რევოლიუციის დასაცავად.

7. უკანასკნელ წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ მიაღწია დიდ გამარჯვებებს, სძლია რა დიდი დაბრკოლებანი, თუმცა მოკლებული იყო ვ. ი. ლენინის უშუალო ხელმძღვანელობას.

მოკვდა ლენინი, მაგრამ ლენინიზმი ცოცხალია. დარჩა მეთაურის ანდერძების ერთგული კომუნისტური პარტია. პარტია რჩება ერთიანი, მტკიცე და აღსავსე დისციპლინით; იგი თავს უყრის და წვრთნის მილიონიან მასსებს პროლეტარულ დიქტატურის დროშის ქვეშ, მუშებისა და გლეხების თანამშრომლობის ნიადაგზე.

8. დიდ გამარჯვებებს მიაღწია საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოშიც.

4 წლის ენერგიულმა მუშაობამ არ გაამართლა „მშობლიური“ და უცხო კონტრ-რევოლიუციის იმედები, თუმცა მუშაობა მეტად მძიმე პირობებში სწარმოებდა. საქართველოს მშრომელთა ერთსულოვანმა მეცადინეობამ და საკავშირო პროლეტარიატის ძმურმა შემწეობამ მშენებლობის მძიმე ამოცანა გააადვილეს, და გახადეს შესაძლებლად ისეთ მიღწევათა მოპოვება, რომელნიც ჩვენ მტრებსაც კი აიძულებენ საბჭოების მუშაობა იცნან საქმიანად და შინაარსიანად.

9. შეუდგა რა აღმშენებლობით მუშაობას, შინაურ და გარეშე ბურჟუაზიის ყაჩაღურ პოლიტიკის შემდეგ გაძარცულ და გაღატაკებულ ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო თავის არსებობის პირველ დღეებში მხოლოდ დაპირებათა მიცემა.

ეხლა მას შეუძლია აჩვენოს, რამდენად სინდისიერათ ასრულებდა იგი თავის ვალდებულებათ.

ინგლისის ტრედ-იუნიონების დელეგაციის წევრებმა, თუმცა ისინი კომუნისტები არ არიან, ინახულეს რა საქართველო, განაცხადეს: „დელეგაციას არსად არ უნახავს „დანგრეული საქართველო“, რაზედაც ხშირად გაიძახიან საბჭოთა კავშირის მტრები.

საქართველოში ყველგან სწარმოებს დიდი მუშაობა მშრომელთა ეკონომიურ და კულტურულ დონის ასამაღლებლად“.

10. საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში უდიდესი მნიშვნელობის მუშაობა ჩაატარა: სოფლის მეურნეობას აშკარად ეტყობა გამოცოცხლება ხელისუფლება ენერგიულ ზომებს იღებს ძვირფას სას.-სამეურნეო კულტურის დასაცავად და განსავითარებლად.

მენშევიკების დროსთან შედარებით თამბაქოს ნოშენება 61,6 პროც.-ით გაიზარდა. იგი მომავალშიაც გაფართოებულ იქნება.

მევენახეობის ფილოქსერისაგან დასაცავად ხელი მივყავით ამერიკულ ვაზის მრავლად მოშენებას. 1921 წელს მოშენებულ იქნა ამერიკულ ვაზის 163 ათასი ცალი, 22 წელს 300 ათასი, ხოლო 24-ში 622 ათასი.

სამელიორაციო მუშაობა ჩქარი ტემპით სწარმოებს, დასავლეთ საქართველოში არხები უკვე რწყავენ 35,000 დესეტინა ბაღს. გორის მაზრაში გვაყვას არხი 98 ვერსის სიგრძეზე. იგი მორწყავს ტირიფონის ველს საერთო სივრცით 264.000 დეს. დღეს უვარგისი, შემდეგისთვის ეს ველი საქართველოს მასაზრდოებლად გადაიქცევა.

უკვე შეუდგენ ფოთის გარშემო მდებარე ჭაობების დაშრობას. ეს მოგვცემს ათიოდე ათას დესეტინა ნოყიერ მიწას.

მთავრობა აფართოებს ჩაის მცენარის მოშენებას.

მიღებულია ზომები ქინაქინის ხის გადმონერგვისათვის; მაშინ საქართველოს ექნება საკუთარი ქინაქინა.

ასეთია საბჭოების მუშაობა სასოფლო მეურნეობის აღორძინებლად.

11. სახელმწიფომ მოუპოვა გლეხობას სასოფლო-სამეურნეო ბანკის სახით საიმედო მოკავშირე. სას. სამეურნეო ბანკი მოწოდებულია იხსნას ღარიბი გლეხობა მევახშეების კლანჭებისაგან და დაეხმაროს მას თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებაში.

ახლანდელი სახელმწიფო გადასახადები ომის წინა დროის გადასახადების მხოლოდ 50 პროც. შეადგენენ. „მაკრატელი“-ს პირი შეკრულია. გადაწყვეტილია მიწის საკითხი, დაძლეულია თავად-აზნაურების უხეში წინააღმდეგობა.

12. მრეწველობის დარგშიაც ბევრი რამ არის გაკეთებული.

ჩვენი ქვეყნის მთელი ძალების მობილიზაციის და მოკავშირე რესპუბლიკების დახმარების შედეგათ 1926 წლის მაისის პირველისათვის თბილისის ახლოს ამუშავდება ჰიდროელექტრონული სადგური 38.000 ცხენის ძალისა. იგი გააიაფებს ელექტრონის ფასს 40-ჯერ; იგი შესაძლებელს გახდის ჩათახის ქარხნის ელექტროფიკაციას.

აშენებულია უკვე აბასთუმნის ელექტრ. სადგური. შენდებიან აჭარისტანის, რიცეულის (25.000 ცხ. ძალისა), ახალციხის და აბაშის.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლება გამოიყენებს ელექტრონის ამ აურაცხელ ენერგიას ფერრო-მარგანეცის წარმოების შესაქმნელად; და თუ თეთრგვარდიელთა გაბოროტებული პრესა ქუთაისის მაუდის ქარხანას „დანაელთა საჩუქარს“ უწოდებს, ემყარება რა იმ მოვლენას, რომ დასახელებული ქარხანა ჯერობით მხოლოდ 40 მუშით კმაყოფილდება,—აშკარაა, რომ ეს განმარტება უძლური გაბოროტების შედეგია. ამ ქარხანაში მუშების რიცხვი 400-მდე იქნება აყვანილი.

გაყვანილია ნატანებ-ოზურგეთის რკინის გზა. ყველგან სწარმოებს მენშევიკების დროს გაფუჭებული გზების შეკეთება.

13. მუშათა კლასის მდგომარეობა შეუჩერებლად უმჯობესდება. ზოგიერთ დარგში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ომამდე არსებულ დონეს, სამაგიეროთ ზოგ დარგში გადავამეტეთ მას; წარმოებათა და დაწესებულებების ხარჯზე დაზღვეულია ყველა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო რაოდენობის 92 პროც. მენშევიკების დროს კი დაზღვეული იყო მუშა-მოსამსახურეების საერთო რაოდენობის მხოლოდ 25 პროც. ამასთანავე დაზღვეულნი იხდიდენ თავის ჯამაგირიდან დასაზღვევ გადასახადის 50 პროც. ეხლა კი დაზღვევა სახელმწიფოს და დამქირავებელთ აწვება სავსებით.

14. საბჭოთა ხელისუფლებამდის დასასვენებელ სახლებზე წარმოდგენაც არ ჰქონდა არავის.

1922 წ. დასასვენებელ სახლებში ჩვენ გავგზავნეთ 500 მუშა. 23 წელს 3000, ხოლო 24-ს უკვე 4000 მუშა. მაშასადამე სამი წლის განმავლობაში დასასვენებელ სახლებში გატარებულ იქნა 7.500 მუშა და მოსამსახურე. მათ შორის 75 პროც. ფიზიკურად მომუშავენი და 25 პროც. გონებრივათ.

აგარაკებზე გადაგზავნილ იქნა უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში 2.520 მოსამსახურე. აბასთუმანში დამთავრებულ იქნა და გაიხსნა სანატორიუმი „არაზინდო“ (230 ლოგინით). მარტო თბილისში ჩამოერთვა სახლის პატრონებს და გადაეცა მუშებს 202 სახლი (7.000 ოთახით); ეწყობიან შეღავათიან პირობებში მუშათა უბნები.

15. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ წარმოშვა გლეხებისა და სახელმწიფო მრეწველობის შორის განხეთქილების ნიშნები: შეეგუა და გაიზარდა კერძო კაპიტალი. უკანასკნელ წლებში კერძო სავაჭრო კაპიტალი სოფელში დიდ როლს თამაშობს. კერძო ვაჭრობას ქალაქშიაც შესამჩნევი ადგილი უჭირავს. რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-13 ყრილობამ მისცა კოოპერაციას და სახელმწიფო ორგანოებს დირექტივა თანდათან განდევნონ ამ პოზიციებიდან კერძო ვაჭარი. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია, რაც შემდეგში წინსვლის იმედებს გვაძლევს.

16. საბჭოთა ხელისუფლება დიდი ყურადღებით ეპყრობა უღარიბეს და საშუალო გლეხობის ყოფა-ცხოვრებას. სოფლის ცხოვრების კითხვები ხელისუფლებას ყურადღების ცენტრში აქვს მოქცეული. გლეხობის ცხოვრების კონკრეტიულ პირობათა შესწავლა, სათანადო ზომების შემუშავება, შერჩევა ხელმძღვანელი პერსონალის, უპარტიოთა ჩაბმა ალმასკომების, გლეხკომების, კოოპერატივების და სხ. მუშაობაში,—აი მთელი რიგი ზომების, რომელთაც ჩვენ ვატარებთ სოფლებში.

17. მშრომელთა ფართე მასსების კულტურულ დონის ამაღლებისათვის ბრძოლას, ან ეგრედწოდებულ „მესამე ფრონტზე“ ბრძოლას, საბჭოთა ხელისუფლების მუშაობაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. სახელმწიფო ბიუჯეტის 55 პროც. იხარჯება სწავლა-განათლებაზე. სამაზრო ალმასკომებიც თავის მხრივ ამატებენ ცენტრალურ ხელისუფლების დოტაციას. არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში არ იხარჯება განათლების საქმეზე ბიუჯეტის ამდენი პროცენტი.

18. 1927 წლისათვის გადაწყვეტილია საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია. განათლების კომისარიატი თავის მუშაობის გეგმას ამ ანგარიშზე აშენებს. ბავშვთა რიცხვი სკოლებში შედარებით 1914 წელთან გაიზარდა 144 პროცენტით. მასწავლებელთა რაოდენობაც გადიდდა. საქართველოში ამჟამად არსებობს 46 საბავშვო სახლი, 20 საბავშვო ბაღი, 332 ქოხ-სამკითხველო, 2000 სალიკვიდაციო პუნქტი, 53 სახალხო სახლი, 135 კლუბი, 157 ბიბლიოთეკა. საქართველოს ორ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 10.000 კაცზე მეტი ახალგაზრდა. საბჭოთა პარტიული სკოლები ყოველწლიურათ უშვებენ დაახლოვებით 750 მომუშავეს საბჭოთა პარტიულ ქვედა საფეხურის აპარატისათვის.

19. საბჭოთა ხელისუფლებამ არა მარტო მშრომელთა კულტურულ-ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას მიაქცია ყურადღება,—მან მოგვცა მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა მეზობელ ერებთან. სამუდამოდ გაქრა ის დრო, როცა გლეხი არ იყო დარწმუნებული, რომ მის მიერ დათესილ პურს თვითვე მოიმკიდა. წვრილ ბურჟუაზიის მთავრობას არ სურდა მშვიდობიანობა და, რასაკვირველია, არ შეეძლო მისი მოპოვება.

20. საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მშრომელ მოსახლეობას არა მარტო მშვიდობიანობა და სიწყნარე: მან დასვა ეროვნული კითხვა დღის წესრიგში და მონახა საშუალება მის გადასაწყვეტათ. გამომუშავებულ იქნა ახალი ფორმა ეროვნებათა თანამშრომლობისა, რომელიც თანაბრათ აკმაყოფილებს როგორც მათ მისწრაფებას დამოუკიდებელ კულტურულ-ეკონომიურ განვითარებისაკენ, ისე რევოლიუციონურ შეკავშირების ინტერესებსაც.

21. მენშევიკები და სხვა კონტრ-რევოლიუციონური პარტიები საქართველოში, რომელნიც სცდილობდენ დაერწმუნებიათ ხალხი, რომ მხოლოდ ისინი იცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას, სინამდვილეში ხელს უწყობდენ ევროპა-ამერიკის კაპიტალის ცდას, რომელიც საქართველოს კოლონიათ გადაქცევისაკენ იყო მიმართული.

22. საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავი უკავშირდება წითელი არმიის 7 წლის თავის დღეობას.

საბჭოთა კავშირის ძლიერების შექმნაში გადამწყვეტი როლი ითამაშა წითელმა არმიამ—მსოფლიო რევოლიუციის ამ ერთგულმა დარაჯმა. წითელი არმია მეშვიდე წლის თავს ეგებება ჩაბმული დაუღალავ მუშაობაში ტეხნიკის გაძლიერება-განახლებისათვის და ყოვლმხრივი განსწავლისათვის.

ჩამოყალიბდენ უკვე ნაციონალური ნაწილები.

წითელი არმია არის პოლიტიკური აღზრდის და სამხედრო მომზადების სკოლა. იგი გადადის ნაწილობრივად სამილიციო სისტემაზე—ტერიტორიალურ ნაწილების სახით, რაც უფრო მჭიდროთ შეაკავშირებს მას მუშებისა და გლეხების ფართე მასსებთან.

23. სრულიად და სამუდამოდ აღმოფხვრილია მშრომელი ინტელიგენციის უნდობლობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ისე კერძოთ საქართველოშიაც, სადაც ეს უნდობლობა განსაკუთრებით ძლიერი იყო.

სრულიად საქართველოს და შემდეგ სრულიად საკავშირო მასწავლებელთა ყრილობებმა საკმაოდ გამოააშკარავეს ეს.

24. ანტი-საბჭოთა პარტიებმა ხელისუფლებასთან ბრძოლაში საბოლოოდ დაკარგეს თავიანთი მუშურ-გლეხური ელემენტები, ამან აიძულა მენშევიკები და სხვა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციები გადაეტანათ თავიანთი სოციალური ბაზისი უფრო მარჯვნივ და დაყრდნობოდენ უშუალოდ ბურჟუაზიისა და თავად-აზნაურობას.

კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების გაერთიანებამ, პარიტეტულ კომიტეტის სახელწოდებით, გათამამებულმა მე-2 ინტერნაციონალის მორალურ დასტურით და მატერიალურ დახმარებით იმ საზღვარ-გარეთელ ფინანსიურ ჯგუფებისაგან, რომელნიც ბაქოს ნავთით და ჭიათურის მარგანეცით არიან დაინტერესებულნი,—გადასწყვიტა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა.

მუშებისა და გლეხთა მასსებმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა ხელისუფლებას. ავანტიურა სწრაფად ჩაქრობილ იქნა.

საქართველოს კონტრ-რევოლიუციამ საბოლოოდ დაკარგა ნდობა საქართველოს მოსახლეობის თვალში.

25. იღებს რა ყოველგვარ ზომებს იმ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად, რომელნიც გამოააშკარავა აჯანყებამ, საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად დასჯის როგორც აჯანყების მომწყობთ, ისე კომუნისტურ პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების უღირს წარმომადგენლებს ადგილებზე.

ს. კ. პ. ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

---

*) ს. კ. პ. ცეკას აგიტგანყოფილება წინადადებას აძლევს 25 თებერვლის კამპანიის ჩასატარებლათ დანიშნულ ამხ. მომხსენებლებს იხელმძღვანელონ ამ თეზისებით.

ს. კ. პ. ც. კ. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

ს.ს.ს. რ. სახ. კომისართა საბჭ. ინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი
ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმია შვიდი წლის თავზე

ამხ. ფრუნზეს მოხსენება*)

მოხსენებაში, რომელიც წაკითხული იქნა დიდ თეატრში მოსკოვის გარნიზონის სამხედრო მუშაკების კრებაზე 15 თებერვალს, ამხ. ფრუნზემ სთქვა:

— ამხანაგებო! ამ დღეებში ჩვენ ვდღესასწაულებთ მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის შვიდი წლის თავს. ასეთ დღეებში ჩვენი აზრი, რასაკვირველია, სცდილობს განთავისუფლდეს ყოველდღიურ მუშაობისა და მიმდინარე ზრუნვისაგან, სცდილობს მოიხედოს უკან და შეამოწმოს იმ გზების სისწორე, რომლებითაც ჩვენ მივდიოდით.

ორი პერიოდი

დღევანდელ მოხსენებაში მე მინდა შევჩერდე იმ ამოცანებზე, რომლებიც დასმულია ჩვენი წითელი არმიის წინაშე საბჭოთა კავშირის ეხლანდელი მდგომარეობის გამო. თავის 7 წლის არსებობის განმავლობაში წითელმა არმიამ განიცადა ორი სხვადასხვაგვარი პერიოდი. პირველი—ეს არის პერიოდი მისი შექმნისა, ზრდისა და გმირული, სახელოვანი ბრძოლისა რევოლიუციის შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ. მეორე—ომის შემდგომი ხანის პერიოდი, რომელიც დაიწყო 1920 წელში, როდესაც წითელი არმია ჩაება მშვიდობიან აღმშენებლობაში.

რა შეიცვალა ჩვენში უკანასკნელი წლების განმავლობაში? უპირველეს ყოვლისა, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ შინაური აღორძინების ფაქტი. 1920 წელს, როდესაც ჩვენ შევუდექით მშვიდობიან აღმშენებლობას, ჩვენი სახალხო მეურნეობა და მწარმოებელი ძალები დანგრეული და დაშლილი იყო, როგორც ქალაქში, ისე სოფლად, და ამის გამო მუშათა კლასი და გლეხობა მძიმე მატერიალურ მდგომარეობას განიცდიდა. მაშინ არა მარტო ჩვენს მტრებს საზღვარგარეთ, არამედ მრავალ ჩვენგანსაც საბჭოთა რუსეთში ეჭვი ებადებოდა, შევსძლებთ თუ არა ჩვენ, შესძლებს თუ არა მუშათა კლასი და გლეხობა სამეურნეო აღორძინების იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ჩვენს წინაშე წამოაყენა ისტორიამ. იმედი იმისა, რომ ჩვენ ვერ შევსძლებთ მშვიდობიანი აღმშენებლობის ამოცანების გადაწყვეტას, უადვილებდა ჩვენს მტრებს ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამის შემდეგ გავიდა 4 წელი. სამეურნეო აღორძინებამ, რომელიც უდავო ფაქტათ გახდა, ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებას. ჩვენ ვხედავთ, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ეს ნათლად და მკაფიოდ გამოაშკარავდა იმ სოციალური ფენების პოლიტიკური განწყობილების შეცვლაში, რომლებიც წინეთ მონაწილეობას არ იღებდენ მუშათა კლასის და გლეხობის ბრძოლაში. მე მხედველობაში მაქვს ჩვენი ინტელიგენტური შრომის სხვადასხვა კატეგორიები. ყველა ეს ფაქტები ამტკიცებენ, რომ საბჭოთა სახელმწიფო თანდათან მტკიცდება, რომ საბჭოთა კავშირი თანდათან მძლავრ ეკონომიურ და პოლიტიკურ ძალათ ხდება.

ყველა ამის შემდეგ ჩვენ უნდა გვეფიქრა, რომ ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა შესამჩნევათ განმტკიცდებოდა და ამასთან ერთად შემცირდებოდა სამხედრო საშიშროებაც. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა მართლაც განმტკიცდა. ჩვენი მეურნეობის ზრდასთან და საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის განმტკიცებასთან ერთად ჩვენ გვაქვს საბჭოთა დიპლომატიის უდიდესი გამარჯვების ფაქტები. მაგრამ, ამხანაგებო, ჩვენ უდიდეს შეცდომას ჩავიდენდით, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ ფაქტებთან დაკავშირებულია სამხედრო საშიშროების შემცირება. **საშიშროება არ შემცირებულა, პირიქით, ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცების გამო, ის კიდევ უფრო გაიზარდა.** რატომ არის ასე? **იმიტომ, რომ ჩვენი სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ზრდა მაჩვენებელია ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური მსოფლიოს დასასრულის მოახლოვების; იმიტომ, რომ იმედი, რომელსაც ჩვენი მტრები ამყარებდენ ჩვენი ეკონომიური დამარცხების აუცილებლობაზე, არ გამართლდა. იმიტომ, რომ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს განმტკიცების ფაქტი უძლიერესი საშუალებაა აგიტაცია-პროპაგანდის საწარმოებლად, უძლიერესი იარაღია ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური მსოფლიოს დასანგრევათ.**

ანტისაბჭოთა კამპანია

აი მთავარი მიზეზი, რომელიც გვაიძულებს ჩვენ ამჟამად დიდი სიფრთხილე და დაკვირვება გამოვიჩინოთ დიპლომატიური გამარჯვებების შეფასებაში, ჩვენ არ უნდა გაგვიტაცოს გამარჯვებებმა და ყურადღებით უნდა ჩაუკვირდეთ ყველაფერს, რაც კი ხდება ჩვენს გარეშემო არსებულ ბურჟუაზიულ მსოფლიოში.

მე ვსთქვი, რომ პოლიტიკური და სამხედრო საფრთხეები უკანასკნელ დროს გაიზარდა. ამას ამტკიცებენ მთელი რიგი ფაქტები. თქვენ გახსოვთ ის ფართო კამპანია, რომელიც გაჩაღდა ამას წინად მთელს ევროპაში—ახალი ანტისაბჭოთა ბლოკის შესაქმნელად; თქვენ გახსოვთ როგორი ლაპარაკი და მოლაპარაკება სწარმოებდა ამ თემაზე ბალკანეთის სახელმწიფოებს—დასავლეთით ჩვენს უახლოეს მეზობლებს შორის; თქვენ გახსოვთ კონფერენცია ჰელსინგფორსში, სადაც უკანასკნელნი არჩევდენ საკითხს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ. დაბოლოს, საკმარისია მოვიგონოთ ჩვენი მეზობლების, განსაკუთრებით რუმინეთის და პოლონეთის შეიარაღების გაძლიერება, ისინი თავიანთი ბიუჯეტის ორ მეხუთედს ხარჯავენ საომარ მიზნებზე. ყველაფერი ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც გვაიძულებენ ჩვენ სერიოზულად ჩაუფიქრდეთ ჩვენს მდგომარეობას და შევამოწმოთ, ვიქცეოდით თუ არა ჩვენ სწორად, როცა ასე ფართოდ ვამცირებდით ჩვენს შეიარაღებულ ძალებს. ამ კითხვაზე პასუხი უნდა მოგვცეს ჩვენი ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის გარჩევამ.

მუშათა მოძრაობის ახალი ხანა

ავიღოთ საერთაშორისო პროლეტარული მოძრაობა. რას ვხედავთ ჩვენ აქ. უკანასკნელ წლებში მოძრაობის ხასიათი შეიცვალა. თუ 4 წლის წინ და უფრო გვიან ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური მსოფლიო დაუყოვნებლივი პროლეტარული რევოლიუციის საფრთხის წინაშე იდგა, ეხლა კი ეს საფრთხე უფრო შორეული გახდა. საერთაშორისო მუშათა მოძრაობამ იმპერიალისტური ომის დამთავრებისთანავე ვერ გადასჭრა კაპიტალიზმის ლიკვიდაციის ამოცანა. ეხლა ის შევიდა რევოლიუციონურ ძალთა დაგროვების და მომავალ ბრძოლებისათვის მზადების ახალ ხანაში. ჩვენი საერთო ინტერესების თვალსაზრისით ეს მინუსია, რადგან მუშათა და გლეხთა კავშირი იძულებულია გამოურკვეველი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დარჩეს ბურჟუაზიულ გარემოცვაში.

უახლოესი დღის ინტერესთა თვალსაზრისით ეს კიდევ არ ნიშნავს ჩვენზე ახალი შემოტევის აუცილებლობას. მმართველი კაპიტალისტური წრეები ხედავენ, რომ ამჟამად უშუალო საფრთხე არ მოელის მათ არსებობას. ამიტომ მათი პოზიცია საბჭოთა კავშირის მიმართ შეიძლება უფრო ზომიერი იყოს. ეს ასეც იყო ფაქტიურად უკანასკნელი წლების განმავლობაში.

კოლონიალურ და ნახევრად-კოლონიალურ ხალხთა მოძრაობის მხრივ ჩვენ ვხედავთ, რომ ძლიერდება და მწვავდება მათი ბრძოლა ნაციონალურ განთავისუფლებისათვის მთელ რიგ ქვეყნებში: აფრიკაში, არაბეთში, სპარსეთში, ავღანისტანში და, დასასრულ, ჩინეთში—ჩვენ ვხედავთ დაბეჩავებული აღმოსავლეთის მშრომელი მასების მოძრაობის გაძლიერებას. ეს გარემოება სრულებით არ უწყობს ხელს შიშისა და მტრობის შემცირებას ჩვენს მიმართ ყველა ქვეყნის იმპერიალისტების მხრივ.

რაც შეეხება წინააღმდეგობებს ჩვენი მტრების ბანაკში, ამ სფეროში ჯერ-ჯერობით ყველაფერი ძველებურად რჩება. ახალი წინააღმდეგობანი, რომლებიც თავს იჩენენ აფრიკაში, ჩინეთში და სხვა ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების ნიადაგზე, იმდენად დიდი და სერიოზულია, რომ თვით კოლონიალურ ხალხთა აჯანყების და საბჭოთა კავშირის გაძლიერების შიშიც კი ვერ აღებინებს ხელს ჩვენს მოწინააღმდეგე ბურჟუაზიულ წრეებს ურთიერთ დავაზე, რომ შექმნან ერთიანი ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ.

რა აკავებს ჩვენს მტრებს თავდასხმისაგან

საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების ობიექტიური მსვლელობა აიძულებს ჩვენს მოწინააღმდეგე ბურჟუაზიულ ჯგუფებს სცადონ ჩვენს საქმეებში ჩარევა, დაადგენ საბჭოთა კავშირის ინტერესების საწინააღმდეგო პოლიტიკის გზას. მაშ გვახსოვდეს, რომ ვანხორციელებთ რა სავსებით ჩვენს მშვიდობიანობის პოლიტიკას და მზად ვართ რა წავიდეთ ჩვენთვის ოდნავად მისაღებ დათმობაზედაც, ჩვენ თავი არ უნდა დავანებოთ ზრუნვას ჩვენი სამხედრო ძლიერების განმტკიცებაზე.

კიდევ მეტი: მხოლოდ ჩვენი სამხედრო ძლიერების განმტკიცება შეაკავებს ჩვენს მტრებს ჩვენზე თავდასხმისაგან. ჩვენი გამარჯვებისა თუ დამარცხებისაკენ მიპყრობილი იქნება ათასობით მტრის თვალი, წინანდებურად მიმართავენ ისინი სხვადასხვა ოინებს და მხარს დაუჭერენ გეგმებს ჩვენს ჩასახშობათ ამა თუ იმ გზით.

უკანასკნელი დისკუსიის მნიშვნელობა

აქ ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ანტისაბჭოთა ბლოკის იდეა, უსათუოდ, დაკავშირებული იყო ჩვენი შინაგანი დაშლის იმედზე. მე სახეში მაქვს დისკუსია, რომელიც გამართა ჩვენი პარტიული პრესის ფურცლებზე, და, როგორც მისი ერთ-ერთი შედეგი, წითელი არმიის ხელმძღვანელობის შეცვლა.

სავსებით აშკარაა, რომ ჩვენი მტრები სცდილობდენ ჩვენი დისკუსიის შეწყობით პოლიტიკური კაპიტალის გაძლიერებას. ისინი წინასწარმეტყველობდენ წითელი არმიის დაშლის დასაწყისს და საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოახლოვებას. მართლაც, ამხანაგებო, უკანასკნელ თვეებში უცხოეთის თეთრგვარდიელთა პრესა, პოლონეთის, ესტონეთის, ფინეთის და აგრეთვე მსხვილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოების პრესაც აღსავსე იყო ყოველგვარი ინსინუაციებით საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ.

მე განგებ თან წამოვიღე რამოდენიმე ამონაწერი თეთრგვარდიელთა და უცხოეთის გაზეთებიდან, საიდანაც თქვენ დაინახავთ, თუ როგორ გადაუშალეს დასავლეთის ბურჟუაზიულ ობივატელებს ჩვენი შინაური მდგომარეობა და როგორ იმედებს აძლევდნენ მათ ამ ნიადაგზე. უცხოეთის პრესა ორი თვის განმავლობაში განუწყვეტლივ გაჰკიოდა წითელი არმიის დაშლაზე, ტროცკის მომხრეების აჯანყებებზე კავშირის თითქმის ყველა ქალაქებში, სისხლისმღვრელ ბრძოლებზე, მასიურ დაპატიმრებებზე, წამებაზე და სხვა. სიმართლეს რომ შეეფერებოდეს თუნდაც ერთი მეასედი ნაწილი იმისა რაც იბეჭდებოდა ამ პრესაში, მაშინ, ცხადია, ჩვენი მტრებისთვის საკმაო იქნებოდა მხოლოდ თითი გაენძრიათ, რომ მათი საძულელი საბჭოთა კავშირი გამქრალიყო პირისაგან მიწისა.

აი რამოდენიმე დეპეშა. ერთი მათგანი გამოშვებულია გასული წლის დეკემბრის შუა რიცხვებში: „მოსკოვში გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს ტროცკის მომხრეებსა და პოლიტბიუროს ერთგულ ჯარისკაცებს შორის. აჯანყებული ჯარის ნაწილებმა დააპატიმრეს პოლიტ-ბიუროს წევრი სტალინი. უნაყოფოდ დარჩა კალინინის და სხვა სახალხო კომისრების ცდა დაეთანხმებიათ აჯანყებულები სტალინის განთავისუფლებაზე“.

კიდევ დეპეშა: „მოსკოვიდან მიღებული ცნობით, ბრძოლა ტროცკის და ზინოვიევის მომხრეებს შორის გრძელდება როგორც მოსკოვში, ისე პროვინციაში. სტალინი კიდევ დაპატიმრებულია. ტროცკის მომხრეები პროვინციაში იმარჯვებენ“.

მეორე დეპეშა: „მოსკოვში მღელვარებამ, რომელიც გამოიწვია ტროცკის გამგზავრებამ, ნამდვილი ბრძოლის ხასიათი მიიღო. ტროცკის მომხრეები, რომლებიც მოგროვდნენ სადგურთან და მახლობელ ქუჩებში, ჰკიცხავდენ ზინოვიევს ტროცკის გადასახლებისათვის. საქმე სისხლისღვრამდე მივიდა. ბრძოლაში ჩაერიენ „ჩეკისტების“ რაზმები, რომლებმაც რამოდენიმე საათის შემდეგ გარეკეს ტროცკის მომხრეები. საღამოს განახლდა მღელვარებები ქალაქის მრავალ ადგილას“.

კიდევ დეპეშა: „პეტროგრადში დააპატიმრეს და ჩამოიყვანეს მოსკოვში სკლიანსკი—ტროცკის ბიძაშვილი და მისი ყოფილი მოადგილე რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოში. მას წარუდგინეს ბრალდება ზინოვიევზე თავდასხმაში“.

კიდევ ერთი დეპეშაც: „როსტა“-ს სააგენტო იტყობინება, რომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს მოსკოვის გარნიზონის ინსტრუქტორებს, რომლებმაც არ შეასრულეს პოლიტბიუროს ბრძანება ტროცკის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგის მოწყობის შესახებ“.

და ასეთ დეპეშებს ყოველდღე ნახავთ უცხოეთის პრესაში.

ჩვენი პოლიტიკა უცვლელია

ერთ-ერთ საშუალებას ჩვენს წინააღმდეგ დასავლეთ-ევროპის ობივატელის ასამხედრებლად წარმოადგენს ლაყბობა ჩვენი „წითელი იმპერიალიზმის“ შესახებ. შეიძლებოდა აუარებელი ასეთი ფანტასტიური დეპეშების მოყვანა.

განა ჩვენ დავიწყებდით წითელი არმიის შემცირებას, რომ ვემზადებოდეთ ომისათვის, რომ ვემზადებოდეთ ბესარაბიის ხელში ჩაგდებისათვის, ან პოლონეთზე და სხვა ქვეყნებზე თავდასხმისათვის? განა საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭო მოითხოვდა (ეს მოხდა ჩემი წინადადებით) წითელი არმიის არჩეულ შემადგენლობის შემცირებას 50,000 კაცით? ჩვენ ეს შემცირება მოვახდინეთ, რადგან გვსურდა შეგვემსუბუქებია გადასახადის ტვირთი და ხაზი გაგვესვა ჩვენი მშვიდობიანობის მოყვარეობისათვის.

მეორე ფაქტი. განა ჩვენ უკანასკნელი წლების განმავლობაში მრავალჯერ არ მოგვითხოვნია განიარაღება? განა ჩვენ ასეთი წინადადება არ დავსვით გენუაში და ჰააგაში? განა შემდეგ ასეთი წინადადებით ჩვენ არ მივმართეთ ჩვენ უახლოეს მეზობლებს—პოლონეთს, ფინეთს და სხვ.? განა ჩვენი ბრალია, რომ მოსკოვში შემდგარი კონფერენცია განიარაღების შესახებ უშედეგოდ დამთავრდა? ამ რიგად, არა მარტო პოლიტიკის საერთო ხაზი, არამედ ის ფაქტებიც, რომლებიც არც ერთს ჩვენს მტერს არ შეუძლია უარჰყოს, მოწმობენ იმას, რომ ჩვენს კურსს—კურსს მშვიდობიანობისას—ჩვენ ვახორციელებთ მტკიცეთ, გადაჭრით, გადაუხვევლად და კიდევ განვახორციელებთ მას ბოლომდე.

ჩვენ გავაძლიერებთ საბჭოთა კავშირს

მაგრამ ამავე დროს ჩვენმა მტრებმა თავი არ უნდა იტყუონ იმით, თითქოს ჩვენ ამ მშვიდობიანი კურსის განხორციელების დროს მზად ვართ ყოველგვარ დათმობაზე და დამცირებაზე წავიდეთ. არა, საბჭოთა კავშირის და, უპირველეს ყოვლისა, წითელი არმიის ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს ეხლანდელი საერთაშორისო პირობებიდან, მდგომარეობს იმაში, რომ ვაძლიეროთ და ავამაღლოთ საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერება.

საჭიროა ისეთი მდგომარეობის შექმნა, როდესაც კერზონებში ვეღარ გაბედავენ ულტიმატუმების გამოგზავნას (ტაში). უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ვერავინ ვერ გაბედოს ჩვენთან კერზონის ენით ლაპარაკი. მე ღრმად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენ მთელი ჩვენი მუშურ-გლეხური ზურგის დახმარებით, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა აპარატის დახმარებით შევსძლებთ ამ ამოცანის გადაწყვეტას და ჩვენს კავშირს და ჩვენს წითელ არმიას გადავაქცევთ ისეთ ძალად, რომელსაც ანგარიშს გაუწევენ მთელს მსოფლიოში.

აი საერთო ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს ჩვენთვის—წითელი არმიის მუშაკებისათვის—ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობის დახასიათებიდან.

ჩვენი უახლოესი ამოცანები

ჩვენს მუშაობას აქვს დეფექტები და ისინი არც ისე ცოტაა. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია მათ შორის სამხედრო მრეწველობის და სამხედრო ტეხნიკის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. წარსულთან შედარებით ეხლანდელი მდგომარეობა უკეთესია. ბევრი რამ არის გაკეთებული, მაგრამ კიდევ უფრო მეტი უნდა გაკეთდეს მომავალში.

პირველი—საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ სამხედრო მრეწველობას.

მეორე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ სათანადო სიმაღლეზე დავაყენოთ ტერიტორიალური ნაწილები. გასული წლის განმავლობაში ჩვენ მნიშვნელოვან შედეგებს მივაღწიეთ. საქმე კარგათ მიდის, მაგრამ ის შეიძლება კიდევ უფრო კარგათ და კიდევ უფრო ჩქარა წავიდეს წინ. არმია საჭიროებს დახმარებას, მისთვის საჭიროა მთელი საბჭოთა, პარტიული და პროფესიონალური აპარატის მჭიდრო თანამშრომლობა. ჩვენი არმიის სამი-მეოთხედი ნაწილი სამილიციო სისტემაზეა გადასული და ეს არმია ნამდვილ სამხედრო ძალათ გახდება მხოლოდ მაშინ, თუ მას მზრუნველობას და დახმარებას არ მოაკლებს მთელი მუშურ-გლეხური ზურგი.

მესამე ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ გავაუმჯობესოთ წითელარმიელის და მეთაურის სამხედრო აღზრდის საქმე. დადებითი შედეგები ჩვენ გვაქვს, მაგრამ ეს არ არის საკმაო. არმიის ძირითადი ძალაა—მრავალრიცხოვანი, ტეხნიკურათ კარგათ მომზადებული და პოლიტიკურათ შეგნებული მეთაურთა შემადგენლობა. მეთაურთა ასეთი შემადგენლობა ჩვენ ჯერ კიდევ არ გვყავს. მის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვან ნაწილს—უმცროს და საშუალო მეთაურთა შემადგენლობას—ჯერ კიდევ არ მიუღია სათანადო გაწვრთნა; საჭიროა მისი მომზადება მოკლე დროის განმავლობაში.

ამხანაგო, კურსანტებო! საბჭოთა ქვეყანას და არმიას თქვენი იმედი აქვს. გახსოვდეთ, რომ თქვენ ჯერ კიდევ დიდი მუშაობა უნდა შეასრულოთ იმისათვის, რომ მიიღოთ სათანადო სამხედრო მომზადება და თქვენგან გამომუშავდეს მომავალი მეთაური-მებრძოლი, მეთაური-საზოგადო მოღვაწე, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე ბრძოლის ყველა მოთხოვნილებებს.

ჩვენი **მეოთხე** ამოცანაა—რკინისებური რევოლიუციონური დისციპლინის განმტკიცება.

ჩვენი **მეხუთე** ამოცანაა—არმიის აღზრდა ჩვენი დიდი ბელადის—ლენინის მოძღვრების საფუძვლებზე. მომავალში ჩვენ მოგველის მთელი რიგი დაბრკოლებების დაძლევა და მხოლოდ ლენინის მოძღვრების შეთვისება მოგვცემს ჩვენ ძალას, ენერგიას და ნებისყოფას ამ დაბრკოლებების გადასალახავათ. აი ძირითადი მოთხოვნილებები, რომლებსაც ჩვენ უყენებს მუშურ-გლეხური სახელმწიფო.

წითელი არმია—ახალი იდეალების მატარებელია

ჩვენს მუშაობას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ წითელი-არმიის სულიერი სიმტკიცის, თავდადების და ბრძოლისათვის მზადყოფნის მხრივ, წითელი არმია გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვიდრე რომელიმე ბურჟუაზიული ქვეყნის არმია. წითელი არმია—მომავლის არმიაა, ის—ახალი იდეალების მატარებელია. აქედან გამომდინარეობს მისი ძალა, მისი გმირობა და მხურვალე ენტუზიაზმი, რომლებმაც ჩვენ საშუალება მოგვცეს წარსული სამოქალაქო ომის წლებში გამარჯვებული გამოვსულიყავით სამხედრო განსაცდელიდან და რომლებიც საშუალებას აძლევდენ ჩვენს უფროს ძმებს—კურსანტებს—ათასობით დაღუპულიყვნენ ბრძოლის ველზე ყველაზე უფრო საშინელ პირობებში.

მოვკვდებით, მაგრამ პოზიციებს არ დავსთმობთ

მე მაგონდება კურსანტთა ბრიგადა, რომელიც იბრძოდა სამხრეთ ფრონტზე, სადაც მე ვხელმძღვანელობდი ოპერაციებს ვრანგელის წინააღმდეგ. ამ ბრიგადის მოქმედება სავსეა გმირობით: ისინი თითქმის ყველანი დაიღუპენ, მაგრამ თავისი პოზიციები მაინც არ დასთმეს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ გმირების პოზიცია შეთვისებული იქნება თქვენ მიერ და ის შევა თქვენს—მომავალი მეთაურების—სისხლსა და ხორცში. ეს ტრადიცია არის საწინდარი მომავალი დიადი გმირობისა, რომელსაც დაანახვებენ მთელს მსოფლიოს კურსანტები, მეთაურები და მთელი ჩვენი მუშურ-გლეხური არმია იმ მომენტში, როდესაც მუშათა და გლეხთა სამშობლო მოგვიწოდებს ჩვენ ამისათვის“ **(ტაში, ისმის „ინტერნაციონალის“ ხმები და შეძახილები: „გაუმარჯოს ძველ გვარდიას, ვაშა! გაუმარჯოს წითელი არმიის ბელადს—ფრუნზეს!“).**

---

*) ვაქვეყნებთ მოხსენების სრულ ტექსტს.

პარტიული ცხოვრება

პარტდისციპლინა არსენალის რაიონში

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციაში შემჩნეულია ერთი საკმაოთ სერიოზული ავათმყოფობა,—ეს არის დაგვიანება. ეს ნაკლი ვერ აღმოფხვრა ვერც პრესამ და ვერც სიტყვებმა შრომის მეცნიერული ორგანიზაციის და დროის ლიგის შესახებ. დაგვიანება, განსაკუთრებით რაიონულ სადელეგატო კრებებზე, მრავალი ამხანაგებისათვის სისტემათ გადაიქცა.

ეს ავათმყოფობა ერთ დროს ფართოთ იყო გავრცელებული არსენალის რაიკომშიც. არსენალის რაიკომმა, დაინახა რა, რომ ასეთი დაგვიანება მეტათ აფერხებს კრებების გახსნას და საერთოდ პარტმუშაობას, მიიღო ზომები ამ უდისციპლინოების აღმოსაფხვრელად. სწორედ ამ მიზნით შემოღებული იყო რეგისტრაცია.

ამ ღონისძიებამ გასჭრა და კრებებზე თავის დროზე გამოცხადებამ 95 პროც. მიაღწია. რომ კრებებზე დაუგვიანებლივ გამოცხადება მართლა გაიზარდა მე მოვიყვან ერთ ფაქტს, რომელიც დამახასიათებელია იმით, რომ არსენალის რაიონის უკანასკნელი სადელეგატო კრებიდან წავიდა მხოლოდ ერთი ამხანაგი; მან დასტოვა ბარათი იმის შესახებ, რომ მიეჩქარება სასწრაფო სხდომაზე. ეს ამხანაგი პასუხისმგებელი მუშაკია და უნდა გვეფიქრა, რომ მას მართლაც თათბირზე ეჩქარებოდა, მაგრამ... აღმოჩნდა, რომ ეს ამხანაგი თათბირზე კი არა, არამედ რუსთაველის პროსპექტზე წავიდა, რაც, რასაკვირველია, ირ არის ლამაზი; უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ამხანაგი ამიერიდან აღარ დასტოვებს ასეთ ბარათებს. ეს არის ერთი ფაქტი, რომელიც ეხება ერთ პარტიულ ამხანაგს, ასეთი ამხანაგები კი, სამწუხაროთ, ბევრია.

საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასეთ ფაქტებს, კრებებზე დაუგვიანებლივ გამოცხადება შესამჩნევათ გაიზარდა. ჯერ კიდევ ორი თვის წინათ კრებებს ესწრებოდა მხოლოდ წევრების 50 პროცენტი, კრების დასრულებამდი კი რჩებოდა მხოლოდ 30—35 პროც.; ამჟამათ ასეთ მოვლენას ადგილი არ აქვს და ეს უნდა მივაწეროთ რაიკომის მიერ მიღებულ ღონისძიებებს. იმ ამხანაგებს, რომლებიც არ ესწრებიან კრებებს ანდა უდროოთ სტოვებენ მათ, რაიკომი უცხადებს გაკიცხვას, საყვედურს, რაც აძლიერებს დისციპლინას პარტიის წევრებს შორის.

როტინოვი.

სადგურ სკრას კომუჯრედში

უკვე სამი თვეა მას შემდეგ, რაც სადგურ სკრაში დაარსდა კომუჯრედი, რომელიც ამჟამად აერთიანებს პარტიის ორს ძველ წევრს და პარტიის 30 კანდიდატს.

მიუხედავად იმისა, რომ უჯრედი დიდი ხანი დაარსებული არ არის, პარტმუშაობა მეტად სასურველად მიმდინარეობს: კრებები იმართება სისტემატიურად, დისციპლინა ამხანაგებს შორის მტკიცეა, უჯრედის საერთო მუშაობაში ყველანი აქტიურათ ჩაბმული არიან და სხ. სხვათა შორის ამ ბოლო დროს უჯრედის თაოსნობით დაარსებული იქნა საჰაერო ფლოტის მეგობართა და წითელი ჯვრის საზოგადოებაც.

უსურვებ კომუჯრედს შემდეგისათვის უფრო ნაყოფიერ მუშაობას.

მუშა ა. მამუკაშვილი.

ქალთა შორის მუშაობა ტყვიავში

ტყვიავის თემი საერთოდ კულტურული განვითარების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილია. მაგრამ ამ ბოლო დროს გადაიდგა დიდი ნაბიჯები წინ. კერძოდ ადგილობრივ მშრომელ ქალთა შორის მუშაობა საგრძნობლად გამოცხოველდა.

ამას წინად შესდგა ქალთა საერთო კრება, რომელზედაც იდგა შემდეგი საკითხები: ქალის როლი საბჭოთა ხელისუფლების დროს და ქალთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გორის მაზრის ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. თოიძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ ქალის როლი და დანიშნულება მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დროს და აღნიშნა ისიც, თუ რა საშინელ პირობებში იმყოფებიან მშრომელი ქალები ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

შემდეგ კრებამ აუცილებელ საჭიროებათ სცნო ქალთა უჯრედის დაარსება. დასასრულ ამხ. თოიძემ მოუწოდა უჯრედში ყველა გაერთიანებულ ქალებს გამოიწერონ ქალთა ჟურნალი „ჩვენი გზა“, სადაც შუქდება ყველა საჭირბოროტო საკითხები ქალთა შესახებ.

ზ. გელაშვილი.

პარტია და უპარტიო გლეხობა

დღეს ყველასათვის ცხადია ის, რომ სოფლად ჩვენი გლეხკაცობის პოლიტიკური აქტივობა არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება, რომ გლეხობას დიდი სურვილი აქვს მხურვალე მონაწილეობა მიიღოს საბჭოთა ხელისუფლებასთან და კომუნისტურ პარტიასთან ერთად საბჭოთა აღმშენებლობაში.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ჩვენს ამოცანას შეადგენს, რომ უპარტიო გლეხობის ამ პოლიტიკურ აქტივებს მივცეთ შესაფერი მიმართულება. ამ მხრივ უკვე კიდევაც გადადგმულია სათანადო ნაბიჯები.

მიმდინარე საბჭოთა არჩევნებიდან სჩანს, რომ საბჭოებში უპარტიო გლეხობა საკმაო რაოდენობით არის გაყვანილი. ამიერიდან უნდა მოისპოს ის ცრუ შეხედულებაც, თითქოს უპარტიო მასსას არ შეუძლია თავისი საკუთარი წვლილი შეიტანოს ქვეყნის სოციალისტურ აღმშენებლობაში.

აქ უნდა ვაღვიაროთ ისიც, რომ პარტიული და უპარტიო მასსების მჭიდრო კავშირი უტყუარი თავდებია რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისა.

ვ. წალენჯიხელი.

ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებიდან

რას უნდა მიექცეს ყურადღება?

ყველასათვის ცხადია ის, თუ როგორი არაჩვეულებრივი სისწრაფით ვითარდება ჩვენში ბავშვთა კომუნისტური მოძრაობა. არავისათვის სადავო საგანს არ წარმოადგენს არც ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პიონერთა მოძრაობა კომკავშირის და კომპარტიის ორგანიზაციულ-პოლიტიკური ზრდისა და გამაგრებისათვის.

პიონერები—ეს ხომ ილიჩის ბავშვებია, კომკავშირის უმცროსი ძმები, კომკავშირის შემცვლელი და მისი განმამტკიცებელი!

მაგრამ აქ უაღრესად საჭირბოროტოა ის საკითხი, თუ როგორი მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენი ნორჩი ახალგაზრდები, პიონერთა ორგანიზაციები და თუ რა პირობებში უხდებათ მათ მუშაობა დღეს.

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ აქა-იქ, და შეიძლება ითქვას მეტიც, ბევრ ადგილსაც, ბავშვთა კოლლექტივები მეტად უნუგეშო მდგომარეობას განიცდიან. და ეს იმ დროს, როდესაც ბავშვები, რომლებიც ორგანიზაციულად დარაზმული არიან კოლექტივებში და მით მზად არიან მტკიცეთ იდგნენ ახალი ქვეყნის სადარაჯოზედ,—დიდი ხალისი და ინტერესი სუფევს მეცადინეობისა და მუშაობისადმი.

როგორც ვიცით, ხშირად გავიგონებთ ხოლმე სამართლიან საყვედურებს იმის შესახებ, რომ ამა და ამ კოლექტივს არა ჰყავს ინსტრუქტორი, რომ ამა და ამ ბავშვთა ორგანიზაციას არა აქვს სამეცადინო ბინა, რომ ესა და ეს უჯრედი საჭირო მზრუნველობას და დახმარებას არ უწევს პიონერთა ორგანიზაციებს, რომ ერთ კოლექტივიდან სხვადასხვა კოლექტივში გადაჰყავთ აქტივისტები და პირველი რჩება უაქტივოთ და სხვ. მრავალი, რომლებიც საკმაოდ ნათელს ჰყოფენ ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობაში არანორმალური მოვლენების არსებობის ფაქტს.

ცხადია, თუ ასეთმა მდგომარეობამ დიდხანს გასტანა და მის საწინააღმდეგოთ არ იქნა სათანადო ზომები მიღებული საქართველოს ბავშვთა კოლექტივების ცენტრალურ საბჭოს მიერ,—მუშაობა წინ ვერ წაიწევს და უყურადღებოდ მიტოვებული ესა თუ ის პიონერთა კოლექტივები უთუოდ მოსპობის გზას დაადგებიან. საჭიროა ყოველ მიზეზს გარეშე გადავლახოთ ყველა ის დაბრკოლებები, რომლებიც აფერხებენ ბავშვთა მოძრაობის საერთო განვითარებას.

უპირველესად ყოვლისა კი აუცილებელია უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება კომკავშირის უჯრედებს და ბავშვთა კოლექტივებს შორის, შემდეგ კი სათანადო ხელმძღვანელების, ინსტრუქტორების მიმაგრება კოლექტივებზე და სასწრაფო დახმარება იმ კოლექტივებს, რომლებსაც უბინობის გამო არა აქვთ შესაძლებლობა მეცადინეობის გაგრძელებისა.

ამას გარდა აქ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ საერთოდ ჩვენმა ბავშვთა ორგანიზაციებმა უნდა გააჩაღონ მუშაობა ოჯახებში კოლექტივების გარეშე მდგომ ბავშვების თავიანთი რიგებში ჩასაბმელად და გააძლიერონ ბრძოლა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ბავშვების წინააღმდეგაც.

ა. ახკანელი.

ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის საბჭოს სესია

19 თებერვალს გაიხსნა ა.-კ. კოოპერატივთა კავშირის „ზაკსოიუზი“ს სესია, რომელზედაც წარმოდგენილი არიან ა.-კ. რესპუბლიკათა კოოპერაციის წარმომადგენელნი.

„ზაკსოიუზის“ გამგეობის მუშაობა

(მომხსენებელი ამხ. ბალტინი)

1924 წლის 10 აგვისტოს „ცენტროსოიუზი“-ს ა.-კ. განყოფილება გადაკეთდა ა.-კ. კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირათ, რომლის საკუთარი კაპიტალი უდრის 4799.287 მან. 54 კაპ. 1924 წლის 16 აგვისტოდან 1925 წ. 15 თებერვლამდე „ზაკსოიუზ“-ს სარეალიზაციოდ მიუღია 2.175.615 მან. 60 კაპ. საქონელი. 1925 წლის 1 იანვრამდე „ზაკსოიუზი“-დან კოოპერატიულ ორგანიზაციებზე გაცემულია 1.052.892 მან. 28 კაპ. საქონელი (79.57 პროც.) სახელმწიფო ორგანოებზე 131.535 მან. საქონელი (6.69 პროც.) კერძო პირებსა და დაწესებულებებზე 78.520 მან. (4,17 პროც.) საზღვარგარეთ გასაღებულია 120.422 მან. 40 კაპ. საქონელი, ხოლო საზღვარგარეთ რეალიზაციის პროცესშია კიდევ 130.000 მანეთის საქონელი. გაცემის მიხედვით მთელი ბრუნვა უდრის—1.988.605 მან. 35 კაპ. საქონლის დამზადება სწარმოებს თვით კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით, „ზაკსოიუზი“ გზავნის მხოლოდ ინსტრუქტორებს.

საორგანიზაციო საინსტრუქტორო დარგში შესრულებულია დიდი მუშაობა. მოხდა „ზაკსოიუზ“-ში შემავალ თითქმის ყველა კოოპერატ. ორგანიზაციების გამოკვლევა. სწარმოებს ა.-კ. კოოპერაციის მდგომარეობის შესასწავლად წარმოებული სტატისტიკური მასალის დამუშავება. ყოველთვიურად სწარმოებს კოოპერატიული ვაჭრობის საკონიუნქტურო მიმოხილვა. შემუშავებულია ღონისძიებათა გეგმა ა | კ. კოოპერატიულ კავშირებში სარევიზიო მუშაობის დასაყენებლად.

ა | კ. კოოპერატივთა კავშირის და სხვა ორგანიზაციების თაოსნობით მოეწყო ა | კ. კოოპერატიული კურსები, რომელზედაც სამეცადინოთ მოწვეულნი არიან ყველა რესპუბლიკათა წარმომადგენელნი.

საბჭომ მოიწონა გამგეობის მუშაობა. რეზოლიუციის გამოსამუშავებლად არჩეული იქნა კომისია.

კოოპერაცია და სახელმწიფო მრეწველობა

(მომხსენებელი ამხ. პიჩიკიანი)

პირველად საკითხი მომხმარებელ კოოპერაციის და სახელმწიფო მრეწველობის ურთიერთობის შესახებ წამოიჭრა 1922—23 წელში, როცა ა | კავკასია მოიფინა საბჭოთა რუსეთის ტრესტების და სინდიკატების წარმომადგენლობათა ქსელით, რომელთა საშუალებით ა | კავკასიის ბაზარი აივსო რუსეთის მრეწველობის სასოფლო მეურნეობის ყოველი სახის პროდუქტებით. ერთ წელში ა | კავკასიაში შემოიზიდა 24 მილ. მანეთის საქონელი. აქედან სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებზე გაცემული ყოფილა 44,8 პროცენტი, კოოპერაციაზე—15,8 პროც. კერძო სავაჭრო დაწესებულებებზე—39,4 პროც. შემოტანილ მანუფაქტურის მთელი რაოდენობის 53 პროცენტი, ხოლო ზოგიერთ თვეებში 82 პროცენტი ეძლეოდა კერძო ვაჭრობას, რომელსაც საქონლის ნისიათ მიღებაშიდაც უპირატესი ადგილი ეჭირა.

პარტიის მე-13 ყრილობის დადგენილების შემდეგ 1924 წ. მაისიდან მდგომარეობა შეიცვალა. საბჭოთა კავშირიდან მოსული საქონელი ნაწილდებოდა შემდეგნაირად: სახელმწიფო სავაჭრო ორგანოები ღებულობდენ შემოზიდულ საქონლის მთელი რაოდენობის 33 პროცენტს, კოოპერაცია 35,2 პროცენტს და კერძო ვაჭრობა 33,7 პროც. კოოპერაციის როლი თანდათან იზრდება,—განსაკუთრებით,—პირველ საჭიროების საგნებით ვაჭრობის დარგში. კერძო ვაჭრობა კი ფეხს იმაგრებს ქიმიური მრეწველობის, სატრიკოტაჟო, ხაგალანტერიო ვაჭრობის და სხვა დარგებში. კოოპერაცია ჩქარი ტემპით ვითარდება. 1924 წლის განმავლობაში საქართველოში იგი გაიზარდა 18,5 პროცენტით, აზერბეიჯანში—91 პროც., სომხეთში—47 პროც., აჭარისტანში—65 პროცენტით, აფხაზეთში—42 პროც.. კოოპერაცია ვითარდებოდა უმთავრესად სხვისი თანხების დახმარებით, საკუთარი საშუალებები იზრდებოდა ძალიან ნელა. კოოპერაციისათვის დაწესებული კრედიტის გადახდის ვადა არ შეესაბამებოდა საქონლის ბრუნვას, რამაც გაართულა კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობა.

ამხ. რიკოვის მიერ პროფკავშირის მეექვსე ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის შემდეგ სახელმწიფო ორგანოების პოლიტიკის კურსი კოოპერაციის მიმართ რადიკალურად შეიცვალა. კოოპერაცია ისევ მძიმე პირობებში მოემწყვდა. იგი იძულებული გახდა შეემცირებია თავისი მოთხოვნილება სახელმწიფო მრეწველობის პროდუქციაზე. ამ გარემოებამ კი სახელმწიფო ვაჭრობა დააყენა გასაღების ახალი კრიზისის წინაშე.

ამჟამად სახელმწიფო მრეწველობის და კოოპერაციის ურთიერთობა გაურკვეველი და მერყევია, რაც უფრო ამწვავებს კოოპერაციის კრიზისს.

საჭიროა კოოპერაციის მუშაობა კვლავ ჩადგეს იმ ჩარჩოებში, რომელიც შეიქმნა მე-13 ყრილობის დადგენილების შემდეგ; რასაკვირველია, ამავე დროს ანგარიში უნდა გაეწიოს იმ მიზეზებს, რომელმაც გამოიწვია კოოპერაციის დღევანდელი კრიზისი.

დასასრულ მომხსენებელი სესიას წარუდგენს თეზისებს, რომელნიც საფუძვლათ უნდა დაედოს კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ურთიერთობას.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა

1925 წ. იანვრის მიმოხილვა

(ცენტრ. სტატ. სამმართ. მასალებიდან)

თელავის მაზრა

იანვრის განმავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა იყო—3 გრად. თოვლის სიღრმე—4 ვერშ. შემოდგომის ნათესების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. პირველ თებერვლისათვის იგი ხასიათდება ნიშანი 4-ით. თუ რა გავლენა იქონიეს ამინდებმა ვენახზე და ხეხილზე ძნელია ითქვას რაიმე გაზაფხულამდე. შეიძლება დაუშვათ მხოლოდ ბებერი ვაზის და ხეხილის დაზიანება. საქონლის მდგომარეობა კვების უქონლობის მხრივ უნუგეშო იყო. ამასთან მაზრის რამოდენიმე სოფლებში მძინვარებდა საქონლის ჭირი, მაგრამ აცრის შემდეგ ჭირმა იკლო, აუცრელი დარჩა მხოლოდ ერთი სოფელი. მაზრაში შემჩნეულია ხორბლეულობის სიმცირე, ბაზარზე საგრძნობი შეიქნა პურის სიმცირე. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აიკრიფა 96 პროცენტი.

სიღნაღის მაზრა

თოვლის სიღრმე უდრიდა 4 ვერშ. იდგა მშრალი ყინვები. საშუალო ტემპერატურა თვის განმავლობაში იყო—5 გრად.

მკაცრმა ამინდმა იქონია ცუდი გავლენა შემოდგომის ნათესებზე. ეს გავლენა გამოიხატება იმაში, რომ დაგვიანებულ ნათესებს, რომელთაც ყინვებმა მოუსწრო აჯეჯილებამდე, თესლი გაეყინა მიწაში. ადრიან ნათესებს კი, რომლებიც დახვდენ ყინვებს უკვე აჯეჯილებულნი, სიცივემ ვერაფერი დააკლო. თოვლი წყნარად დნება და ნიაღვრებს ადგილი არ აქვს.

ვენახები და ხეხილები დიდათ არ დაზიანებულან, თუმცა ზოგიერთ ცნობების მიხედვით, ამერიკულ ძირზე ნამყენი ვაზები ყინვების გამო ცოტად დაზარალებული უნდა იყოს. ყინვებისაგან ყველაზე უფრო დაზარალდა მაზრაში საქონელი. საკვების უქონლობით დასუსტებულ საქონელმა ვერ გაუძლო უჩვეულო ყინვებს. გამძრალი საქონელი ჯერ კიდევ სცოცხლობს, მაგრამ გაზაფხულზე, როდესაც ჰაერი გათბება, როგორც მცოდნე პირები ამტკიცებენ, მათი გადარჩენა საეჭვოა.

ხორბლეულობის ნაკლებობა, როგორც შედეგი გასული წლის მოუსავლიანობისა, თანდათან იჩენს თავს. მთავრობამ უკვე დაურიგა მათ თესლის შესაძენად 45.000 მ. არავითარი მორაგი სურსათ-სანოვაგისა არც სახელმწიფო დაწესებულებებს და არც კერძო ვაჭრებს არ გააჩნიათ. მოსახლეობას დიდ დახმარებას უწევს თბილისიდან შემოტანილი თეთრი ფქვილი. უმთავრესი პროდუქტები, რომელიც ამ ჟამად გამოაქვს გლეხობას ბაზარზედ გასასყიდად არის ღვინო, საკლავი საქონელი, შინაური ფრინველი, სიმინდი, მატყლი და ყველი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა მაზრაში ჩატარდა კარგად. გაწერილი 466.726 მანეთიდან იანვრისათვის შეტანილია სახელმწიფო სალაროში—400.052 მანეთი და 30 კაპ.

დუშეთის მაზრა

თოვლის სიღრმე მაზრაში საშუალოდ უდრიდა 1 არშინს. ყინვებმა იქონიეს ცუდი გავლენა ვენახებზე, ხეხილებზე და სხვა. ზარალის რაოდენობა გამოურკვეველია. საქონელს არ აქვს სრულიად საკვები. მოსახლეობას გამოყავს იგი ტყეში და აჭმევენ ნეკერს. შესაძლებელია საქონელი გაწყდეს. მაზრა ხორბლეულობის ნაკლებობას განიცდის. დანაკლის მოსახლეობა ავსებს მეზობელ მაზრებიდან და ჩრდილო კავკასიიდან შემოტანილ ხორბლეულობით. ყინვების გამო გაფუჭდა კარტოფილი, კომპოსტო და სხვ. დაახლოებით 70 პროც. მთელი მარაგის. ზარალი გარკვევით ჯერ არ არის გამოკვლეული. სასოფლო სამეურნეო გადასახადის შემოტანა ამ ჟამად შესუსტებულია. პირველ თებერვლამდე შეტანილია სულ 75 პროც. მაზრაში არავითარი სურსათ-სანოვაგის დამზადება არ სწარმოებს.

გორის მაზრა

იანვრის პირველ რიცხვებში გრძელდებოდა მძლავრი ყინვები, რომელიც აღწევდა—20 გრადუსამდი. იანვრის ბოლო რიცხვებში კვლავ მოვიდა თოვლი და თან მოყვა ქარიც.

ნათესების მდგომარეობა იანვრის განმავლობაში კარგი იყო, რადგან ნიადაგი იყო თოვლით დაფარული. მათი მდგომარეობა პირველი თებერვლისათვის ხასიათდება ნიშან 5-თ. ვენახებზე და ხეხილებზე უნდა ითქვას, რომ არა ჩვეულებრივმა ყინვებმა მათ დიდი ზიანი მიაყენა. ზიანის რაოდენობის გამორკვევა შეუძლებელია გაზაფხულამდე. საანგარიშო თვის განმავლობაში საქონლის მდგომარეობა არ იყო უნუგეშო, თუმცა იყო შემთხვევები წვრილფეხა საქონლის (თხა და ცხვარი) დაზარალებისა უამინდობის გამო. საკვების სიმცირე მაზრაში არ არის. პურეულის ნაკლებობა საერთოდ არ ყოფილა. სასოფლო მეურნეობის პროდუქტების რეალიზაცია მცირე ტემპით სწარმოებდა, რადგან ქარ-ბუქით და უამინდობით გზები გაფუჭდა და შეუძლებელი გახდა მიმოსვლა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას ხელი შეუშალა უამინდობამ. პირველ თებერვლისათვის შეტანილი იყო სალაროში 80 პროც. საანგარიშო თვის განმავლობაში სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადება სრულიად შეუჩერებელი იყო.

უამინდობამ დააზარალა სხვადასხვა დამზადებული სოფლის მეურნეობის პროდუქტები საწყობებში, დამზადებული პროდუქტები დაზარალდა აგრეთვე გზაში გადატანის დროს ყინვებისაგან. საწყობებში დარჩენილი პროდუქტები განაგრძობს ლპობას. ყველა ამ გარემოებათა მიხედვით სრულიად შეწყდა კოოპერატივების მიერ საქონლის დამზადება. უამინდობით გაფუჭებული ხილის რაოდენობა უდრის 12.000 ფუთს გორის „ეპოს“ გაუფუჭდა ყინვებისაგან ხილი 25 ფუთი, კარტოფილი 60 ფუთი. საერთო რაოდენობა დამზადებული ხილისა, საექსპორტო კომისიების ცნობით, უდრის 18.000 ფუთს, ღირებულებით 54.000 მან. ზარალის საბოლოოდ გამორკვევა ჯერ შეუძლებელია.

საბჭოთა არჩევნები საქართველოში

თბილისში

არსენალის რაიონში

გუშინ ნაშუადღევის სამ საათზე არსენალის კლუბში თავი მოიყარეს არსენალის მუშებმა და საგანგებო დანიშნულების სანაპირო რაზმის სკოლის კურსანტებმა თბილისის საბჭოში დეპუტატების ასარჩევად.

კრებაზე მოვიდა ამხ. სერგო ორჯონიკიძე, რომელსაც შეკრებილი მუშები მქუხარე ტაშით და ოვაციებით შეხვდნენ.

ამხ. სერგომ ვრცელი მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობაზე და საბჭოთა აღმშენებლობაზე.

მოხსენების შესდეგ ამხ. სერგოს მრავალი შეკითხვები მისცეს. ამ კითხვებზე მან ყველას პასუხი გასცა.

მოხსენების გამო მიღებული იქნა რეზოლიუცია.

რეზოლიუციის შემდეგ კრება შეუდგა დეპუტატების არჩევას.

კრე ის მიერ არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: ბოჭორიშვილი (კომუნისტი), გოზალოვი (კომუნისტი), ძუკიაშვილი (კომუნისტი), კანდიდატად—შელკიტარი (უპარტიო); საპატიო დეპუტატებათ—ამხ. მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი და ს. ორჯონიკიძე.

სანაპირო რაზმიდან დეპუტატებათ გავიდნენ—ამხ. დლინოვი (კომუნისტი), პოლიანოვი (კომუნისტი); კანდიდატებათ—ამხ. კრეიტან და შუტივოვი.

მუშკორი **კინო.**

არჩევნები ტყავ-ტრესტში

19 თებერვალს 3 ს. დღის გაიმართა ტყავ-ტრესტის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 500 მეტი მუშა-მოსამსახურე. დღის წესრიგში იყო საბჭოს არჩევნები. რადგან ყოფილ საბჭოს მუშაობაზე გასულ კვირას საერთო კრებაზევე ამხ. მესხმა და მამულიამ უკვე გააკეთეს მოხსენება, ამიტომ კრება პირდაპირ არჩევნებს შეუდგა. არჩეულ არიან: ამხ. ამხანაგი ენუქიძე ლევან, ასრიბეგოვი, ვართაპეტოვი, აგაჯანოვი და ბრეწუაშვილი (პარტიულები), ხაჩიკიანი (კომკავშირელი) და ხუციშვილი (უპარტიო); კანდიდატებათ: ბაბაიანი ალ., (კომკავშირელი) ძამაშვილი, თუმანოვი და როლოვი (უპარტიონი). კრებამ ერთხმად მიიღო თბილისის კომიტეტის „ნაკაზი", რომელიც გადასცა არჩეულ ამხანაგებს ცხოვრებაში მტკიცედ გასატარებლად.

მუშკორი **ნაპერწკალი.**

არჩევნები 1-ლ მსროლელ ლეგიონში

17 თებერვალს ჩვენს ლეგიონს ესტუმრა ლეგიონის საპატიო წითელარმიელი, ძველი მებრძოლი ამხ. ფილიპე მახარაძე. მთელმა ლეგიონმა თავი შეიყარა ლეგიონის კლუბის დარბაზში. ძლიერ გაახარა ამხ. ფილიპეს მოსვლამ ლეგიონის წ.-არმიელები და უფ.-პოლიტ-შემადგენლობა.

შესდგა უფ-პოლიტ-შემადგენლობის და წითელარმიელთა მრავალრიცხოვანი კრება.

ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელმაც ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ უნდა შევხვდეთ საბჭოთა არჩევნებს, ვინ უნდა ავირჩიოთ და სხვა. მასთან ამხ.მახარაძე ეხება როგორც სოფლის მდგომარერეობას, ისე საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და ამბობს: საბჭოთა ხელისუფლებას და კომუნისტურ პარტიას თქვენი სახით უნდა მიეცეს სოფლის მომავალი აქტიური მომუშავეები, რომლებიც სათავეში ჩაუდგებიან სოფლებს და წინ წასწევენ საბჭოთა აღმშენებლობასო.

ამხ. ფილიპეს სიტყვას ტაში და ურას ძახილი ფარავს. დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ამხ. ფილიპე მახარაძის მოსვლამ ჩვენს ლეგიონში ჩვენ უფრო კიდევ გაგვამტკიცა, გაგვამხნევა, და სიმაგრე მოგვცა, რაც გვავალებს ჩვენ მტკიცეთ ვიდგეთ რევოლიუციის სადარაჯოზე და ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და არ მივსცეთ უფლება ჩვენს მოსისხლე მტრებს ბურჟუაზიას და გამყიდველ მენშევიკებს შელახონ ჩვენი მუშურ-გლეხური ხელისუფლება.

შემოდის წინადადება, რომ ამხ. ფ. მახარაძე არჩეულ იქნას 1-ლ ქ. მ. ლეგიონიდან საპატიო დეპუტატად ქალაქის საბჭოში, რის გამო დარბაზში გაისმის ვაშა და ტაში.

ამხ. ფილიპე ემშვიდობება წითელარმიელთა მასას და ამბობს: „მე მადლობელი ვარ პატივისცემისათვის და ვეცდები მთელი ჩემი ენერგიით შევასრულო ყოველივე ის, რასაც თქვენ მავალებთ მუშების და გლეხების კეთილდღეობისათვის". ამხ. ფილიპე წითელარმიელებს ხელით გაჰყავთ კრების დარბაზიდან.

შემდეგ კრება გადავიდა დეპუტატების არჩევნებზე და არჩეულ იქნა ქ. საბჭოში გასაგზავნათ 7 დეპუტატი.

ს. იმნაიშვილი.

თელავის საბჭოთა სამაზრო ყრილობა

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

თელავის მაზრაში დასრულდა საბჭოების არჩევნები, მთელ მაზრაში, მიუხედავათ მრავალგვარი დაბრკოლებისა მშრომელ გლეხკაცობამ ამ არჩევნებში დიდი აქტიობა გამოიჩინა.

15 თებერვალს ქ. თელავში, მოწვეულ იქნა მაზრის საბჭოთა მესამე ყრილობა.

ყრილობას დაესწრო 107 დელეგატი და უამრავი ხალხი. ყრილობა გახსნა აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ქურციკაშვილმა, რის შემდეგ ამორჩეულ იქნა პრეზიდიუმი 11 კაცისაგან, საპატიო თავმჯდომარეებათ დაასახელეს: ამხ. მ. ცხაკაია, ფ. მახარაძე, ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, მ. ოკუჯავა, ს. ჯულაშვილი, შ. ელიავა, კალინინი და რიკოვი.

სამდივნოში და სამანდატო კომისიებში სამ-სამი პირი. ყრილობას მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს შემდეგ ამხანაგებმა:

საქართველოს სახკომსაბჭოს და პარტიის ცეკას სახელით მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოს წევრმა ამხ. **შ. მათიკაშვილმა.**

პარტკომის და აღმასკომის სახელით მიესალმა ამხ. **გ. ელისბედაშვილი.**

უპარტიოთა სახელით—ამხ. **ზ. ხილიკაშვილი,** წითელი ჯარის და 64 ლეგიონის სახელით—**ნუცუბიძე** და **ჰაირაპეტოვი,** ქალთა ორგანიზაციის—**თამარა ცინცაძე,** ახკომკავშირის—**გ. გარსევანიშვილი,** პიონერთა მხრივ—**მოსიაშვილი.**

დასასრულ ყრილობამ შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა საქართველოს ცაკს, ასლი საქ. სახკომსაბჭოს და საქ. კომპარტიის ცეკას:

„დღეს თელავის მაზრის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა ნებისყოფის გამომხატველი ამაზრო საბჭოთა ყრილობა იკრიბება რა პირველათ თავისი განახლებული შემადგენლობით, სალამს გიძღვნით თქვენ ჩვენი ქვეყნის ბედის მესვეურნეო. განახლებული საბჭო, გამოღვიძებულ მშრომელ მასების მისწრაფებათა უტყუარი წარმომადგენელნი და გამომხატველი, იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენ შეერთებულს ძალებს და მტკიცეთ გადადგმულ ნაბიჯებს ვერ შესდრეკს ვერც მენშევიკების და ვერც სხვა ჯურის კონტრ-რევოლიუციონური ძალები. სალი კლდესავით ამართულ ჩვენს ნებისყოფას შეეძლება სძლიოს ყველა დაბრკოლებები. მტკიცეთ გადასდგით ნაბიჯი ჩვენი ქვეყნის აღორძინების გზით. გლეხკაცობა გაფაციცებით თვალყურს ადევნებს თქვენს მუშაობას. მტკიცდება მუშათა და გლეხთა კავშირი—ეს უპირველესი თავდები საბოლოვო გამარჯვების და კომპარტიის ხელმძღვანელობით მზადდება ახალ-ახალი რიგები ბურჟუაზიის დასამხობათ.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ა|ქ. სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს საქართველოს კომპარტიას!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომინტერნს!

შემდეგი მოხსენებებით გამოვიდნენ ამხ. **გ. ქურციკაშვილი** (თელავის სამაზრო აღმასკომის წარსული წლის მოღვაწეობის შესახებ), **გ. ელისაბედაშვილი** (გლეხკაცობა და პარტია), **შ. ნუცუბიძე** (ტერიტორიალურ ჯარების მნიშვნელობის), ამათ მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც სათანადო პასუხი გასცეს მომხსენებლებმა.

დასასრულ ყრილობამ მიიღო მომავალი სამოქმედო მუშაობის გეგმა, რის შემდეგ მოხდა სამაზრო აღმასკომის 25 წევრის და სრულიად საქართველოს მეოთხე საბჭოთა ყრილობის 11 დელეგატის არჩევნები:

დელეგატებათ აირჩნენ:

1. შ. მათიკაშვილი, 2. გ. ქურციკაშვილი, 3. გ. ელისაბედაშვილი, 4. გ. გარსევანიშვილი, 5. თამარა ცინცაძე, 6. ელენე მჭედლიშვილი, 7. ილო ზაუტაშვილი, 8. ი. თანდილაშვილი, 9. ს. ჰაირაპეტოვი, 10. ს. პაპუნაშვილი, 11. ა. მებურიშვილი.

თანახმად სამანდატო კომისიის მოხსენებისა (ამხ. მ. კაკაბაძე), ყრილობას ესწრება 107 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 20 დელეგ. სათათბირო.

მამაკაცი	დედაკაცი	ეროვნება	განათლ.	სოც. მდგ.	პარტ. მიმართ.
88	19	ქართვ.— 89	უმაღლ. — 6	გლეხი — 73	კომუნისტი —46.
		ოსი. —2			
		სომეხი —7	საშუალო—21	მუშა — 6	კომკავშ. — 3.
		რუსი —3			
		ლეკი —2	დაბალი —31	ინტელ.—28	პარტ. კანდ.—10.
		ქისტი —2			
		თათარი—1	შინაური —46		უპარტიო —48.
		ებრაელი—1	უწიგნო — 3		
სულ 107		107	107	107	107

მიმდინარე საკითხებს შორის დასმული იყო ველისციხის თელავთან შეერთების საკითხი.

ამ საკითხმა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრეთა შორის, რომლებმაც ერთხმად სურვილი გამოსთქვეს, რათა ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, რომ მან დააჩქაროს ალაზანზე ველისციხის ხიდის აგების საქმე და ხსენებული დაბაც ადმინისტრატიულათაც შემოუერთოს თელავს, რადგან ეკონომიურათ თავისთავათ ის შემოერთებული და მჭიდროდ გადაჯაჭვულია მასთან.

წამოიჭრა სხვა წვრილმანი პრაქტიკული საკითხები რაზედაც პასუხი გასცეს, რის შემდეგ ყრილობამ ორი დღის ენერგიული მუშაობა დაამთავრა და ყრილობის წევრებიც დაიშალნენ თავთავიანთ სოფლებში.

ივ. დავითიანი.

არჩევნები სამტრედიაში

ორი კვირის წინათ პარტკომთან შესდგა საარჩევნო კომისია, რომელშიაც უპარტიონიც შედიოდნენ. კომისიის თავმჯდ. არჩეულ იქნა ამხ. ბ. შუბლაძე.

არჩევნები დაინიშნა 14 თებერვლისათვის. ხალხი დილიდანვე მრავლათ მოდის. სხვადასხვა დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი თავს იყრიან პროფკავშირების ბინასთან. წითელი დროშებით და მუსიკით მიდიან მუშა-მოსამსახურენი დანიშნულ ადგილას (რკინის გზის კლუბის ბაღში). მათ გზაში უერთდებიან გლეხები დწამფენ სრულ 12 საათზე ბაღი გაივსო ხალხით. საარჩევნო კომისიის სახელით მიტინგს ხსნის ამხ. ბ. შუბლაძე. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. შუბლაძე. მდივნათ აკ. ზამთარაძე.

ამხ. კიკაჩეიშვილი აცნობს კრებას, რომ საარჩევნო კომისიის მიერ შემუშავებულსი დეპუტატების სია, დასახელებულია 132 კანდიდატი და განუმარტავს ხალხს, რომ მათ შეუძლიათ ესა თუ ის პირი, თუ უვარგისი იქნება, მოვხსნათო. ამხანაგი კითხულობს სიას და სათითაოდ ახასიათებენ ამა თუ იმ კანდიდატს, რის შემდეგ სია, ერთს გარდა, დამტკიცებულ იქნა. 132 დეპუტატში 70 უპარტიო მუშა და გლეხია.

ს. კიკაჩეიშვილი.

არჩევნები ონტოფოს თემში

12 თებერვალს შესდგა ონტოფოს თემის მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი კრება თემის საბჭოს ასარჩევად.

მომხსენებლად გამოვიდა ამხ. ს. თურქია, რომელმაც ილაპარაკა გლეხობისათვის მრავალ საინტერესო კითხვებზე. იყო შეკითხვები, რომლებშიაც შემკითხველები მიუთითებდნენ იმ დეფექტებზე, რომელთაც ადგილი აქვთ ზოგიერთ საბჭოთა დაწესებულებათა და მოსამსახურეების საქმიანობაში და ითხოვდნენ გამოსწორებას. მომხსენებელმა ყველას პასუხი გასცა და აღუთქვა, რომ ახალ არჩეულ საბჭოს წინაშე ერთ უმთავრეს ამოცანად იქნება დასმული სწორედ ასეთი შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლა.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია 35 კაცისაგან შემდგარი თემის საბჭო; ამათში 15 კომპარტიის წევრია, 2 კომკავშირელი და 18 უპარტიო.

აღმასკომში არჩეულ იქნა სამი კაცი: ერთი კომუნისტი, ერთი უპარტიო და ერთიც კომკავშირელი.

ხ.

თბილისის კომუნალური მეურნეობა

უძრავ ქონებათა სამმართველოში

თბილისის აღმასკომის კომუნალური მეურნეობის განყოფილების უძრავ ქონებათა სამმართველოს დადგენილებით, გამოყოფილია ტეხნიკურ-საკონტროლო კომისია, რომლის მოვალეობასაც შეადგენს დაათვალიეროს ის კერძო სახლები, რომლებიც უყურადღებოთ არის მიტოვებული მეპატრონეების მიერ.

კომისიაში შედიან უძრავ ქონებათა სამმართველოს და საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტის წარმომადგენლები და ერთი ინჟენერი.

ცნობილია, რომ კერძო სახლების მეპატრონეები, უმეტეს შემთხვევაში, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სახლებს. შეუკეთებლობის გამო სახლები ინგრევა, რასაც დიდი ზიანი მოაქვს ქალაქის მეურნეობისათვის. ხშირათ სახლების მეპატრონეები განგებ უწყობენ ხელს სახლების დანგრევას, რომ ამით აიძულონ მუშები და საბჭოთა მოსამსახურეები დასცალონ დაკავებული ბინები.

უძრავ ქონებათა სამმართველოში შეტანილია მდგმურების აუარებელი საჩივრები სახლების მეპატრონეებზე. მდგმურები მოითხოვენ, რომ კერძო სახლების მეპატრონეებს წინადადება მიეცეს შეაკეთონ სახლები, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ უნდა ჩამოერთვას სახლები და ამ უკანასკნელთა მოვლა-პატრონობა უნდა იკისროს ქალაქმა.

უძრავ ქონებათა სამმართველომ ყურადღება მიაქცია ამ მოვლენას და გამოყო ზემოაღნიშნული კომისია, რომელიც მუშაობას შეუდგა ამა წლის 29 იანვრიდან. კომისიას გადაცემული აქვს მდგმურების 180 განცხადება. 29 იანვრიდან 18 თებერვლამდი კომისიამ დაათვალიერა 38 სახლი.

კომისია სახლის დათვალიერების შემდეგ ადგენს სათანადო ოქმს და წინადადებას აძლევს სახლის პატრონს განსაზღვრული ვადის განმავლობაში (მაქსიმალური ვადაა—2 თვე, მინიმალური—2 კვირა) შეაკეთოს სახლი. თუ დაწესებული ვადის განმავლობაში სახლი შეკეთებული არ იქნა, კომისია ოქმს გადაგზავნის სათანადო უბნის საბინაო სასამართლოში, რომელიც დაადასტურებს ამ ოქმს; ამის შემდეგ კი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე აღძრული იქნება შუამდგომლობა სახლის ჩამორთმევის შესახებ, თანახმად 1924 წლის 10 აპრილის ინსტრუქციისა, რომელიც შეეხება სახლების დამატებითი მუნიციპალიზაციის წესებს.

რკინის გზებზე

ტვირთების მიღების შემცირება.

ჩრდილოეთიდან გამოგზავნილი ტვირთების მიღება სადგურ დერბენტში შემცირებულ იქნა 150 ვაგონამდე დღე-ღამეში.

პასუხისმგებლობა ტვირთის ჩქარი გადაზიდვისათვის.

საუღელტეხილო უბანში დიდი ძალი ტვირთების დაგროვების გამო, ა|კავკასიის რკინის გზებმა მოთხოვეს პასუხისმგებლობა იმ ტვირთების ჩქარი გადაზიდვისათვის, რომელნიც მარელის-ხაშურის გზით იგზავნებიან.

დატვირთვის შემცირება ხაშურ-მარელისის უბანში

ა|კავკასიის რკინისგზებმა გააგრძელეს დატვირთვის შემოკლების ვადა ხაშურ-მარელისის რაიონში. ვაგონები იტვირთება მხოლოდ იმ საქონლით, რომელიც მალე ფუჭდება.

შემთხვევები რკინისგზებზე

ამხ. კაზანცევის მატარებლის შეჩერება.

18 თებერვალს მატარებელი № 21, რომელსაც თან ახლდა ამხ. კაზანცევი, წიფა-მოლითის გადასარბენზე სად. წიფის შესასვლელ სემაფორთან შეჩერდა. შეჩერების მიზეზია—მაზუთიანი ცისტერნები, რომელთაც ლიანდაგს წასცხეს მაზუთი.

ამხ. კაზანცევის მატარებლის უეცარი შეჩერება.

18 თებერვალს მატ. № 102, რომელიც მიჰყავდა ამხ. კაზანცევს და რომლის შემადგენლობაში იყო კანადას 10 ცისტერნი, წიფა-ლიხის უბანში 162 ვერსზე უეცრად შეჩერებულ იქნა. მატარებელი შეაჩერა მემანქანემ, რომელმაც სემაფორთან ანთებული ფანარი შეჩერების სიგნალად მიიღო. უეცარი დათუთქების დროს დატვირთული ცისტერნები ერთი-მეორეს დაეჯახნენ.

ორთქლმავლის ლიანდაგიდან აცდენა

19 თებერვალს სად. ბაქოში მემანქანემ ვერ დაიკავა შემადგენლობის გამოყვანის დრო სამანევრო ორთქლმავალი, რომელიც დაეჯახა ჩიხს და დაამტვრია იგი. ორთქლმავალი ასცდა ლიანდაგიდან და დაზიანდა.

შ. მ. ო. ბიუროს მოქმედება რკინისგზებზე

შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ბიურო ა|ქ. რკინის გზებზე მოეწყო 1924 წლის 24 დეკემბერს, ცენტრის ბრძანების თანახმად. კონკრეტიული ღონისძიებანი და მიღწევები შ. მ. ორგანიზაციას ჯერ არ მიუცია. ამ ჟამად სწარმოებს შემდეგი მუშაობა: 1) სურამის უღელტეხილზე მატარებლების მიმოსვლის რაციონალიზაცია. საქმე იმაშია, რომ მუხრუჭების დიდი პროცენტი, რომელიც საჭიროა მატარებლების უღელტეხილის დაღმართზე მიმოსვლისათვის, აუცილებელს ხდის მიმართონ ხელოვნურ მუხრუჭებს—დამუხრუჭებულს, ქვებით დატვირთულ ვაგონებს, რომელნიც შეჰყავთ მატარებლების შემადგენლობაში დაღმართზე მსვლელობის დროს და შემდეგ კვლავ ამოჰყავთ აღმართზე იმავე მიზნით. ცხადია ასეთს წესს ზარალი მოაქვს ექსპლოატაციის კომერციულ მუშაობისათვის. შ. მ. ორგანიზაციის ბიურო ამ ჟამად ჰკრებს და ამუშავებს ცნობებს უღელტეხილზე გატარებულ მატარებლის შემადგენლობის შესახებ, თვალყურს ადევნებს უკან დაბრუნებულ საბარგო ვაგონების მოძრაობას და მატარებლების შემადგენლობის შესადგენად წარმოებულ მუშაობას. ამ სამუშაოებს ასრულებს მოძრაობის სამსახურის ინსტრუქტორთა ჯგუფი, ხოლო სტატისტიკურ ცნობებს ჰკრეფენ მომრიგებლის სამსახურის აგენტები. მუშაობა დამთავრდება მარტის დამდეგში. მუშაობა ადგილობრივ ხასიათს ატარებს. მოსალოდნელია ხელოვნური მუხრუჭების გამოყენების თუ სრული შეწყვეტა არა, შესამჩნევი შემცირება მაინც, აგრეთვე ორთქლმავლების რაოდენობის შემცირება ხაშურში არსებულ გამაწესრიგებელ სადგურის დეპოში.

ამავე დროს შ. მ. ო. ბიურო აწარმოებს წევის სამსახურის მთავარ სახელოსნოების საორგანიზაციო გამოკვლევას, რომლის მიზანია გამოარკვიოს ადგილობრივი ხასიათის დეფექტები და თავიდან აიცილოს საერთო ხასიათის ნაკლულოვანებანი.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით 19 თებერვალს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში შემდეგი დარები იდგა:

ფოთი მოღრუბლული დღე, ზღვაზე სიწყნარე, სითბო 2 გრადუსი.

ქუთაისი დიდი ღრუბლიანობა, წყნარი უქარო დღე, სითბო 2 გრადუსი.

მუხრანი დიდი ღრუბლიანობა, წყნარი უქარო დღე, ყინვა 8 გრადუსი.

გორი მოღრუბლული ამინდი, ყინვა 11 გრადუსი.

ბაქო ზღვაზე ნელი მღელვარებაა მოწმენდილი ამინდი, [illegible] სითბო 4 გრადუსი.

ლენინაკანი [illegible] ყინვა უდრის 10 გრადუსს.

ერევანი ყინვა 7 გრადუსი.

ტემპერატურა უკანასკნელი ცნობებით:

ფოთი.	ცელსიუსით	სითბო	2	გრ.
ქუთაისი.	"	"	2	"
მუხრანი.	"	ყინვა	8	"
გორი.	"	ყინვა	11	"
ბაქო.	"	სითბო	4	"

ზომები წყალდიდობის წინააღმდეგ

(საქართველოს საგეგმო კომისიის მასალებიდან)

საქართველოს საგეგმო კომისიამ წყალდიდობის მხრივ საშიშ ადგილებად სცნო:

ფოთი და მისი მიდამოები, (მდ. რიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირად მდებარე სოფლები), ცხენისწყლის მარჯვენა ნაპირზედ მდებარე მიდამოები ბამბეას ხიდს ქვემოდ ჩაქვის სახალხო მამულები, ბათომის მიდამოები; კახაბერის ველი, კაპანდიდი (მდ. ჭოროხი); ქ. ჭიათურა და შორაპან-ზესტაფონის ქვემო მიდამოები: ხოხოულის ჭალები (მდ. ყვირილა), ზუგდიდის ქვემოდ მდებარე მიდამოები (მდ. ენგურისგან); რაჭაში ქ. ონი და მისი მიდამოები (მდ. რიონისგან), ქუთაისის სარწყავი არხების—„მაშველი" და „პირველი საბჭოთა არხი"-ს მიდამოები, თბილისი—რიყე და ზაჰესის ნაგებობა (მდ. მტკვრისა და არაგვისაგან), ტირიფონის ველი: მოსარწყავ არხების მშენებლობა და ქ. გორი (მდ. ლიახვისაგან). დიდი ხიდი მდ. მტკვარზე და ქ. ბორჯომი. სოფ. უჯარმის ქვემოდ მდებარე ადგილები (მდ. იორისაგან), ნოქალაქევის ქვემო მიდამოებში (მდ. ტეხურისაგან), ბანძა-ვედიდკარის ქვემო მიდამოები (მდ. აბაშისაგან).

საგეგმო კომისიის დადგენილებით წყალდიდობისაგან დასაცავად უნდა მიიღონ წინასწარი ზომები და გაიღონ თანხა შემდეგმა დაწესებულებებმა: სახალხო მამულების ტრესტმა—ჩაქვის მამულების დასაცავად; შავი ქვის მრეწველობის სამმართველომ და ჭიათურის აღმასკომმა, სამრეწველო რაიონების და ქ. ჭიათურის დასაცავად; თბილისის აღმასკომმა ქ. თბილისის და ზაჰესის ნაგებობათა დასაცავად; ა.|ქ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ ტირიფონის მოსარწყავ არხების მშენებლობათა და ქ. ფოთის და მისი მიდამოების დასაცავად მდინარეთა ნაპირების გამაგრებით.

კომისიის დადგენილებითვე საჭიროა ზუგდიდისა და სენაკის სამაზრო აღმასკომებს დაეკისროს მოსახლეობის ჩაბმა წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ხოლო ფოთში საწარმოებელ სამუშაოთა შესასრულებლად, წყალთა სამმართველოს გარდა, დამატებითი თანხა უნდა მიიღოს საქ. სახ. კომ. საბჭომ 21 ათასი მანეთის რაოდენობით, რადგან აქ სამუშაოები უნდა შესრულდეს უმთავრესად დაქირავებული მუშა ხელით.

საგეგმო კომისიის დადგენილებითვე ა. ქ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ სასწრაფოდ უნდა წარადგინოს თავისი მოსაზრებანი საჭირო ღონისძიებათა და კრედიტის შესახებ ქ. სამტრედიის და მისი მიდამოების, ქ. ქუთაისის მიდამოების და შორაპნის მაზრის („ხოხოულის ჭალები") წყალდიდობისაგან დასაცავად.

საგეგმო კომისია საჭიროდ აღიარებს სასწრაფოდ 35 ათასი მანეთის გადადებას ქუთაისის მაზრის სარწყავი არხების გადასარჩენად იმ მოსაზრებით, რომ დროზე საჭირო ღონისძიების მიუღებლობით არ მოიშალოს და განადგურდეს მთელი სისტემები, რომელზედაც დიდი ძალი ხალხის შრომა და ფული დაიხარჯა,

გარდა ამისა საგეგმო კომისიას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია ბათომის მიდამოების დასაცავად 6.300 მანეთის გადადება, ბორჯომისა და იქვე მდ. მტვერის ხიდის დასაცავად 4.000 მანეთი, ქ. ონთან მდ. რიონის ნაპირების გასამაგრებლად 94.000 მანეთის გადადება. საგეგმო კომისიის გამოანგარიშებით წყალდიდობისაგან დასაცავად საჭიროა სულ 160 ათასი მანეთი.

საგეგმო კომისიის დასკვნით ყველა დასახელებულ სამუშაოთა ხელმძღვანელობა უნდა იკისროს ა. ქ. წყ. მეურ. სამმართველოს რწმუნებულმა მიწად. მოქ. სახ. კომის. სამელიორაციო განყოფილებასთან შეთანხმებით.

სოციალური დაზღვევა

თბილისის დამზღვევ სალაროში

დავალიანების საკითხი

თბილისის დამზღვევ სალაროს გამგეობამ ერთ-ერთ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა ამკრეფ განყოფილების გამგის ამხ. მაშკევიჩის მოხსენება დავალიანების შესახებ. დავალიანების საკითხი მწვავეთ სდგას დამზღვევ სალაროში; დავალიანებული არიან არა მარტო კერძო პირები, არამედ სახელმწიფო ორგანოებიც.

სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების დავალიანება შეადგენს 174.000 მ. კერძო დაწესებულებებზე კი ირიცხება 40 ათას მანეთამდი. პრეზიდიუმი ყოველგვარ ზომებს იღებს, იძულებით ზომებსაც არ გაურბის, სადაც ეს შესაძლებელია, რომ მოაგვაროს დავალიანების საკითხი, მაგრამ მისი სათანადოთ გადაწყვეტა აქამდი არ მოხერხდა; საჭიროა კიდევ უფრო სერიოზული და გადამწყვეტი ზომების მიღება, წინააღმდეგ შემთხვევაში დავალიანება იმატებს და დამზღვევი კასის ფინანსიური მდგომარეობა საგრძნობლათ შეფერხდება. მილიციაც თითქმის სავსებით ვერ ამართლებს კასის დავალებებს და ხშირათ ოქმებს უკანვე აბრუნებს შეუსრულებლოთ; მრავალი დაწესებულებები მიცემული იქნა პასუხისგებაში ანარიცხების თავის დროზე არშეტანის გამო, მაგრამ სასამართლო საქმეების გარჩევას აგვიანებს რამოდენიმე თვეებით, რაც აგრეთვე აფერხებს კასის მუშაობას.

ანარიცხების შეკრების გაუმჯობესების მიზნით, დამზღვევმა კასამ ხელშეკრულება დასდო მილიციის სამმართველოსთან და ეხლა კასის განკარგულებაში გამოყოფილია სამი თანამშრომელი (კასის ხარჯზე), რომლებიც ასრულებენ მხოლოდ და მხოლოდ დამზღვევი კასის დავალებებს ანარიცხების იძულებითი წესით გადახდევინების შესახებ.

გამგეობის დადგენილებით დავალიანების საკითხი განსახილველათ გადატანილია საქართველოს პროფკავშირთა საბჭოში.

გზადაგზა

IV

ზამთარი გურიაში

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

სოფელში გასვლა ყოვლად შეუძლებელია. კაცი თავს ვერ დააღწევს თოვლსა და ტალახს. ამიტომ იძულებული ვარ ჯერ დავკმაყოფილდე იმ ადგილებით, სადაც რკინის გზა უდგება.

მზემ მოიხალისა. დღე ყინვა აღარ არის. თოვლი ნელ-ნელა დნება.

ბათომიდან მატარებელი გადის ოზურგეთისაკენ—თერთმეტის ნახევარზე. ნება-ნება სიარულით—ორ საათზე უკვე ოზურგეთში მიდის.

ნატანებიდან იწყება ოზურგეთის ლიანდაგი, რომლის სიგრძეც თვრამეტ ვირსამდის იქნება.

რამდენიმე ვერსის მანძილზე მოსჩანს სრულიათ ვაკე ადგილები.

მთელი მინდვრები მოფენილია სიმინდის ფეხზე მდგომი მაღალი კლერტებით. ყოველ 100—200 ნაბიჯზე მოსჩანს მაღალ ბოძებზე გამართული ძარები—სასიმინდეები. რამდენიმე ათასი იქნება ასეთი სასიმინდე. სოფელი კი მთელი იმ არე-მარეში არსად სჩანს.

ვეკითხები ერთ გურულ მგზავრს ამის შესახებ და ისიც მიპასუხებს დაუზარებლათ:

— ხალხი შორს სოფლებში ცხოვრობს. აქ ჩამოდიან სიმინდის სათესათ ოცი-ორმოცი ვერსის სიშორიდან. ოზურგეთიდან და იმის იქითა სოფლებიდანაც ბევრი ჩამოდის აქ სამუშაოთ. მაშ რა ვუყოთ, მიწა არა გვაქვს! აქ კი მოგვყავს ცოტაოდენი სიმინდი.

ათი-თხუთმეტი წლის წინეთ აქ ისევ ხშირი ტყეები ყოფილან. შემდეგ გაუჩეხიათ სახნავ-სათესათ. გაუჩეხიათ, მაგრამ ხის ჯირკვები კი ისევ მაგრათა სხედან მიწაში, რაც შეუძლებელათ ხდის ნიადაგის კავითა და გუთნით მოხვნას. თუმცა აქ ძალიან იშვიათად ხმარობენ კავსა და გუთანს და ხელით ბარვას უფრო ამჯობინებენ.

— მერე ამისიშორეზე, რომ სტოვებთ სიმინდს, არ გეზარებათ ყოველ დასაჭირზე აქ სიარული?

— ჩვენ აქ ვსტოვებთ მხოლოდ სათესლეს, ან რასაც ვერ მოვერევით, დანარჩენი კი სახლში მოგვაქვს.

— ქურდობა არ არის ხოლმე?

— აჰ! სიმინდის ქურდობას რა უნდა აქ!

ჩემმა მოსაუბრემ კიდევაც იუკადრისა ასეთი შეკითხვა.

⁂

მთელს გურიაში უკანასკნელ, ორი-სამი წლის განმავლობაში მაინც, უდიდესი ადგილი დაუჭერია ნარინჯის მეურნეობას. ერთი-ერთმანეთის მიბაძულობით გასაოცარის სისწრაფით ავრცელებენ ამ საუცხოვო ხილს. ამ მხრივ გურიამ უკვე ორ-ჯერ-სამჯერ გადააჭარბა მთელ ჩაქვა-ქობულეთის მოსავალს.

მაგალითად ჩაქვაში ნარინჯის წრევანდელ მოსავალს ანგარიშობენ სამ მილიონ ცალს. გურიაში კი ნაანგარიშევია 8—10 მილიონამდე. ნატანებიდან და სუფსიდან გასულა საკუთრივ გურიის ნარიჯი სამოცრონოდამდის. ეს გამოდის დაახლოვებით 6 მილიონზე მეტი.

ეს კულტურა ვითარდება თვით გლეხ-კაცობის საკუთარი დაინტერესებით. ამ საქმეში ჯერ არც სახელმწიფო ჩარეულა და არც საზოგადო დაწესებულებანი. მიუხედავად ამისა, მთელ გურიის სამეურნეო ცხოვრებაში უდიდეს ადგილს იჭერს ეს კულტურა. ნამდვილი გურულის წახედულობითა და სისწრაფით ყველა ჰკიდებს ხელს ამ ხილის მოშენებას. ვისაც აქნობამდის ჯერ ვერ მოუსწრია მისი გაშენება, ეხლა უკვე გაფაციცებით სცდილობს არ ჩამორჩეს სხვებს და რაც შეიძლება ჩქარა იგემოს მისი ნაყოფი და სარგებლობა.

ერთი მგზავრი გურული ასეთს მაგალითს მეუბნება:

— ჩვენ სოფელში ერთ გლეხკაცს ჩვიდმეტი ძირი ნარინჯი ჰქონდა. წრეულს მოსავალი გაჰყიდა სამოც თუმნათ. ეს რომ ნახა მეორე მოხუცმა მეზობელმა, ადგა "და ცალი ხარი გაჰყიდა—მეც უნდა შევიძინო ამის სანერგეებიო. მხოლოდ სწუხს, რომ ერთი ათი წლის წინეთ არ ვიცოდი, რომ კიდევ მოვესწრებოდი რამესაო.

რკინის გზის ნაპირზე მოსჩანს პატარა ბაღი. იქ სდგას რაღაც ათიოდე ტანმომცრო ხე გამხმარის ფოთლებით.

— აი ამ ბაღჩაში ათი ათასი ცალი მოკრიფა პატრონმაო. ეს კი ორას მანეთამდის ფულსა შერებაო.

მართლადაც გლეხ-კაცისთვის ასეთი შემოსავალი ამ მცირე მეურნეობიდან დიდ თანხას წარმოადგენს.

ყოველ გურულს მოეპოვება რამდენიმე ასი საჟენი მიწა. და ეს კი სრულიად საკმარისია რამდენიმე ასი ძირი ნარინჯისთვის. გასასაღებლათ კი რუსეთი საუკეთესო ბაზარს წარმოადგენს.

სწორეთ ამიტომაც წრევანდელი სუსხიანი ზამთრის ზარალიც ამ ნარინჯის კულტურის დაზავებით გაიზომება. და ეს ძალიან საგრძნობელიც არის, რადგან ნარინჯის მეურნეობას დიდი ადგილი დაუჭერია მთელ გურიის ცხოვრებაში.

ვისაც კი დაველაპარაკები, ყველა ამ ზარალს აღნიშნავს დიდის სინანულით.

სხვათა შორის ჩაის მოშენებასაც საკმაოდ მისდევენ გურიაში. ძალიან ხშირათ ვამჩნევ რკინის გზის გასწვრივ ჩაის ჩირგვებით ამწვანებულ ეზოებს. ეს მცენარე აქაც საღათ არის გადარჩენილი, რადგან პირველივე თოვლის ქვეშ მოქცევია და ამგვარათ ველარ მისდგომია შემდეგი ყინვა და ქარი. თვით ნარინჯის ტანმომცრო ხეებიც, რომლებიც კი თოვლ ქვეშ მოექცნენ, გადურჩნენ გახმობას.

მე-7 თუ მერვე ვერსზე ნატანებიდან იმყოფება სადგური „მერია". რკინის გზის მუშაობა ჯერ დამთავრებული არ არის. ამიტომ ეს უფრო მებაღის სადარაჯოს წარმოადგენს, ვიდრე სადგურს.

საწყლათ ატუზულა პატარა ხის ქოხი ერთი კარით და ერთი ფანჯრით. გვერდზეც ხეზედ ჩამოკიდებული ზარი. მგზავრების თავშესაფარათ იქავე ერთი საქონლის რონოდა სდგას. მაგრამ მასალა უკვე ბლომათ არის დაგროვილი მომავალ სადგურას ასაშენებლათ.

სხვათა შორის ამ სადგურზე ჩემი ყურადღება მიიქცია დიდძალმა შეშის მარაგმა და თანაც რამდენადაც ეს მოსახერხებელია განუწყვეტლივ ეზიდებიან კიდევ გლეხები აქეთ-იქიდან.

შევეკითხე მგზავრ გურულებს—განა აქ ისეთი დიდი ტყეებია, რომ ამდენ შეშას ეზიდებით მეთქი?

— არა, ტყეები კი იმდენი არ არის, მაგრამ ყველას აქვს ცოტაოდენი თავის ეზოში და ეხლა რაკი **რკინის გზა გამოვიდა,** გასჩეხა და გამოაქვს გასასყიდათ.

ამის შესახებ ოზურგეთში შევეკითხე აღმასკომის წევრებს:

— არ გეშინიათ, რომ ეპიდემიური ხასიათი არ მიიღოს ამ ტყეების ჩეხვამ და ბოლოს აქაურობა დაემსგავსოს უდაბნოს.

— ზრემ კია მოსალოდნელი, მაგრამ რა ვქნათ! ტყეების დაცვა ძალიან ცუდათ არის მოწყობილი. მთელ მაზრაში თორმეტი ტყის მცველი გვყავს მხოლოდ.

ტყეების საკითხი ყველა დაწინაურებულ ქვეყნებში სახელმწიფო საკითხათ არის გადაქცეული. დროა ჩვენშიც უდიდესი ყურადღება მიექცეს ამას. ეს მიწადმოქმედების კომისარიატის მოვალეობას შეადგენს. საკმარისი არ არის, ტყის შენახვა მარტო ტყის მცველის ჩინოვნიკურ მოვალეობაზე დავამყაროთ. ბოლოს ყოველი მცველიც თავისუფლათ აოხრებინებს ტყეს ყველას, ვინც კი გაიღებს ორ-სამ მანეთ სახარჯოს. ამ საქმეში უნდა გამოყენებულ იყვნენ თვით სოფლის არჩეულები, როგორც სხვა ყოველ სასოფლო საქმეში.

⁂

მერიიდან ოზურგეთამდის ათი ვერსის მანძილზე სადგური აღარ არის. აქ კი რამდენიმე ბაქანი მაინც არის საჭირო, რადგან მთელი არე-მარე მჭიდროთ არის დასახლებული.

ოზურგეთის სადგურიც ჯერ-ჯერობით ისევეა მოწყობილი, როგორც მერიასი.

ტალახში და თოვლში ძლივს გამოვაღწიე გზა აღმასკომამდის.

აქ საკმაო ცნობები მივიღე ზამთრისაგან მიყენებულ ზარალის შესახებ.

ტროპიკულ მცენარეულობის შესახებ უკვე ზევით მქონდა ნათქვამი. საერთო ვარაუდით ნარინჯის ხეების 60 პროცენტს ანგარიშობენ გაფუჭებულათ.

რაც შეეხება სხვა ზარალს, ჯერჯერობით ცნობები ასეთია:

სურებისა, ერკეთისა და ხევის რაიონი ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია. იქ მიმოსვლა ჯერ ვერ არის აღდგენილი, რადგან საჟენზე მეტი თოვლი ძევს ისევ.

სურებში დანგრეულა ანდრო რამიშვილის სახლი და თან ჩაუტანია თვით რამიშვილი თავის ცოლით და ორი შვილით.

იქვე ჩანგრეულა ოთხი სახლი უმსხვერპლოთ.

იქავე ფოსტის შენობას სულ ჩანგრევია სახურავი.

ლანჩხუთში დანგრეულა საზაფხულო თეატრი, რომელიც დამჯდარა 4.500 მანეთი.

დუაბზუს თემში სულ ერთიან დანგრეულა ოთხწლედი სკოლის შენობა.

ნაბელღარში დანგრეულა ასლან ხიმშიაშვილის სახლი და თან ჩაუტანია იგი თავის ცოლით.

ერკეთის თემში, სოფ. ჩხაკაურაში დანგრეულა ათი მაჭმადიანის სახლი და ყველა პატრონიც თან ჩაუტანია. უგზოობის გამო ჯერ მიმოსვლა არ არის აღდგენილი ამ თემთან.

გურიანთის სოფელში სამ ოჯახს დანგრევია სახლ-კარი. ამ ოჯახებისთვის გლეხკომს მიუცია დახმარების სახით ოც-ოცი მანეთი, მაზრის აღმასკომს კი—სამ-სამი თუმანი.

მაზრის აღმასკომი აგრეთვე დახმარებია სურების რაიონს სამასი მანეთით.

დუაბზუს თემშიც, სოფ. ჭოლაში წყალდიდობისაგან ცოტ-ცოტათ დაზარალებულა 22 ოჯახი.

ხიდის თავშიც თოვლისაგან დანგრეულა სამი სახლი.

აღმასკომს არავითარი სალსარი არ მოეპოვება დასახმარებლათ.

ამავე დროს ოზურგეთის სამაზ. აღმასკომს დიდი მოკრძალება და ყირათი აღმოუჩენია და ჯერ-ჯერობით მთელი ზარალი უანგარიშოა 5—6 ათას მანეთად.

ეს ისეთი უმნიშვნელო თანხაა, რომ ამაზე ცენტრი უარს ვერ ეტყვის.

სიმშილობას ხალხი არ განიცდის მხოლოდ საქონელს აკლია საკვები და მოითხოვენ სამ ვაგონ თივას.

უგზოობის გამო საბჭოთა არჩევნები გადადებულია 20 თებერვლამდე.

რაც შეეხება ტროპიკულ მცენარეთა კულტურას—აქ უნდა ფართე დახმარება გაუწიოს მიწათ-მოქმედების კომისარიატმა. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს ერთის მხრივ—აგრონომიულ სწავლა-დარიგებაში მათი მოვლის შესახებ. მეორე მხრივ კი—ახალ სანერგეების მიწოდებაში.

ეს იქნება საუკეთესო შველა მთელი გურიის გლეხკაცობისთვის, რომ ანაზღაურებულ იქნეს ამ სასტიკ ზამთრიდან მოყენებული ზარალი.

ფუხარა.

16 თებერვალი.



„რკინის თეატრი" ბათომში თოვლისაგან დანგრეული

სურათი: თეატრის ძველი მოთამაშე ნესტორ რუსიეშვილი.

სახინფორმ. ცით-განყოფილების
კომპლექტი

მუშათა ცხოვრება

რა უნდათ ასეთებს აქ?!

(ამხ. სკოლისა და ქ. წ. არმ. დივიზიის სამხკომთა და პოლიტგანის საყურადღებოდ).

საქ. სამხედრო სკოლაში თავი მოკალათებიათ ზოგიერთ ანტისაბჭოთა ელემენტებს—კულაკისა და ძველი თავად-აზნაურთა შვილებს. აქ არის წყალტუბოს ერთ-ერთ შეძლებულ აზნაურის შვილი—ანდრო ონისიმეს-ძე იოსელიანი. ეს ვაჟბატონი და მისი ოჯახი მთლიანათ კონტრ-რევოლიუციონურია. 1918 წ. ამ ოჯახის მეოხებით, რომელიც პირდაპირ კავშირს ეწეოდა მენშევიკურ მთავრობაში, განადგურებულ იქნა ერთიანი ბოლშევიკური ორგანიზაცია და იმსხვერპლეს ორგანიზაციის ხელმძღვანელი **ლეონტი ს.** ...

გასაბჭოებამდის ამ ოჯახიდან ვინც კი შეეძლო მენშევიკების ჯარში და გვარდიაში ბრძანდებოდენ, ხოლო გასაბჭოების შემდეგ, რა გაიგეს, რომ ქონებას ჩამოართმევდენ—წინასწარმიას მიაშურენ იმ მიზნით, რომ შეენარჩუნებიათ 300 დღე. მიწა 4-5 წისქვილი, წყალტუბოს აგარაკის სახლები—სასტუმრო და სხ. აგვისტოს გამოსვლების დროს მრავალი ცნობები იყო ამ ოჯახის შესახებ და გაჩხრეკულ იქნა, სადაც აღმოჩნდა გადამალული იარაღი. არა კეთილგანზრახვით, ქვენა გრძნობებით, „შკურნიკულ-კარიერისტულ" მიზნით არის ეს ვაჟბატონი აგრეთვე შემომძვრალი სამხედრო სკოლაში. საინტერესოა საიდან და ვისი ხელი სწყალობდა მას ამ საქმეში—აქ შემოპარვაში!!!

აქვე ბრძანდება იმავე სოფლიდან იმავე ძველი აზნაურიშვილი **შალვა ი. იოსელიანი.** ეს პირველზე ნაკლები არ გეგონოთ. ის ქვენა გრძნობით და კონტრ რევოლიუციისათვის გამოსადეგათ შემოძვრა წყალტუბოს კომკავშირის ორგანიზაციაში. აგვისტოს გამოსვლების დროს კომკავშირში ირიცხებოდა და ნაცვლად იმისა, რომ თავის მოვალეობა დაეცვა, რევოლიუციის სადარაჯოზე მდგარიყო, ის კონტრ-რევოლიუციას ეხმარებოდა. ორგანიზაციას არ მიკარებია; ამბოხებაში აქტიური მონაწილე სიძე გადამალა და კომკავშირელებს და უპარტიო გლეხებს, რომელნიც თოფით ხელში გამოდიოდენ ხელისუფლების დასაცავად ხელს უშლიდა ...

მუშკორი **ანტა—უტა.**

ქ. გორის მუშათა კლუბი ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

მუშათა კლუბი არის განმანათლებელი ტაძარი მშრომელი ხალხისა, ამისათვის იქ უნდა შედიოდნენ ისეთი პირები, რომლებიც გულმოდგინეთ მოუსმენენ პიესას, ლექციებს და სხ. მაგრამ ამას ხელს უშლიან უბილეთო ან ყალბი ბილეთიანი ამხანაგები, რომელნიც ატყუებენ კონტროლს თავიანთი ეშმაკური ხერხით. შედიან დარბაზში, იკავებენ ადგილს და ახდენენ უწესრიგობას. ბილეთიანი ამხანაგები კი ფეხზედ დგანან და ავიწროვეს განიცდიან. ამისთანა მაგალითი კი ბევრჯელ მომხდარა. ამას კი ვერ ამჩნევენ მუშათა კლუბის ზედამხედველები. ამას უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ქ. გორის მუშათა კლუბის გამგეობ. და მოსპოს ეს უწესრიგობა.

მუშკორი **გ. ინაური.**

თბილისის მაზრის კომისარიატის საყურადღებოდ

თბილისის სამაზრო კომისარიატში მსახურობს ვინმე ამბროსი იაკობაშვილი, რომელიც გაჟღენთილია ძველი ჟანდარმული ზნე-ჩვეულებით. მუშებსა და გლეხებს ეს ვაჟბატონი ძალიან უხეშად ეპყრობა. ა. წ. 18 თებერვალს მე პირადი საქმის გამო შევედი სამაზრო კომისარიატში სადაც დამიხვდა მორიგი თანამშრომელი და მითხრა: 1-ლ საათამდი მიღება მთხოვნელების არ შეიძლება. მაგრამ ვინაიდან მე სამსახურის გამო ძალიან ცოტა დრო მქონდა. მივედი მის მაგიდასთან თხოვნით, რომ მოეცა ცნობა ჩემს საქმეზედ. მან ლაპარაკიც არ მაცალა მიყვირა და კარებისაკენ მერეკებოდა.

საჭიროა ასეთ უდიერობას ვაჟბატონ იაკობაშვილისას მიექცეს ყურადღება და სათანადო ლაგამი ამოედოს მას.

ივ. თალაკვაძე.

გულწრფელი მადლობა ასეთ მუშაკებს

რკ. გზ. საავადმყოფოს დიასახლისი **ეკატერინე გუდავაძისა** და გებია-ქალი შურა ვარონინა დიდი ყურადღების ღირსნი არიან თავიანთ მოვალეობის იშვიათი შეგნებისათვის და ავადმყოფობისადმი გულშემატკივარ მოპყრობისათვის.

მადლობა ასეთ მუშაკებს.

რკ. გზ. შეიარაღებულ რაზმის მსროლელი **ყიფიანი.**

მუშფაკის სტუდკომი სუსტია

სტუდკომის მუშაობის გამოსწორების მიზნით საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო მისი რამოდენიმე ნაკლი. 1) სტუდკომმა დაუშვა (ორი წლის განმავლობაში) მუშფაკში მღვდლის ქალი (ყოფილი მღვდლის ცოლი) და შავრაზმელი ღენერლის ქალიშვილი, რომლის სტიპენდიით შეიძლებოდა ვინმე მშრომელის შენახვა, 2) სტუდკომში დიდ პროტექციას აქვს ადგილი. ზოგმა ძმა შემოიყვანა, ზოგმა მამიდაშვილი, ან ბიძაშვილი; 3) მუშფაკში ორი-სამი ძმა სწავლობს ერთად; არ შეიძლება ერთ ოჯახიდან სამი სწავლობდეს და მეორიდან არც ერთი.

ი. მუშფაკელი.

ელსადგური მოხელეებსაც გვექნება

ზთებ. (ც. მ. კ—ში შესდგა თბილისში მცხოვრებ მოხევეთა საზოგადო კრება, რომელზეც ხევში ელსადგურის აგების შესახებ მოხსენება გააკეთა წყალთა მეურნეობის გამგემ ამხ. ყამაურაულმა. კრება დიდის აღტაცებით შეეგება ხელისუფლების ამ ახალ და დიად საქმეს და აღუთქვა მოხევეთ მხურვალე დახმარება. არჩეულ იქნა სპეციალური ბიურო' რომელიც გაუძღვება ამ საქმეს. ბიუროში შედიან: ამხ. **ჩოფიკაშვილი, ტოპაძე, ავსატანიშვილი, ყამარაული** და **ელოშვილი.**

მუშა **სიონელი.**

ქარხანა „თემქას" მუშათა კლუბში.

კულტურული მუშაობა ქარხანა თემქაში კარგათ არის დაყენებული. ამხ. რუსკის ხელმძღვანელობით, რომელიც შედის ქარკომში კულტკომის ხელმძღვანელად, ყოველ შაბათობით იმართება ლექციები და წარმოდგენები ადგილობრივი ძალებით. მხოლოდ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ზოგიერთი მუშები გულგრილად ეპყრობიან კულტურულ განვითარებას, არ ესწრებიან ლექციებს და წარმოდგენებს.

დროა, შეიგნონ იმ მუშებმა, რომლებიც გულგრილად ეპყრობიან თვითგანვითარების საქმეს, გამოფხიზლდნენ, რაც აუცილებელია ყოველი მშრომელი და სინდისიერი მუშისათვის.

მუშკორი **კორცხო.**

ცოტ პურს აცხობენ

(მუშკოოპის საყურადღებოდ)

ლენინის და მოსკოვის ქ. კუთხეში პურის საცხობი № 26 ცოტ პურს აცხობს.

საჭიროა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მუშკორი **ი—ძე.**

გამოასწორეთ ეს ნაკლი

მუშფაკი არის მუშების და გლეხის შვილების სასწავლებელი, ვისაც ნამდვილად ეკუთვნის სტიპენდია, ნამდვილად კი ხშირად აქ მღვდლის ცოლებს და შვილებს აძლევენ.

საჭიროა სასწრაფოდ გამოსწორდეს ეს ნაკლი.

მუშფაკელი **მუშიშვილი**

სწორედ მადლობის ღირსნი არიან

საღორიის ტყეს (ქუთაისში) ერთ ადგილს ცეცხლი გაუჩნდა. გაძლიერებული სტიქია ტყეს განადგურებით ემუქრებოდა. ქუთაისის რკ. გზის კომკავშირის ორგანიზაციამ გაიგო თუ არა ეს, მაშინვე სრული შემადგენლობით გაეშურა ხანძარზე და გმირული ბრძოლის შემდეგ ცეცხლი ჩაქრობილი იქნა. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან ამხ. **კიკვაძე, ჰეიშვილი და ხოსელია,** რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ საქმეში.

მუშკორი **კოსტაიძე.**

გამოგზავნილი წერილებიდან

მოსთხოვეთ პასუხი

(რკ. გზ. სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ)

თებერვლის 8-ს სად. ძმობაში გამოიარა საბარგო მატარებელმა № 100, რომელსაც 7 სპეკულიანტი მოყვებოდა, საბარგო კონდუქტორი ბარიხაშვილი ამათ ყურადღებას არ აქცევდა და მუშას კი ცემით უპირებდა ჩამოხსნას.

უნდა მოეთხოვოს პასუხი ასეთ თანამდებობის ამსრულებელს.

ინფ. **მეჯვრისხეველი.**

სასტიკი ბრძოლა მუყლეფავ ჩარჩებთან

(მთავ. მილიციის საყურადღებოდ)

ქალაქის ჩარჩები მენახშირეებს ყოფ. სასულიერო სემინარიასთან უხვდებიან, იაფად იძენენ ნახშირს და თითონ კი ცრთი-ათად ჰყიდიან. ატყუებენ მენახშირეებსაც და ხალხსაც.

სასტიკი ბრძოლა ამ ჩარჩებთან.

ინფ. **პ. გ.**

პროვინციაში

სოფ. ჩიბათი

(გურია)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც აქაურმა ამხანაგებმა განიზრახეს სახალხო სახლის აგება. არა ერთხელ მოუწვევიათ მასიური კრება ამ საკითხის გარშემო. გლეხობა დიდი ხალისით ეგებებოდა ამ დიად საქმის დაგვირგვინებას. საქმე დაიწყეს ამ რამოდენიმე ხნის წინათ. მუშაობა ერთხანს წარმატებით მიმდინარეობდა, შემდეგ მუშაობა შესწყვიტეს და სრულიად ხელი აიღეს სახალხო სახლის აგებაზე.

რა იყო ამის მიზეზი?

ალბად თანხა შემოაკლდათ,—იკითხავს მკითხველი?

არა, სამისო თანხა ივლისში გამართულ სალამოდან შემოვიდა.

გლეხობაში კი გაუგებრობამ იჩინა თავი—გვატყუებდენ, მარტო ჩვენ გვაშენებიებდენო.

საჭიროა გაუგებრობის გაფანტვა.

გომახურელი.

პრიუტის თემი

(თბილისის მაზრა)

პრიუტის თემში ანტი-რელიგიურ კამპანიის მუშაობის ნაყოფი სრულებით არ სჩანს. ხალხი ცრუმორწმუნეობით არის გაჟღენთილი, ხალხი ძველებურად შეექცევიან „ნაკურთხს" ქორწინება, მონათვლა ან გარდაცვალებულის გასვენება აუცილებლად მღვდლის თანხლებით უნდა მოხდეს რაც უნდა ღარიბი გლეხი იყოს, უკაუკანასკნელს ჰყიდის ოღონდა მღვდლის თანხლებით მონათლოს ბავშვი ან გაასვენოს მიცვალებული. პრიუტთან სამი ვერსის მანძილზე მდებარეობს „წმინდა" გიორგის მონასტერი. ამ ადგილას წელიწადში ორჯერ აუარებელი გლეხობა იყრის თავს, მოდიან ურმებით დატვირთული სხვადასხვა სანოვაგეებით, ვისაც ასეთი გააჩნია, თუ არა აქვს უკანასკნელს ყიდის და მოაქვს აქ. ამ ადგილას მთელი ორი-სამი დღის განმავლობაში დიდი ქეიფი და აურზაური ხდება, ხშირად ადამიანის მსხვერპლსაც კი აქვს ადგილი სიმთვრალის დროს. ეს დრო მოახლოვებულია და ზოგიერთ გლეხობას მზადებაც კი ეტყობა წასასვლელად. ასეთი „დღესასწაულები" ანადგურებენ გლეხის მეურნეობას. საჭიროა შეიგნოს გლეხობამ, რომ „წმინდა მამების" კვება მიიყვანს მას დაღუპვის კარზე.

იაკობ ღლონტი.

საჩიჯაოს თემის სამკითხველო

(ზუგდიდის მაზრა)

საჩიჯაოს თემი შესდგება ოთხი სოფლისაგან: თვით სოფ. საჩიჯაო, ზენი, ზუბი და ჯაპიშაქარი. ამ სოფლების მოსახლეთა რიცხვი აღემატება 800 კომლს. თემში არსებობს ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის სამკითხველო. სამკითხველოს საკმაო წიგნები გააჩნდა, მაგრამ მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლის დროს სამკითხველო გაანადგურეს. წიგნები დაიტაცეს მარქსის, ლენინის და სხვა სურათები დაგლიჯეს. ამის შემდეგ სამკითხველო ისევ მოაწყვეს და ხალხს მიეცა მისით სარგებლობის საშუალება 1924 წლის ნოემბრის თვიდან. სამკითხველო იღებს გაზეთებს: „კომუნისტი" 2 ცალი, „ფუხარა". შევიძინეთ ბევრი წიგნები, გამოვიწერეთ გაზეთები „ახალი სოფელი". სამკითხველო და კლუბს აქვს საკუთარი ხის შენობა.

კარგი იქნება სამაზრო პოლიტგანმა გაუწიოს დახმარება. აგრეთვე სასურველია, რომ საჩიჯაოს თემის მუშა-მოსამსახურეებმა გაიღონ თავიანთი წვლილი, წიგნებად ანუ ფულად, რომ სამკითხველომ უფრო გააფართოვოს მუშაობა.

კლუბ-სამკითხველოს გამგე **ანტონ მშარელუა.**

შეფი გვეხმარება

ზემო-ჭალადიდის თემი (სენაკის მაზრა)

ზემო-ჭალადიდის თემზე შეფობა ნაკისრები აქვს სენაკის სამაზრო მილიციას.

შეფს აქ გახსნილი აქვს სამკითხველოები სამს ადგილას. ერთი—თემის სამმართველოსთან, დანარჩენი ორი ამ თემში შემავალ ორ სოფელში.

თემის სამკითხველო შეფისაგან ღებულობს გაზ. „კომუნისტს" (სამ ცალად), „წითელი ვარსკვლავს" და ათ ცალ „ახალ სოფელს".

მიღებულია აგრეთვე სხვადასხვა ბროშიურები.

შეფი დახმარებას უწევს ღარიბ მოწაფეობას სასწავლო ნივთებით. ჯერჯერობით დარიგებულია 100 ცალი რვეული, 100 ცალი კალამი და ამდენივე ფანქარი.

დიდ მადლობას უძღვნის შეფს ზემო-ჭალადიდის თემის ახალგაზრდა მოწაფეობა.

ხხივი.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ ლუარსაბოვის ქუჩაზე სახ. № 20-ში. მიჭირავს ერთი ოთახი, სივრცით 30 კვადრატ. არშინი. ოთახი წარმოადგენს ნახევრათ სარდაფს და მასთან ბნელი და ნესტიანია. მე ვმსახურობდი 1921 წლიდან 1923 წლამდის წითელ არმიაში. 1923 წელს წითელ არმიიდან განთავისუფლების შემდეგ, უმუშევრათ დავრჩი. მაქვს შუამავ. ბიუროს წიგნაკი № 212. მყავს სარჩენად დედა. ჩემი ძმა მუშაობს და ჯამაგირს იღებს 35 მანეთს,—ირიცხება კავშირის წევრად. ჩვენ, ყველანი, მის ხარჯზე ვიმყოფებით.

გთხოვთ განმიმარტოთ, რამდენი უნდა გადავიხადოთ ბინის ქირა და მეეზოვის ფული.

უმუშევარი **დავით ნარგიზოვი.**

პასუხი

ბინის ქირას იხდის თქვენი ძმა, რომლის ხარჯზედაც თქვენ იმყოფებით; თითოეულ კვადრატიულ არშინზე ის გადაიხდის **ნახევარ კაპეიკს,** მთელ ბინისას კი **სამ შაურს.**

კითხვა

მე ვცხოვრობ ფერმა-ავლაბარის ქ. სახ. № 40-ში. მიჭირავს ერთი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახის მოცულობა შეიცავს 20 კვადრატიულ არშინს, სამზარეულო კი 15 კვადრატიულ არშინს. ორი სული ვართ. 1924 წ. 20 თებერვლიდან უბინაობის გამო იძულებული ვიყავ მიმეცა სახლის პატრონისთვის ხელწერილი და 4 მანეთი მეძლია თვიურათ ოთახის ქირად. მთელი წლის განმავლობაში ვაძლიე ასეთი. ახლა ველარ შევძელი 4 მან. გადახდა, სახლის პატრონი ნაკლებზე არა მჯერდება.

გთხოვთ, განმარტებას რამდენი უნდა გადავიხადო თვეში ოთახის ქირა.

ვმსახურობ რკინის გზაზე, ვარ კავშირის წევრი, ჯამაგირს ვღებულობ მე-6 ხარისხით 30 მ. 2 კ.

იასონ ცაბაძე.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით ორ შაურის რაოდენობით. თუ სახლის პატრონი მას არ მიიღებს, დაისწარით მოწმეები და ეს ფული შეიტანეთ თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახკომის ანგარიშში (დეპოზიტში). ფულის შეტანის ქვითარს წარადგენთ საჭიროების დაგვარად სასამართლოში.

კითხვა

მე ვცხოვრობ [illegible] ცოლშვილით. მიჭირავს ერთი ოთახი სივრცით 32 კვადრ. არშინი, ვმსახურობ შორაპნის საყუდში (დეპოში) ზეინკლად. ვღებულობ ჯამაგირს მე-4 თანრიგით 18 მან. 47 კაპ. აკორდით [illegible] 8 მან. და ხან სულ არაფერი.

სახლის პატრონი კი მოსვენებას არ მაძლევს. მთხოვს 5 მან. თვეში. შევრიგდით 3 მან. თვეში, მაგრამ ორი-სამი თვის შემდეგ, მისი მეუღლის დარიგებით მოითხოვეს კატეგორიულად ოთახის დაცლას და ჩემ ოთახში სხვის გადმოყვანას.

გთხოვთ განმარტება, თუ რამდენი უნდა გადავიხადო თვეში ბინის ქირად და აქვს თუ არა სახლის პატრონს უფლება გამაძევოს თავის სახლიდან.

პროფკავშირის წევრი № 407.304.

პასუხი

ბინიდან გამოსახლება შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ სასამართლოს განაჩენით და ისიც იმ უკიდურეს შემთხვევაში, თუ მდგმური **განზრახ** არ იხდის ბინის ქირას ერთ და მეტ თვის განმავლობაში.

ბინის ქირას თქვენ გადაიხდით იმ რაოდენობით, რაც დაწესებულია შორაპნის აღმასკომის და საბჭოს მიერ. ყოველ შემთხვევაში საცხოვრებელ ბინის თითოეულ კვადრატიულ არშინზე თქვენ გადაგხდებათ არა უმეტეს **კაპეიკის შვიდი მეათედისა;** მთელ ბინისას კი არა უმეტეს **ერთ აბაზ და სამი კაპეიკისა.**

კითხვა

მე ვცხოვრობ ყირიმის შესახვევში სახ. № 39-ში (ნაძალადევში). მიჭირავს ერთი ოთახი 20 კვადრატიული არშინით. არა მაქვს სამზარეულო, არც სარდაფი. ვსახურობ რკინის გზის დამცველთა რაზმის მსროლელათ. ვღებულობ ჯამაგირს მეშვიდე **ხარისხით 32 მანეთს 17 კაპეიკს.** ვცხოვრობთ ერთ ოთახში შვიდი სული. ვაძლევთ ქირას 3 მანეთს. ამ სახლის ქირით არ კმაყოფილდება და აგრეთვე უწმაწური სიტყვებით გვიხსენიებს სახლის პატრონი.

გთხოვთ მიპასუხოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადო ბინის ქირა. აგრეთვე ეზოც ძალიან უსუფთაოდ გვაქვს. ვის ევალება მისი გასუფთავება?

პასუხი

ბინის ქირად თვიურად თქვენ იხდით **ორ შაურს.** ეზოს გასუფთავება, ნაგვის გატანა და მეეზოვის **ხელფასის გაღება** ევალება სახლის პატრონს.

ქრონიკა

ხიდის ასაგებად.

საგეგმო კომისიამ დაადასტურა გზატკეცილების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი გუბის წყალზე ხიდის აგების ტეხნიკური გეგმა და ხარჯთაღრიცხვა 115 ათასი მან. ფარგლებში. ამ თანხიდან მიმდინარე საბიუჯეტო წელში გადადებულ იქნება 50 ათასი მან.

— **საქართველოს მრეწველობის გამოკვლევა.** საქ. მ. გ. ინსპექციამ ამხ. ვოლოხს და სალარეს დაავალა საქ. ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოსთან დაარსებულ საქ. მრეწველობის გამომრკვევ კომისიაში მონაწილეობის მიღება.

— **სოფლის მეურნეობისათვის.** საქ. მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის ამავე წელს მაზრებში გამართულ კურსებს და ლექციებს დაესწრო 17,240 გლეხი-მეურნე.

— **საკონსერვო ქარხანა.** მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ მეოთხედში ცეკავშირის საკონსერვო ქარხანამ დაამზადა 175,000 კილო სხვადასხვა კონსერვი, რომლის უდიდესი ნაწილი რეალიზაციაქმნილი იქნა მოსკოვში.

— **ბამბის საწმენდი ქარხანა.** 1 ოქტომბრიდან ცეკავშირის ბამბის საწმენდი ქარხანამ გასწმინდა და გადასცა ა. კ. ბამბის კომიტეტს 15 ვაგონი ბამბა 151,000 მან. ღირებულებისა.

— **წამლების გაცემის შესახებ.** ჯანსახკომის საფარმაცევტო ქვე-განყოფილებამ შეიმუშავა საბჭოთა აფთიაქებიდან წამლეულობის გაცემის წესი.

— **ტყის დაცვა.** საქ. საგეგმო კომისიის წინადადებით მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ შეიმუშავა წესები ტყის დაცვის შესახებ.

— **პროვინციების კოოპერატივებს** ცეკავშირის საბიუჯეტო წლის დასაწყისამდე მმართებდათ 1.700,000 მან.

ლატარიას გათამაშება. 28 თებერვალს შესდგება სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ მოწყობილ მომგებიან ლატარიის გათამაშება. გაუყიდავი ბილეთები უნდა ჩაბარებული იქნას 26 თებერვლამდე.

— **შრომის ინსპექციამ** წინასწარ შედგენილ გეგმის მიხედვით დეკემბერ-იანვარში დაათვალიერა მძიმე და საშუალო წარმოებათა 60 პროც. და 40 პროც. წვრილი წარმოების.

— **მუშათა ჯანმრთელობისათვის.** სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭომ დაადგინა შეისწავლოს ფოთში მომუშავე მარგანეცის მტვირთველთა პირობები ატმოსფერულ (ჰავის) პირობებთან დაკავშირებით.

— **საბინაო გადასახადი.** თბ. აღმასკომი ამ დღეებში შეუდგება არა მშრომელ ელემენტებიდან საბინაო გადასახადის აკრეფას.

— **დამხმარე კომიტეტების მოწყობა.** საქ. მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტები მოაწყო ქუთაისსა და ფოთში.

— **ბინების ნორმა.** მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტთან არსებულ სატეხნიკო თათბირი შეუდგა მუშათა ბინების ნორმების გამომუშავებას.

— **მევენახეობისათვის** სახ. მამულების ტრესტმა საზღვარ-გარეთიდან გამოიწერა 5 ათასი ფუთი გოგირდი.

საბჭოთა სასამართლო

მიხეილ ტიშკევიჩი „საგასტროლოთ" თბილისში

1924 წელს ოქტომბერში თბილისს ესტუმრა რუსეთიდან ერთი უჩვეულო სტუმარი—მიხეილ ვასილის-ძე ტიშკევიჩი, რომელიც დაბინავდა სასტუმრო „ბელგრად"-ში. ის გულდასმით შეუდგა თბილისის დათვალიერებას, გამოდიოდა ხშირად თავისი ბინიდან და სტკბებოდა თბილისის სილამაზით. ერთს მშვენიერ დღეს, 7 სექტემბერს, უქმე დღეს, ტიშკევიჩი გამოდის ჩვეულებრივად თბილისის დასათვალიერებლად. მის ყურადღებას იპყრობს განსაკუთრებით პლეხანოვის პროსპექტზე № 50 არსებული განათლების სახალხო კომისარიატის საკანცელარიო ნივთების საწყობი. ტიშკევიჩის „ცნობის მოყვარეობა" იქამდე მივიდა, რომ ღამის 7 საათზე შედის საწყობის ეზოში, სტეხს ბოქლომს და შედის საწყობში. საწყობში დაწყობილი ნივთებიც არ დარჩა მისი „ცნობის მოყვარეობის" ფარეშე და იმ ღამესვე გაიტაცა იქიდან: ხუთი ფუთი სავსე ფანქრებით, კალმებით და სხვა და სხვა ნივთები, რომელთა ღირებულება 1207 მანეთს უდრიდა.

თბილისმა ასეთი „სტუმრის" აქ ყოფნა გაიგო მხოლოდ მაშინ, როცა ის ამ ნივთებს გასაყიდათ ატარებდა.

სისხლის სამართლის მილიციამ ტიშკევიჩი „ალჭურვა" სათანადო საბუთებით და მიაცილა აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლომდე.

სასამართლომ ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების გურგენიძის და ბაქრაძის, პროკურორის თანაშემწე გრიგოლიას მონაწილეობით, ორი წლით უფასო საცხოვრებელი ბინა მიუჩინა ასეთ „სტუმარს" გამასწორებელ სახლში სასტიკი იზოლიაციით. უკანასკნელი ამნისტიის ძალით, მას შეუმცირდა ამ ვადის ნახევარი და ჰქონდა გამასწორებელ სახლში, მაგრამ სასამართლოს ხარჯები უნდა გადაიხადოს.

შემთხვევები

— **ქურდის შეპყრობა.** 18 თებერვალს მადატოვის ქ. № 1. გაქურდული იქნა ავეტირიანცის ბინა. შილებულ ზომებით ბოროტ-მოქმედი გ. ოსიპოვი ნაქურდალი ნივთებით შეპყრობილი იქნა.

— **ქურდობა.** 18 თებერვალს ნავთლუღში მდებარე მცირე წლოვანთა ბავშვების თავშესაფარის გამგემ განაცხადა, რომ 14 თებერვალს ღამით აღნიშნულ სახლში წარმოდგენის დროს, ოთახიდან, ფანჯრის მინის გატეხის საშვალებით მოპარული იქნა 1 ფარდა და 1 ტილო 24 მ. ფასი.

18 თებერვალს დღისით დეზერტირის ქ. № 88—76 ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდული იქნა გ. კურაშვილის ბინა, წაღებულია სხვადასხვა ნივთები 24—მ.ნ

— 17 თებერვალს ღამით მინის გატეხის საშვალებით გაქურდული იქნა „ზაკლპო"-ს მაღაზია № 1. წაღებულია 50 მან. ნივთები.

ხელოვნება

მუსიკა კინოში

ეჭვს გარეშეა, რომ კინო საზოგადოების ფართო წრეების თანდათან უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს. სურათების შინაარსის გაუმჯობესებასთან ერთად უმჯობესდება მუსიკალური ნაწილიც, რომელიც ასურათებს კინემატოგრაფიულ მოქმედებას ეკრანზე.

რამოდენიმე ხნის წინათ დადგმის ამ მხარეს არ აქცევდენ სათანადო ყურადღებას და მუსიკალური ნაწილი ღარიბათ იყო წარმოდგენილი. ხშირათ მოშლილ ფორტეპიანოზე ვიღაც უხეიროთ უკრავდა რაღაც მელოდიას, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა სურათის შინაარსთან.

ეხლა მდგომარეობა შეიცვალა. მუსიკალურ ილიუსტრაციას საპატიო ადგილი აქვს დათმობილი და პირველხარისხოვან კინოებში ორკესტრებიც კი არის შემოღებული.

მშვენივრათ არის დაყენებული მუსიკალური ნაწილი კინო „არფასტო"-ში სადაც მცირე რიცხოვანი, მაგრამ შეწყობილი ორკესტრი პროფესიონალ-მუსიკოსის ბელსკის მეთაურობით მუსიკალურათ ასურათებს ეკრანზე გადაშლილ მოქმედებას.

ორკესტრის შემადგენლობაში შედიან კონსერვატორიაში კურსდამთავრებული პირები, რომელთაგან აღსანიშნავია პიანისტი ქალი გამბუზოვა და სკრიპკაზე დამკვრელი კალანტაროვი.

საორკესტრო შესრულების პროგრამაში შედის ბეთჰოვენის, გრიგის, ბიიზეს, ელგარის, ჩაიკოვსკის და სხვა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

ორკესტრის დირიჟორი ბელსკი თვალყურს ადევნებს იმას, რომ მუსიკალური დახასიათება ეთანხმებოდეს სურათის შინაარს. ამრიგათ, მაყურებლისთვის ნათელი ხდება სურათის შინაგანი აზრი.

მუსიკა აცოცხლებს სურათს.

პ. ბ.

— **აკაკის ხსოვნის სალამო.** ახლო ხანში ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქცია რუსთაველის თეატრში გამართავს აკაკის ხსოვნის სალამოს, მისი გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო.

— **„კამორრა".** დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება პრემიერა—ოპერა „კამორრა".

— **რუსთაველის თეატრში.** დღეს გაიმართება თურქული წარმოდგენა.

— **ცირკში.** გარრი პილის გასტროლი, ფრანგული ჭიდაობით.

— **საბავშო დილა.** კვირას. სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება საბავშო დილა პერინის სტუდიის მოწაფეთა მონაწილეობით.

— **მოსკოვში არსებულ ქართული სტუდია.** შაბათს, 21 თებერვალს სახ. დრამატიულ სტუდიაში დანიშნულია იმ პირთა გამოცდები, რომლებსაც სურს შევიდეს მოსკოვში არსებულ ჭყედლიშვილის სახელობის დრამატიულ სტუდიაში.

— **უმუშევარ მსახიობთა სასარგებლოთ.** დღეს „ტარდში" გაიმართება დიდი სალამო-წარმოდგენა უმუშევარ მსახიობთა სასარგებლოთ.

დღეს კინოებში:

— გლობუსი—სიცოცხლე სიცოცხლისათვის.

— არფასტო—„სარდაფის ბავშვი".

— მინიონ—„პოტაში და პერლამუტრი".

— სოლეი—„დჟოს თავგადასავალი"

— აპოლო—„როზიტა".

— აისი—„აღმოსავლეთელი ქალი".

— თვითმფრინავი—„დედის საიდუმლოება".

ფიზიკური კულტურა

საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავის გამო.

მოსკოვ ს ფიზკულტურის საბჭოს ჟურნალის „წითელი სპორტი"-ს მარტის ნომერი მიძღვნილი იქნება საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავისათვის.

საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს სააგიტაციო-პროპაგანდო განყოფილებამ დაადგინა გამოიწეროს „წითელი სპორტი"-ს ამ ნომრის 1100 ეგზემპლიარი და შუამდგომლობა აღძრა ფ. კ. უ. ს. წინაშე აღ. საქმისათვის 150 მანეთის გადადების შესახებ.

მასალები ჟურნალისათვის გაგზავნილი იქნება საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს თბილისის საბჭოებიდან. არჩეულია სარედაქციო კომისია, რომელშიაც შედიან შემდეგი ამხანაგები: კრეიტანი, გიორგიძე, პატარიძე და მერკვილაძე.

საჩვენებელი სასპორტო გამოსვლა.

აღნიშნულმა საქართველოს ფ. კ. უ. ს. წინაშე შუამდგომლობა აღძრა არსენალში საჩვენებელი სასპორტო გამოსვლების მოწყობის შესახებ.

ამ მიზნით სააგ.-საპრ. განყოფილებამ სთხოვა თბილისის ტეხნიკურ კომიტეტს გამოყოს ჯგუფი სასპორტო გამოსვლის მოსაწყობათ 22 თებერვალს. მომხსენებლათ დანიშნულია აპხ. კვინიხიძე.

ასეთივე გამოსვლა მოწყობილი იქნება 21 თებერვალს ლენინის სახელობის სპორტდარბაზში. მომხსენებლებათ დანიშნული არიან ქართულ ენაზე—პატარიძე, რუსულ ენაზე—კრეიტანი.

ქართული ტერმინოლოგია.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ დაადგინა სარედაქციო-საგამომცემლო სექციასთან მოაწყოს ქვე-სექცია ფიზკულტურის ქართული ტერმინოლოგიის დასამუშავებლად.

ქვე-სექციაში შედიან: გიორგიძე, მერკვილაძე, ნიკოლაძე, პატარიძე და ტოლორაიძე.

პროვინციის ქრონიკა

— **კოოპერაციის გაძლიერებლათ.** გორის სამაზრო გლეხკომმა გადასწყვიტა ყველა გლეხკომების საშუალებით აწარმოოს გლეხებში მუშაობა კოოპერატივებში წევრებათ ჩასაბმელათ.

— **ჯებირების გაკეთება.** განზრახულია გაკეთდეს მდინარეთა ნაპირების გასამაგრებლათ ჯებირები ბორჯომში, ხაშურში, გომში, ძევრთა ტანში, ოხერაში, ხიდისთავში (გორის მაზრა) თებახში და მეტეხში.

— **სოფ. გიორგეთის** (კახეთში, ალაზნის გაღმა) გლეხებმა გადასწყვიტეს საკუთარი ძალებით გაამაგრონ მდინარე კაბალის ნაპირები.

— **წისქვილების გაყინვა.** ქვემო რაჭიდან ჩამოსულთა სიტყვით იქ წისქვილები გაყინულია და გლეხობა უწისქვილობის გამო განიცდის დიდ გაჭირვებას.

— **ქუთაისის აღმასკომმა** გადასდო 100 მან. ლეგიონში წ.-კ. სალიკვიდაციო პუნქტების მოსაწყობათ.

— **ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა** ოზურგეთის მაზრაში 8 სამკურნალო პუნქტისათვის გაუგზავნა საჭირო საექიმო იარაღები.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ვის ეძლევა შეღავათი გადასახადებში

კითხვა:

მაქვს სამჭედლო დაბა ხაშურში. მყავს სარჩენლად 9 სული. ხაშურის აღმასკომი მახდევინებს თვიურად 18 მანეთს ჩემი სამჭედლოს ქირად. მე თვითონ ვცხოვრობ სამჭედლოს უკან მოდგმულ ორ დანგრეულ ოთახში, რომლებშიაც სახიფათოა ცხოვრება. მეტი არ გამაჩნია არაფერი, ვერ შევსძელი 18 მანეთის გადახდა. გთხოვთ გვიპასუხოთ, თუ რა ორ ღონისძიება, რომ ეს გადასახადი შემიმცირდეს.

მშრომელი **ლ. გვენცაძე.**

პასუხი:

თუ თქვენ დაქირავებული შრომით არ სარგებლობთ და თქვენს ხელობას აქვს შინამრეწველობითი ხასიათი, თქვენ გაქვთ უფლება და ვალდებულიც ხართ გახდეთ თვით მშრომელთა კავშირის წევრი. კავშირის წევრობას კი თან სდევს სათანადო შეღავათებიც, რომლებით თქვენც ისარგებლებთ.

სესხის დაბრუნების წესი

კითხვა:

მე ვარ რკინისგზელი მუშა. თვიურად **ვიღებ 44 მ. 90 კ.**, რომლის გარდა არავითარი შემოსავალი არ მაქვს, რაც კრიტიკულ მდგომარეობაში მაყენებს. მყავს სარჩენი (ოთხი სული) წვრილი ცოლშვილი.

1919 წელში მე სოფლად გავყიდე ჩემი კუთვნილი კერძო საკუთრება (30.000 მანეთად) იმ განზრახვით, რომ აქ ქალაქად ამეღო ერთი ოთახი საცხოვრებლად (ნაძალადევში). მაგრამ ეს ფული ვასესხე 1919 წელსვე მისივე თხოვნით ჩემს ნათესავს, შალიკო ქურიძეს, რომელსაც უნდა დაებრუნებია პირველ მოთხოვნისთანავე. ამ თანხით მან და მისმა ორმა ამხანაგმა დაიწყეს ვაჭრობა.

მე ბევრჯელ მოვთხოვე ჩემი კუთვნილი ფული, მაგრამ ვერ მიშოვნეს თავის დროზე! უკანასკნელად მითხრეს, რომ არაფერი არ გაგვაჩნიაო.

დღეს ეს სამი ამხანაგი ძალიან მდიდრათ არიან და ვაჭრობენ ცალცალკე. როდესაც მოვთხოვ ფულს, შაგზავნიან ერთი მეორესთან და არც ერთი კი არ ფიქრობს გადახდას. 1919 წლის ფულის კურსით ჩემი მართებს მათ ოცდა ათი ათასი მანეთი (30.000 მან.). გთხოვთ მომცეთ განმარტება, თუ რა ზომებს უნდა მივმართო ამის ასაღებად და რამდენი მერგება დღეს საბჭოთა ფულის ნიშნების მიხედვით.

მე რომ ღარიბი და პატიოსანი საბჭოთა მომუშავე ვარ ამას დაამტკიცებენ ჩემი მოწმოები და ჩემს ირგვლივ მყოფნი მუშები და მოსამსახურეები. გთხოვთ მომაქციოთ ყურადღება.

მუშა რკინისგზელი **ნოე ჯიბლაძე.**

პასუხი:

მსესხებელი (ფულის თუ ნივთის) ვალდებულია გამსესხებელს დაუბრუნოს სესხის ხელშეკრულებაში აღნიშნულ ვადის განმავლობაში სესხად მიღებული ფული იმ რაოდენობით და ოფიციალური კურსით, რაც იქნება ვადის გადახდის დღეს. ეს უკანასკნელი შეფარდებული უნდა იქნეს ფულის გასესხების დღის ნამდვილ (რეალურ) კურსთან ფულის იმ ნიშნებში, რომელიც იმ დროს არსებობდა.

თუ მოვალეები სესხს არ გიბრუნებენ მიმართეთ სათანადო საჩივარით სახ. სასამართლოს **სამოქ: სამართლის კოდექსის მუხ. 208 და 200 ძალით.**

ბიბლიოგრაფია

ახალი ლიტერატურული ქრესტომატია

ტ. I შედგენილი მასწავლებელთა ჯგუფის მიერ რ. კალაძის რედაქციით
გვ. 827.

თბილისი ს. ს. ს. რ. სახელმწიფო გამომცემლობა. 1925 წ.

ჩვენმა სახელმწიფო გამომცემლობამ 1925 წ. რამოდენიმე საინტერესო წიგნის გამოქვეყნებით გახსნა. მართალია მათ შორის უმეტესობა ნათარგმნია, მაგრამ სხვა გამოსავალი, როგორც სჩანს, არ არის ჯერჯერობით, ვიდრე სოციალ-პოლიტიკურ საკითხების დამოუკიდებელი შესწავლა ჩვენშიაც შესაფერ დონეს არ მიაღწევს.

ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება უნდა შევაჩეროთ პედაგოგიურ ნაშრომზე—„ახალ ლიტერატურულ ქრესტომატიაზე", რომლის პირველი ტომი უკვე დაისტამბა და ამ დღეებში გამოვა ბაზარზე. ავტორები აღნიშნავენ „ჩვენ სახელმძღვანელოდ მივიღეთ **ეპოქის საზოგადოებრივი** საკითხები და მთელი მასალაც ამ საკითხების გარშემო დავალაგეთ"-ო. (გვ. 14). მართალია, იმავე დროს ავტორები, აჰყვებიან რა თავის მეთოდიურ მიდგომას მასალის შესწავლისადმი, ხაზს უსმენ იმ გარემოებას, რომ დაუშვებელია ლიტერატურული ნაწარმოების შესწავლის სიმძიმის ცენტრი „ნაწარმოების საზოგადოებრივის მხრივ შესწავლაში იყოს გადატანილიო"-ო (გვ.12) მაგრამ ამ ორ დებულებას შორის არავითარ წინააღმდეგობას არ აქვს ადგილი. თავის თავად ცხადია, რომ ერთი საქმეა **მასალის შერჩევის** სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის მიხედვით ესა თუ ის მასალა იქნება გამოკრეფილი და შეგროვებული და სრულიად სხვა საქმეა ამ **მასალის შესწავლის** (ანუ სწავლების) მეთოდიკა. ლიტერატურა სოციალ ათვისების თავისებური ფორმაა და იმავე დროს ლიტერატურულ ნაწარმოების პრობლემა იმ განცდის მიწდომის, ე. ი. თავისად გარდაქცევის პრობლემაა, რომელიც ჰქონდა მწერალს, როგორც სოციალ აზროვნების ინდივიდუალ ნასკვს. ამიტომაც „სოციალი" და „ინდივიდუალი" განუყრელი მომენტებია ლიტერატურულ ნაწარმოების გამოვლენაში, მათი დაშორება ერთი მეორესაგან არც საჭიროა და შეუძლებელიც, ხოლო თითოეულ მათგანისათვის მისი ბუნებრივი ადგილი უნდა გამოინახოს. ამიტომაც სრულიად სამართლიანია ავტორების შეხედულობა, როდესაც მათ დაუშვებლად მიაჩნიათ მწერალის შემოქმედების ინდივიდუალ მიწდომის ნაცვლად პირველ ადგილზე წამოყენებულ იქნას მხატვრულ ნაწარმოების სოციალ - პუბლიცისტური ტრაქტოვკა, რაც ავტორთან დაახლოვებას, მის მხატვრულ ფორმები მიწვდომას და ლიტერატურულ აზროვნებას უბრალო ფრაზეოლოგიად აქცევდა.

სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ავტორების აზრი ქრონოლოგიურ მეთოდის შესახებაც. მათ აღებული აქვთ ექვსი ძირითადი საკითხი, რომლის მიხედვით უნდა დალაგდეს მთელი მასალა. ასეთი საკითხებია: 1) ნაციონალური საკითხი, 2) ბატონყმობა, 3) ბურჟუაზიულ ურთიერთობის დამყარება, 4) კლასობრივი დიფერენციაცია, 5) მუშათა და გლეხთა საკითხი და 6) ზოგადი განყენებული საკითხები. შეიძლება ასეთი დანაწილება მეთოდიურად მართალიც უმჯობესი იყოს, რაც თავის თავად არც ქრონოლოგიურობას ეწინააღმდეგება, რამდენადაც მათში თავის თავად უნდა იყოს დაცული ის თანამიმდევრობა, რომელიც თქვით სოციალ ცხოვრების კანონზომიერების გამომხატველია.

რამოდენიმედ სადაოდ სჩანს თვით ამ კლასსიფიკაციის ლოღიკური სისწორე. ცნების გაყოფას თავიდან ბოლომდე, თუ მის საფუძვლად დადებულია რაიმე ერთი ნიშანი,—ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი საკითხი—უცვლელად უნდა თან ახლდეს. ეს არაა დაცული მეექვსე მუხლში, სადაც მხოლოდ „ზოგადი განყენებული საკითხებია" დასახელებული. ასევე სადავოა მეხუთე საკითხი—რომელიც მეორე და მეოთხე მუხლის შემდეგ ზედმეტი უნდა იყოს. უკეთესი იქნებოდა „კლასობრივი დიფერენციაცია" „კლასთა ბრძოლით" შეეცვლიიყო.

ამის მიუხედავად, როგორც მეთოდიური შესავალი, ისე იმ ორი განყოფილების განმარტებანი, მთლიან და სერიოზულად მოფიქრებულის შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთივე ღირსებისაა თვით მასალაც, რომელიც მთლიან თხზულებათაგან შემდგარი მთლიან ესთეტიურ შთაბეჭდილებისათვის არის ნავარაუდევი: ქრესტომატია უეჭველად ღირსია იმის, რომ მან შესაფერი ყურადღება დაიმსახუროს და სკოლაში საპატიო ადგილი დაიჭიროს.

დასასრულ, გარდა იმ მოსაზრებებისა, რომელიც კლასსიფიკაციის შესახებ აღვნიშნეთ, საჭიროა ავტორების ყურადღება სამ მუხლზე შევაჩეროთ:

1) რადგან ქრესტომატია სახელმძღვანელოა, უფრო რიგიანად უნდა მოწყობილიყო კორექტურის საქმე.

2) ნაწარმოებების შემდეგ დართული საკითხები მეტად მცირეა და ნაწარმოების მთავარ მომენტებს ვერ ამოსწურავს.

3) მართალია, ლიტერატურა ცხოვრების ანარეკლია, მაგრამ ახალ აზროვნების ჯანსაღ ნიადაგზე დაყენებისათვის ყოველი ლიტერატურული ძეგლი არ გამოდგება. უნდა აღებულიყო მხოლოდ პროგრესიულ ნააზრევის და განცდილის ნიმუშები.

შ. ნ.

რედაქციის მიერ მიღებული წიგნები

„გლეხის ბიბლიოთეკა“. დაიბეჭდა და გამოვიდა „გლეხის ბიბლიოთეკის“ შემდეგი წიგნები („საბჭოთა კავკასიონის“ გამოცემა).

1. **ანაიდა ათაბეგოვი**—როგორ გადავარჩინოთ ქათმები დახოცვას და გაწყვეტას.

2. **ნიკო ალნიაშვილი**—კარგი ბოსტნის გამართვა.

3. **ნიკო მაისურიანი**—კართოფილის წესიერი მოვლა-მოყვანა.

„ბოლშევიკი“ (რუსულ ენაზე) რედაქციამ მიიღო რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორკვირეული პოლიტიკურ-ეკონომიური ჟურნალი „ბოლშევიკი“ № 1 (17). შემდეგი შინაარსით: **ი. სტალინი**—ოქტომბრის რევოლიუცია და რუს კომუნისტების ტაქტიკა. **ნ. ბუხარინი**—ოპოზიციის ეკონომიური პლატფორმის კრიტიკისათვის. **ს. გუსევი**—ჩვენი უთანხმოებანი სამხედრო საქმეში. ჟურნალი შეიცავს აგრეთვე სადისკუსიო განყოფილებას, კრიტიკას და ბიბლიოგრაფიას.

„ახალი გზა“. გამოვიდა მუშათა ჟურნალის „ახალი გზის“ მორიგი მე-9 ნომერი შემდეგი შინაარსით: 1) ახალი ხანა ჩვენს ცხოვრებაში, 2) ახალი გზით, 3) ხელისუფლებასთან დაახლოვება, 4) პროლეტარიატის დიქტატურა და დემოკრატიზმი, 5) საქართველოს მეურნეობა, 6) ჟურნალ-გაზეთებიდან, 7) ღია წერილი მუშათა კომისიას, 8) მუშათა კომისიის მუშაობა, 9) მუშათა წერილები და სხვ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დებულება

გლეხთა ურთიერთ-დამხმარე კომიტეტების შესახებ *)

VII. საზოგადოების საქმეთა რევიზია და ზედამხედველობა მისი მოქმედებისათვის.

25. საზოგადოების ანგარიშების რევიზიისა, მისი ქონებისა და კომიტეტის ყველა საფინანსო-სამეურნეო საქმის შესამოწმებლად, საზოგადოების წევრთა საერთო კრება (რწმუნებულთა კრება) აირჩევს ერთი წლის ვადით სარევიზიო კომისიას, რომელიც უნდა შესდგებოდეს სამ წევრზე არა ნაკლებისაგან.

26. სარევიზიო კომისიას უფლება აქვს რა დროსაც უნდა მაშინ მოახდინოს რევიზია. საზოგადოების წევრთა ან რწმუნებულთა მორიგ კრებას იგი წარუდგენს მოხსენებას საზოგადოების მოქმედებისა და ანგარიშების მდგომარეობის შესახებ.

27. საზოგადოების მოქმედების ყოველმხრივ რევიზიის უფლება აქვს აგრეთვე ზემდგომ საგლეხო საურთიერთო დახმარების კომიტეტს და მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

VIII. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა ყრილობა და გაერთიანება

28. რათა გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა მიზნები რაც შეიძლება წარმატებით იქნეს განხორციელებული, მოეწყობა საარჩევნო საფუძველზედ, სათემო, სამაზრო და ცენტრალური გლეხთა საურთიერთო დახმარების კომიტეტები, რომელთაც თავიანთ მუშაობაში მჭიდრო კავშირი ექნებათ და ითანამშრომლებენ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად. აღნიშნულ კომიტეტების ფუნქციებს, მოწყობის წესებს და მოქმედების გეზს განსაზღვრავს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

28. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა შორის მუდმივი კავშირის დასამყარებლად, ერთმანეთისათვის შეძენილი გამოცდილების გასაზიარებლად და საერთო მოქმედების გეგმის შესამუშავებლად მოიწვევა ხოლმე გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა სათემო, სამაზრო და სრულიად საქართველოს ყრილობები და კონფერენციები.

30. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა რეგისტრაცია და გაუქმება, წევრთა და რწმუნებულთა საერთო ყრილობებისა და კონფერენციების მოწვევა. აგრეთვე ამ საზოგადოებათა, მათი შენაერთებისა და ყრილობების მუშაობა, სწარმოებს იმ წესებისა და ინსტრუქციების მიხედვით, რასაც გამოსცემს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი.

31. გლეხთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებათა რეგისტრაციას აწარმოებენ, ამა დებულების თანახმად, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები.

IX. საზოგადოების მოქმედების გაუქმება და მისი ლიკვიდაცია.

32. საზოგადოების მოქმედება მოისპობა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების დადგენილებით ან საზოგადოების წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით. პირველ შემთხვევაში საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება მარტოოდენ სოციალური უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის დირექტივებით; მეორე შემთხვევაში საერთო კრების დადგენილებას ლიკვიდაციის შესახებ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, უკეთუ ეს დადგენალება მიღებულია ხმათა ორი მესამ. უმეტესობით და დადასტურებულია ორ შემდგომ,—ერთი-მეორის მიმყოლ, საერთო კრებაზე, რომელთა შორის ორმა კვირამ უნდა გაიაროს.

33. საზოგადოების ლიკვიდაცია მოხდება ერთი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების მიღებისა, საზოგადოების ყველა საქმეები, ქონება და ფულადი თანხები, უდავო ვალდებულებათა გასტუმრების შემდეგ, გადადის ზემდგომი საგლეხო საურთიერთო დახმარების კომიტეტის განკარგულებაში იმ ინსტრუქციის თანახმად, რაც გამოცემული იქნება ამა დებულების 30 მუხ. მიხედვით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
მიხა ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
ს. თოდრია.

---

*) დასასრული იხ. „კომუნისტი“ № 32, 34, 36, 37, 39.

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის

დადგენილება

დასახიჩრებულთა ნადების ხელახალი რეგისტრაციის შესახებ.

19 თებერვალი 1925 წ.

ქ. თბილისში არსებულ დასახიჩრებულთა ნადების ყოველმხრივ შესწავლის და შეფასების მიზნით—სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატი ამა წლის 1 მარტიდან იწყებს ზემოხსენებულ დასახიჩრებულთა ნადების საყოველთაო ხელახალ რეგისტრაციას, რის გამოც აცხადებს, რომ ყველა წესდებანი, დებულებანი, სხვადასხვა ხასიათის საბუთები და ბეჭდები, რომლებიც გაცემულია როგორც სახ. კომისარიატის, აგრეთვე სრულიად საქართველოს დასახიჩრებულთა კოოპერატიულ შენაერთის მიერ, გაუქმებულია და საჭირო იქნება მას თი განახლება და რეგისტრაციაში გატარება მარტის თვის თარიღით. ქ. თბილისის დასახიჩრებულთა ნადებს წინადადება ეძლევათ, სასწრაფოთ გამოგზავნონ თავისი წარმომადგენელნი სრულიად საქართველოდასახიჩრებულთა კოოპერატიულ შენაერთში განზრახულ რეგისტრაციის წესის შესახებ დირექტივების მისაღებათ.

სოც. უზრ. სახალხო კომისარი
კ. ხომერიკი.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატის და სრულ. საქარ. დასახიჩ. კოოპერატიულ შენაერთის საორგ. საინსტრუქტორო ანყ. გამგე ათაბეკოვ-თუმას.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— შაბათს, 21 თებერვალს, დილის 10 საათზე თბილისის კომიტეტის სამდივნოში მოწვეულია **საქართ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

თბ. კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბ. კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის და წითელი არმიის არსებობის 7 წლის თავის დღესასწაულის ჩატარების გეგმა 3-ე რაიონში.

1. 23 თებერვალს წითელი არმიის 7 წლის თავზე იგზავნებიან მუშათა დელეგაციები მიმაგრებულ სამხედრო ნაწილებში.

2. 24 თებერვალს წარმოებებსა და დაწესებულებებში იმართება საერთო კრებები მიმაგრებულ სამხედრო ნაწილებთან ერთად—მოხსენებები.

1) საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავი და ჩვენი მიღწევანი.

2) წითელი არმიის არსებობის 7 წელი.

3. 24—25 თებერვალს საშეფო კომისიები მიემგზავრებიან სოფლებში კამპანიის ჩასატარებლად.

4. 25 თებერვალს უფასო წარმოდგენები და კინოები ტყავ. ტრესტის, ქალაქის საავადმყოფოს, ნავთლუღის, ახალგ. კომკავშირის, ნარიმანოვის სახელობის, ქალაქის სასაკლაოების, მტვირთელთა კლუბებში, ავლაბრის მუშათა თეატრში. კლუბების გამგეები უნდა შეუთანხმდენ პროლეტკულტს სალამოების გასამართავათ.

წარმოდგენის წინ კეთდება მოხსენებები წლის თავის გამო არა უმეტეს 30 წუთისა. მოხსენებები ტარდება შემდეგ პუნქტებში.

1. 24 თებერვალს დღის 1 საათზე ტყავ. ტრესტი, საპნის ტრესტი, ტყავ. ქარხანა № 3, მაკარონის ფაბრიკა, ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის მცველ-მხლებელთა რაზმი იკრიბებიან ტყავ. ტრესტის კლუბში, სადაც **ვართაპეტიანი და ორჯონიკიძე** აკეთებენ მოხსენებებს (საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ)—სოკოლოვი—(წითელი არმიის არსებობის 7 წლის თავი).

2. 24 თებერვალს საღამოს 6 საათზე საალმშენებლო დარგის მუშები, საქარხნო კომიტეტი № 14 და მტვირთავები ისმენენ ავლაბრის მუშათა კლუბში **ვანციანის** მოხსენებას (საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ).

3. 24 თებერვალს, დღის 4 საათზე—ნავთლუღის და ქალაქის სასაკლაოების მუშა-მოსამსახურეები—ამხ. **ვანო სტურუას** მოხსენებას (საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ), **ენუქიძის** მოხსენებას (წითელი არმიის არსებობის 7 წლის თავის შესახებ).

4. 24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე—თათართა საერთო კრება ნარიმანოვის სახ. კლუბში. მომხსენებელია **ამხ. გუსეინოვი.**

5. 24 თებერვალს, დღის 3 საათზე—ქალაქის საავადმყოფო—ქალაქის საავადმყოფოს ბინაზე. **ნასარიძის და ნაზარეთიანის** მოხსენება (საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ), **სუროვენკოვის** მოხსენება (წითელი არმიის არსებობის 7 წლის თავის შესახებ).

6. 24 თებერვალს, დღის 4 საათზე—სასურსათო ორგანოები და გამასწორებელი სახლი—სამხედრო წისქვილის შენობაში—**რასულ-ზადეს** მოხსენება (საქ. გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ), **სნეგირევის** (წითელი არმიის არსებობის 7 წლის თავი).

7. 24 თებერვალს, დღის 3 საათზე მიწადმოქმედების და შრომის სახ. კომისარიატები სახ. კომისარიატების კლუბში—**სვანიძის** მოხსენება (საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ), **ჭკუასელის** მოხსენება (წითელი არმიის არსებობის 7 წლის თავის შესახებ).

8. 24 თებერვალს საღამოს 6 საათზე, სათბობ მასალათა განყოფილება, ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატი, სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატი, ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტი—**ვირაპის** მოხსენება (საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ) **და ეგიკოვის** მოხსენება—(წითელი არმიის არსებობის 7 წელი).

9. 24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე მალაკნების კოოპერატივი—**ბარვანსკის** მოხსენება—(საქ. გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ **(და სურავენკოვის** მოხსენება (წითელი არმიის არსებობის 7 წელი).

10. 5-ე კომისარიატი—კომისარიატის შენობაში—24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე—**ბეუანოვის** მოხსენება (საქართვ. გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ).

11. 7-დე კომისარიატი—24 თებერვალს, საღამოს 6 საათზე—**ხოსიანის** მოხსენება (საქართვ. გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ), 7-ე კომისარიატის შენობაში.

12. სამკერვალო სახელოსნო—25 თებერვალს, დღის 4 საათზე სამკერვალო სახელოსნოს ბინაზე—**ზავარიანის** მოხსენება (საქართველოს გასაბჭოების 4 წლის თავის შესახებ).

3-ე რაიკომის სააგიტ.-საპროპაგანდო განყოფილება.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება იუწყება, რომ კვირას, 24 თებერვალს, დილის სრულ 9 საათზე მეექვსე პოლკში (კუკიის ყაზარმები) გაიმართება.

პარტიის და ახალგ. ლენინ. კომკავშირის იმ წევრთა და კანდიდატთა საერთო პარტიული კრება, რომლებიც მიწერილი არიან დროებითი შემადგენლობის მეექვსე პოლკთან; ამიტომ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ კრებაზე პარტიული დისციპლინის ძალით:

ჯაგოევი ვლადიმერ, ნინუაშვილი მიხეილ, ჩოხონელიძე სიმონ, მიხლონ ისაკ, გულიტაშვილი არჩილ, ასლამაზოვი კარაპეტა, საზანბოევ სადიკ, სეიფულოვიჩი, ტარჩიანც არმენაკ, მიკაელოვი არტაშ, ხუბაშვილი მიხეილ, მათეოსიან სამუილ, ანანოვი ნიკოლოზ, გრიგოლია პლატონ, ქოქაშვილი გრიგოლი, უმიკაშვილი ალექსანდრე, გაგლოევი დიმიტრი, მეშველიანი ლავრენტი, დავიდოვი მიხეილ, ბიტლატაძე ნიკოლოზ, გორდაძე სერგო, პაპიაშვილი გიორგი, გრიგორიანც ბეგო, კურამანც ოგანეზ, ვართაპეტოვი ვართან, სოდაშვილი ანდრია, მანუელიან ვაგან, სტეფანოვი მიხეილ, პროშკინ პეტრე, კიევიძე დავით, სერგეევი პავლე, ჭიჭინაძე ალექსანდრე, ჭიბალაშვილი დავით, ბარხუდაროვი ალექსანდრე, ბებონია მიხეილ, ვართანიანცი ისაკ, ცარევსკი პროკოფი, ქებაძე ილარიონ, აბაზაშვილი მესროპ, ოთიაშვილი მიხეილ, კაკაურიძე ბარნაბ, ივანიშვილი ნიკოლოზ, ამიან გაიკ, ბილენოვი პროკოფი, ტატუნაშვილი ანტონ, ნიკოგოსოვი სერგო, კოსტიშჩენკო ნიკოლოზ, მურადოვი მიკირტიჩ, ფრიდონოვ სურენ, მურადოვ არსენ, დუცია ნოე, მახარაძე ივანე, თევდორაძე შალვა, სააკიანც გარეგინ, მდიგროვ ოგანეზ, არუტინოვ ერვანდ, დანიევ გიორგი, მარკარიან ალექსანდრე, ნაზაროვ არაქელ, ტერ-სტეფანოვი ივანე, სააკოვი მანაცაკან, თოფურია გიორგი, პეტროვი დავით, კოტაშვილი სტეფანე, ფირცხალავა გიორგი, სიხარულიძე გიორგი, ყიფშიძე დავით, პატამოიან ივანე, ხიდურელი ალექსანდრე, სადიხ-ოღლი, ენტუკიძე სერგო, გიორგაძე ივანე, ჭკუასელი ვასილი, ტიმბედოვი სიმონ, მაისურაძე ივანე, მენთეშაშვილი დიმიტრი, სპარჩენსკი იოსებ, ჭანტურიძე ამბროსი, ეგიაზაროვ ლევან, სირაძე დომენტი, სარქისოვი ივანე, პეტროსიან გელამ, ნესესიანც სედრაკ, ტერ-სარქისოვი მნაცაკან, ჰოქიდაევ პეტრე, კონდრატენკო ვლადიმერ, კოაშლაძე პეტრე, გორგიჯანოვ ნიკოლოზ, ბაგდასაროვ ავეტიკ, მარკარიან აბრამ.

თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 20 თებერვალს დილის 10 საათზე თბ. კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. საკოვთან. 1. პარტნოვი ალექსანდრე, 1. ვაშაკიძე კონსტანტინე, 3. ვალიანსკი იოსებ, 4. რაზმაძე აპოლონ, 5. როგოჟნევი პავლე, 6. მეტაფიანი კარაპეტი, 7. სომინსკაია გუტი, 8. ტუდეევი გიორგი, 9. ლაბაძე, 10. პერკინი, 11. მილს ვლადიმერ 12. სუხარუკოვი.

თბ. კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება.

— ორშაბათს, 23 თებერვალს, საღამოს 7 საათზე „თბილისის არამორწმუნეთა საზოგადოების“ ბიურო იწვევს ყველა იმ ამხანაგების თათბირს, რომელნიც აწარმოებენ ან სურთ აწარმოვონ ანტი-რელიგიური პროპაგანდა. მოწვეული არიან: პროფ. იუზმაშიანი, ჩურსინი, სოსნოვსკი, მარკარიანი, სუდაკოვი, ორლოვი (21-ე სამხ. სკოლა) შესტოვი, ბორრამენს კი „კრასნიე ვსხოდის“ და „შტურმ“-ის წარმომადგენლები.

საზოგადოების ბიურო.

— კვირას, 22 თებერვალს, საღამოს 5 საათზე ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიმართება „არა მორწმუნეთა საზოგადოების“ მომწყობ ბიუროს პირველი სხდომა. მოწვეული არიან: ადამიანი, ბაქრაძე, ბუხნიკაშვილი, მაჭავარიანი, მედვედევი, მხიტაროვი.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტ.-საპროპაგ. განყოფილება.

— არსენალის რაიონის საარჩევნო კომისია იუწყება, რომ 14 თებერვლიდან არსენალის რაიონში დაიწყო თბილისის საბჭოს დეპუტატების ხელახალი არჩევნები შემდეგ წარმოებათა მუშა-მოსამსახურეთა შორის:

1. საქართველოს სამკერვალო მრეწველობა—20 თებერვალს დილის 7 საათზე, მკერავთა კლუბის შენობაში.

2. წყალსადენის სახელოსნო—21 თებერვალს, დილის 7 საათზე, წყალსადენის სახელოსნ. კლუბის შენობაში.

3. სანიტ. ტეხნიკ. კავშ. 21 თებერვალს, დღის 1 საათზე, სანიტ.-ტეხნ. დარგის მუშათა კლუბის შენობაში.

4. ალმშენებელნი—21 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ალმშენებელთა კლუბის შენობაში.

5. მეტყევეები—22 თებერვალს, დღის 1 საათზე, ადგილკომში.

6. მეეზოვეთა ადგილკომი—22 თებერვალს, დილის 10 საათზე, სახლებში მომუშავეთა კლუბის შენობაში (პლეხანოვის პროსპ.).

არსენალის რაიონის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: **მელაძე.**

— საქ. კომპარტიის ლენინის რაიკომი იუწყება, რომ შაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში გაიმართება რაიკომის პლენუმის გაფართოებული სხდომა ლენინის რაიონის კომუჯრედების მდივანთა თანადასწრებით.

რაიკომის ყველა წევრთა და კომუჯრედების მდივანთა დასწრება სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის მდივანი **ქავთარაძე.**

პროფესიონალური

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ყველა წევრებს.

კლუბთან „მუშათა პრესა“ ეწყობა „პროფესიონალური წრე“ რუსულ ენაზე და პოლიტიკური წრე სომხურ ენაზე. ჩაწერა სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან.

მუშკორების საყურადღებოდ.

შაბათს, 21 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, კლუბ „მუშათა პრესის“ შენობაში (შრომის სასახლე, შესავალი ბარიატინის ქუჩიდან) გაიმართება თბილისის ყველა მუშკორთა, სამხედრო და ახალგაზრდა კორესპონდენტების საერთო კრება.

დღის წესრიგი: 1) ამხ. ფლეიბოვის მოხსენება: „რადიო და მისი მიღწევანი“.
2) მიმდინარე საქმეები.

ვთხოვთ ყველას ნუ დაიგვიანებენ.

თბილისის მუშკორების ქალაქის ბიურო.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული მიხეილ ომანისძე ჩინჩალაძე, პელაგია ვასილის ასული ჩინჩალაძისა, ილარიონ პეტრეს ძე ბაქრაძე, სოფიო მიხეილის ასული ბაქრაძისა, მიხეილ კიკვაძე, ბარბალე მიხეილის ასული კიკვაძისა, მიხეილ მიხეილის ძე ჩინჩალაძე და ლიუბა მიხეილის ასული ჩინჩალაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ნიკოლოზ ზაქარიას ძე დავითაშვილი

გამოსვენება დანიშნულია პარასკევს, 20 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. მისამართი: ანდრეევის ქ. № 22

გრიშა ელიზბარის ძე ნემსიწვერიძე მეუღლით თამარით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 16 თებერვალს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საუკეთესო მეგობარი და სიძე (ბიძაშვილის ქმარი)

ნიკოლოზ ზაქარიას ძე დავითაშვილი

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება პარასკევს, 20 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. ანდრეევის ქუჩა № 22.

№ 406 1—1

16 თებერვალს 1925 წ. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა წაღვერის ტყის გამგე

ნიკოლოზ ზაქარიას ძე დავითაშვილი

რასაც გულითადი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მშობელნი მისნი ზაქარია ალექსის ძე და მარიამ ნიკოლოზის ასული დავითაშვილები,—მეუღლე მისი ვერა მიხაილის ასული თავის შვილით კუკურით,—ძმა მისი ვლადიმირ ზაქარიას ძე დავითაშვილი და და ნინა ზაქარიას ასული ფანცხავა თავის ქმრით—ვლადიმირ ვარლაამის ძე ფანცხავა.

გამოსვენება სახლიდან (ანდრიას ქუჩა, № 22) კუკიის სასაფლაოზე,
1—1 20 თებერვალს, 4 საათზე, ნასადილევს. 390

დავით ალექსის ძე დავითაშვილი მეუღლით—პელაგია მიხეილის ასული და შვილებით: ელენე, ნინა, მიშა და მერციათი განუსაზღვრელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 16 ამა თებერვალს უდროვოთ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი ძმისწული, მეორესი მაზლისწული და დანარჩენთა ბიძაშვილი

ნიკოლოზ (კოლა) ზაქარიას ძე დავითაშვილი

გამოსვენება საკუთარ ბინიდან—(ანდრეევის ქ. № 22) პარასკევს, 20 თებერვალს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

№ 413. 1—1

ძმები ხოსო და იულო, რძლები ესმა და მინა, ძმისშვილები: მაშიკო, შაშიკო, მარიამი, მარგალიტა, მიხაკო, შალვა, გრიგოლ და გოგი თავის ღლით ნაროთი უაღრესი მწუხარებით, აუწყებენ ნათესავებს და ნაცმეუცნობთ მათთვის ძვირფასი

ჯამულეთ სიმონის ძე ბაშუნაიშვილის

გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება კვირას, 22 თებერვალს ს. გაგურში (გურია) ნაშუადღევის 2 საათზე.

407 1—1

ღრმად დამწუხრებულნი კოლშვილი: ცოლი მაშო, შვილები ნიკო, თამარი, ქეთევანი და ნინო თავის ქმრით სევერიანე ჯაყელით აუწყებენ ნათესავებს და მეგობარ ნაცნობებს მათთვის ძვირფასი

ჯამულეთი სიმონის ძე ბაშუნაიშვილის

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 22 თებერვალს ს. გაგურში (გურია) ნაშუადღევის 2 საათზე.

407 1—1

უზომო მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მარიამ ზაქარიას ასული, შვილები: ალექსანდრა, გრიგოლი, შალვა, თამარი, სოფიო, გოგი, სიძე ექიმი—ლავრენტი სარალიძე, რძლები: ეფროსინე და ნინა, შვილიშვილები: მარგარიტა, ანტონი და შოთა ვაუწყებთ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ შაბათს, 21 თებერვალს 12 საათზე დანიშნულია ქვაშვეთის ეკლესიაში წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად გარდაცვალებულ დეკანოზი

დავით გრიგოლის ძის ქახაბერის

სულის მოსახსენებლად. 416 2—1

დამწუხრებული და სამუდამოდ გაუბედურებული ცოლი პაშა, ცოლის და ელენე, ქვისლი დავით შენგელია შვილები: ნინო, ქეთინო, თამარ, ვახტანგ და სანდრო, ძმისშვილები: კოლია და შუშანა აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 22 თებერვალს, დღით, შაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე ქალ. სამტრედიაში საკ. სახლში გადახდილი იქნება გარდაცვალებიდან 6 თვის თავზე ძვირფასი მეგობრის და აღმზრდელის

პორფირე მათეს ძე გეგიძის

სამოქალაქო პანაშვიდი. № 408. 1—1

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე მიხეილ, ძმები: დათიკო, კოტე, ილიკო, და ელენე, რძლები: ანეტა და თამარა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 18 თებერვალს

სონა გიორგის ასული პარსეგოვისა

გამოსვენება პარასკევს, 20 თებერვალს, საშეანო კლინიკიდან, დაკრძალვა შაბათს, 21 თებერვალს, 4 საათზედ ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზედ.

სახელმწიფო ოპერა დღეს, 20 თებერვალს

პირველად

კამორა

ნ. 829 1—1

სახელმწიფო დრამა შაბათს, 21 თებერვალს

გააზნაურებული მდაბიო.

ნ. 820 4—3

მხატვარი და გრავიორი ვ. ჭეჭეიანი

ასრულებს იარლიკებს, სურათებს ლიტოგრაფიისა და კლიშეებისათვის და აგრეთვე საბჭოთა მოღვაწეების

სურათებს, პლაკატებს და დროშებს

სოლოლაკი, ვოზნესენის ქუჩის ბოლოში, კრაპის აღმართი № 8.

372 5—2

ქალ. ახალსენაკში სამაზრო აღმასკომის ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების

სავაჭრო სექციამ —გახსნა—

ქავჭავაძის ქუჩაზე ევროპიულათ მორთულ-მოწყობილი პირველ ხარისხოვანი სასტუმრო „ინტერნაციონალი“ (ყოფილი ფრანცია) სადაც დაცულია საუცხოვოთ სისუფთავე და წესრიგი. ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომია.

№ 418—3—1 გამგეობა

საჭიროა საწერ მანქანაზე მომუშავე

იკითხეთ „კომუნისტი“-ს კანტორაში 1—1

საქ. კომპარტიის და რევოლიუციის ისტორია

ახალი წიგნი

ფ. მახარაძე

თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა

მოსამზადებელი ხანა (1870—1890) ფასი 25 კაპ.

ეს წიგნი გასასყიდათ წიგნის მაღაზიებს არ დაურიგდება, არ გაეგზავნება პროვინციაში არც აგენტებს. წიგნი გასასყიდათ ეიეცემა მხოლოდ პარტორგანიზაციებს. ამიტომ როგორც თბილისის, ისე პროვინციის პარტორგანიზაციებმა უნდა მიმართონ პირდაპირ: საქ. კომპარტიის ცეკას გამომცემლობათა მთავარ კანტორას (თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 24) და შეუთანხმდენ მას წიგნის გაყიდვა-გავრცელების საქმეში.

საქ. კომპარტიის ცეკას პარტისის გამგე ს. თალაკვაძე.

ნ. 807 4—3.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყოროღანოვის ქ. № 20. 9205 25—12

ექიმი

ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—11

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—19

მედიცინის დოქტორი

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონალურ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორიული მიღება შენობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13

ცნობების მიღება: ექიმ შახნაზაროვს ტელეფონით № 7—14—4

ნის 372 —100—56

ექიმი

ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყოფთა ელექტრონით წამლობა

მიიღება სად. 7—8 საათ.

ლენინის (ოლღას ქ. № 49)

ტელეფ. 4—85 25—22

ექიმი

ალექსანდრა კორკია

მეანობა და ქალთა სნეულებანი

მიღ. ავადმყ. 4—6 ს. სად. პლეხანოვის პრ. № 65.

25—8.

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 1

შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—25

გადავიდა კამოს ქუჩაზე № 17 (დიდი მთავრის ქ. ვორონცოვის ხიდის ახლოს)

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობა ელექტრონის სხივებით წამლობა.

მიღება დილით 10—12 საათ. საღამოს 5—7 საათამდე. გარდა კვირისა

25—7.

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის საშკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—21

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ. საღამოს—5—6 საათ.

25—7

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—11

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).

გარდა სხეკიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათ (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივ სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.

ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—22

დაკარგე პირადი წიგნაკი (ფორმა № 4) გაცემული მეორე სამილიციო რაიონის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ალექსანდრე გიორგის ძე ანდღულაძეს სახელზედ. ჩაითვალოს გაუქმებულად. 416 1—1

დაკარგე კავშირის წიგნაკი მოცემული ზ. ა. ვ. ს.-ის მუშკომისაგან № 717, 29 ნოემბერს 1924 წ. ბიქტორი სპირიდონის ძე ჭიპაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 410 1—1

დაკარგე პირადი წიგნაკი № 2, მოცემული თელავის სამხედრო კომისარის მიერ სიმონ დავითის ძე სალინაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 409 1—1

დაკარგე პასპორტი ივანე კუპრაშვილის და მის ცოლის ოლღა კუპრაშვილის სახელზე გაცემული მე-9-ე სამილიციო რაიონიდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 414 1—1

დაკარგე საბჭოთა მუშაკების პროფ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 12117, ნიკოლოზ დავითის ძე თუშმალიშვილის სახელობაზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 412 1—1

დაკარგე მეტრიკული მოწმობა № 748, ივ. ქებაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 407 1—1

დაკარგე მე-5-ე ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა № 875 1924 წ. 8 ივნისის, ნინო ბარამიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 417 1—1

დაკარგე თბილისის დამზღვევ კასიდან მოცემული მოწმობა ფოთის დამზღვევ კასის სახელზე, გთხოვთ ჩაითვალოთ გაუქმებულად. სამსონ ჩიჩუა. 1—1

დაკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი მოცემული თბილისის დამზღვევ სალაროდან ევგენი წულაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

ტირაჟი—18,005

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, საზა წულუკიძის ქუჩა № 4